the global voice of
the legal profession

სამართლის უზენაესობის განმტკიცება: ქართველ ადვოკატთა წინაშე მდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

2012 წლის დეკემბერი

მოხსენება მომზადებულია ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიერ IBAHRI Trust-ის მხარდაჭერით

ეს მოხსენება მომზადებულია ლუნდის-ლონდონის 2009 წლის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად **(www.factfindingguidelines.org)**

მასალები ამ მოხსენებიდან შეიძლება გამოყენებული იქნეს ციტირებისთვის
ან ხელახლა გამოქვეყნებისთვის, რისთვისაც მადლობას იმსახურებს
ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია
(International Bar Association)

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია
International Bar Association
4th Floor, 10 St Bride Street
London EC4A 4AD, United Kingdom
ტელ: +44 (0)20 7842 0090
ფაქსი: +44 (0)20 7842 0091
ვებგვერდი: **www.ibanet.org**

შინაარსი

აკრონიმების ნუსხა 5

წინათქმა 6

თავი პირველი: მისიის ძირითადი ამოცანები და მეთოდოლოგია 12

თავი მეორე: ზოგადი ინფორმაცია 14

2.1. ისტორიული კონტექსტი 14

2.2. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და სისხლის სამართლის რეფორმა 15

2.3. საქართველოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში 18

თავი მესამე: ადვოკატები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია 20

3.1. ორგანიზაციის სტრუქტურა და ისტორია 20

3.2. წევრად მიღების სტანდარტები, იურიდიული განათლება და გადამზადება 21

3.3. განსხვავებული გამოცდილებები და შეხედულებები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 25

3.4. პროფესიული ეთიკა 26

3.5. ადვოკატები, რომლებიც ადვოკატთა კოლეგიის წევრები არ არიან 28

3.6. დასკვნა 28

თავი მეოთხე: სასამართლოს დამოუკიდებლობა 30

4.1. მოსამართლეთა დანიშვნა 30

4.2. დისციპლინა, უფლებამოსილების ვადა და სხვა თანამდებობაზე გადაყვანა 32

4.3. დასკვნა 33

თავი მეხუთე: მხარეთა თანასწორობა 35

5.1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენცია. 35

5.2. დაცვის მხარის და ბრალდების მხარის შუამდგომლობათა განხილვა. 36

5.3. პროკურორთა შერჩევა და გადამზადება 38

5.4. სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები 39

5.5. დასკვნა 41

თავი მეექვსე: საპროცესო შეთანხმება. 43

6.1. პროკურორის როლი. 43

6.2. მოსამართლის როლი. 44

6.3. ადვოკატის ეთიკური დილემა. 45

6.4. დასკვნა 46

თავი მეშვიდე: თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ დაცვის ქვეშ მყოფ პირთან ურთიერთობა 47

7.1. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადვოკატების შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები 47

7.2. ღირსების შემლახველი ჩხრეკის მეთოდები 48

7.3. საქმესთან დაკავშირებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა. 48

7.4. დასკვნა 50

თავი მერვე: ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნა 51

8.1. უსაფუძვლო დევნა. 51

8.2. ადვოკატების მიმართ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდებების მახასიათებლები. 52

8.3. დასკვნა 53

თავი მეცხრე: რეკომენდაციები 55

აკრონიმების ნუსხა

ABA CEELI	ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიული სამართლის ინიციატივა
AOC	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
CJR Council	სისხლის სამართლის რეფორმის საბჭო
CLE	განგრძობადი იურიდიული განათლება
CoE	ევროპის საბჭო
CPC	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
EU	ევროპის კავშირი
GBA	საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
GYLA	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
HCJ	იუსტიციის უმაღლესი საბჭო
HRW	Human Rights Watch
IBAHRI	ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი
MCLA	სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
MoJ	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PDO	სახალხო დამცველის ოფისი
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა

წინათქმა

ეს მოხსენება შემუშავებულია ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ფაქტების დამდგენი მისიის მიერ, 2012 წლის 23-27 აპრილს, საქართველოში ჩატარებული კვლევის საფუძველზე. მისიის მიზანი იყო საქართველოში იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის საკითხის შესწავლა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თვმჯდომარისაგან მიღებული სერიოზული საჩივრების შემდეგ, რომლებშიც მითითებული იყო იმ დაბრკოლებებზე, რომელთა წინაშეც ქართველი ადვოკატების უმრავლესობა დგას და რომლებიც ხელს უშლის მათ საქმიანობას. მისიამ ასევე განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ზოგადად, ადვოკატთა მდგომარეობასთან და ამავდროულად, სამართლიანი სასამართლოსა და საპროცესო შეთანხმების სისტემასაც გულისხმობს. მოხსენებაში ჩამოყალიბებულია შემდეგი ძირითადი დასკვნები:

რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში

1991 წლიდან, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოკლე პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სამართლებრივმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი და დრამატული ცვლილებები განიცადა. 2003 წლის ვარდების რევოლუციას რეფორმების მძლავრი ტალღა მოჰყვა. მათ შორის იყო დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემოღება, რასაც დანაშაულისა და კორუფციის საგულისხმო კლება მოჰყვა. ბოლო წლებში გადასინჯულ იქნა ყველა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი. მიმდინარეობს შესწორებების შეტანა მრავალ ძირითად კანონში. მთლიანობაში, საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები საკმაოდ პოზიტიური აღმოჩნდა. ბევრი რამ გაკეთდა საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების გათვალისწინების კუთხით.

ამ პროცესს თან სდევდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც კადრების სფეროში განხორციელდა. სასამართლო სისტემაში ნაკლებად ქმედითი თანამშრომლები უფრო ახალგაზრდა მოსამართლეთა ახალი თაობით შეიცვალა. ისტორიას ჩაბარდა 'სატელეფონო სამართალი', როდესაც მოსამართლეები საქმეებს პოლიტიკოსებისაგან მიღებული მითითებების შესაბამისად წყვეტდნენ. შეიცვალა ათასობით პოლიციელი და მრავალი პროკურორი. საქართველოს პროკურატურაში ბევრი რამ ახდენს შთაბეჭდილებას, მისი მოლაპლაპე შენობისა და ახალგაზრდა და დინამიური თანამშრომლების ჩათვლით. მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის განხორციელდა სწავლებისა და გადამზადების პროგრამები. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა რეფორმების პროცესის ხელშეწყობაში და საჭირო მასალებით უზრუნველყოფაში. ეს დახმარება სასამართლოებთან და პროკურატურასთან უშუალოდ მუშაობის მეშვეობით განხორციელდა.

სისხლის სამართლის სისტემა უფრო ეფექტიანი და ჰუმანური გახდა. გაუმჯობესდა პოლიციისა და საპატიმრო დაწესებულებათა თანამშრომლების როგორც ანაზღაურების, ასევე განათლების სისტემა. ამას ხელი უნდა შეეწყო მორალისა და პროფესიული დონის ამაღლებაში. მოძიებულ იქნა რესურსები ციხეების რეკონსტრუქციისა და შეკეთებისთვის. ზოგიერთ ციხეში გაუმჯობესდა პატიმრებისა და ადვოკატების შეხვედრისათვის განკუთვნილი ოთახების მდგომარეობა. ზოგიერთი პოლიციისა და ციხის თანამშრომლის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით.

სახალხო დამცველის სამსახურის შექმნამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სამართლის უზენაესობის განმტკიცებას. სახალხო დამცველი აქტიურადაა დაინტერესებული საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებით, მათ შორის, პატიმრებისა და მათი ადვოკატების უფლებების დაცვის საკითხებით. სახალხო დამცველს სრული ხელმისაწვდომობა აქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მის მოხსენებებში სააშკარაოზეა გამოტანილი საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევები, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც მნიშვნელოვანია; თუმცა მოხსენებებში ასევე ხაზგასმულია ის წარმატებებიც, რომლებიც მიღწეულ იქნა ზოგიერთი პრობლემის დაძლევის თვალსაზრისით.

საქართველოში მიმდინარე რეფორმის ხარვეზები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამართლის უზენაესობის განმტკიცების პროცესი წარმატებული აღმოჩნდა, ცხადია, რომ რეფორმის პროცესი არათანაბრად განვითარდა.

სასამართლო თავისუფალია გარე ჩარევებისაგან, მაგრამ იგი არ არის საკმარისად ღია ან შემტევი ინსტიტუტი. ბევრი რამ არის გასაკეთებელი მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესების გამჭვირვალების ასამაღლებლად. ხშირია კრიტიკა სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტების მისამართით. განაჩენები ზოგჯერ შაბლონურია. მაშინაც კი, როდესაც განაჩენი შაბლონის მიხედვით არ არის გამოტანილი, მას მაინც აკლია სათანადო დასაბუთება. არსებობს ფართოდ გავრცელებული აზრი, რომელიც ძირითადად სისხლის სამართლის საქმეების ადვოკატებს ეკუთვნის და რაც მკაფიოდ გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის საქმეებში, მოსამართლეები ბრალდების მხარის შუამდგომლობებს უფრო წყალობენ. დაცვის მხარე ვერ სარგებლობს მხარეთა თანასწორობის უფლებით ბრალდების მხარესთან მიმართებაში. პრობლემურად არის ასევე მიჩნეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომელთა განხილვა სათანადო პროცესის დაცვით არ მიმდინარეობს.

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ და საპროცესო გარიგების მასშტაბურმა გამოყენებამ სამწუხარო შედეგები მოიტანა. სისხლის სამართლის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენების ხვედრითი წილი უპრეცედენტოდ დიდია – 97 პროცენტზე მეტი. არსებობს მტკიცე რწმენა, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საქმეთა ადვოკატებს შორის, რომ მოსამართლეები ვერ უზრუნველყოფენ სამართლიანობას საპროცესო გარიგებების განხილვისას და რომ ბრალდებულებზე ახდენენ არაპირდაპირ ზეწოლას, რათა ისინი დაითანხმონ საპროცესო გარიგებაზე, ამ უკანასკნელთა სურვილის საწინააღმდეგოდ.

ასევე ცხადია, რომ საბჭოთა პერიოდის ყველა ცუდი ტრადიცია ჯერ არ დასამარებულა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო ჩატარებული მძიმე პროცესები, რომლებიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (AOC) საფუძველზე მიმდინარეობს, განსაკუთრებით მომიტინგეთა და დემონსტრანტთა წინააღმდეგ წარმოებული საქმეები, ჩრდილს აყენებს საქართველოს სწრაფვას რეფორმებისა და დემოკრატიისკენ.

ადვოკატთა ინსტიტუტის არამდგრადი განვითარება ბოლო წლებში

ადვოკატთა ინსტიტუტმა, საქართველოს სხვა ინსტიტუტების მსგავსად, რეფორმების არაერთგვაროვანი პროცესი გაიარა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, დღეს მას არეგულირებს და წარმოადგენს ეროვნული პროფესიული ორგანო – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA). ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო და ეთიკის კომისია ინტენსიურად მუშაობენ ადვოკატთა რეპუტაციის ამაღლებისთვის და პროფესიული სტანდარტების, მათ შორის ეთიკური ქცევის გაუმჯობესებისთვის. ადვოკატთა ასოციაციის ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით სამოქალაქო საქმეთა პრაქტიკოსები, თავიანთ პროფესიულ ფუნქციებს რაიმე მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე ასრულებენ.

ამავდროულად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და მის წევრებს მრავალ სერიოზულ პრობლემასთან უწევთ ბრძოლა. საბჭოთა მმართველობის დროს ადვოკატურა ძლიერი ინსტიტუტი არ იყო, ხოლო დამოუკიდებლობის წლებში მისი მდგომარეობა და სტატუსი მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მხოლოდ სამიოდე წელია რაც ნორმალურად ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ მან ამ მოკლე პერიოდში მრავალ ამოცანას გაართვა თავი. თუმცა წინ კვლავ დიდი სამუშაო ელის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა გააგრძელოს მუშაობა, რათა მათი კორპუსის მიერ პატიოსნებისათვის წარმოებული ბრძოლის საჭიროება კონსტრუქციული დიალოგის აუცილებლობას შეუთავსოს.

მრავალ მიზეზთა გამო, ადვოკატებს არ უსარგებლიათ ისეთივე ინტენსიური სასწავლო ღონისძიებებითა და სხვა სახის დახმარებით, როგორსაც მართლმსაჯულების ადმინისტრირების სხვა მხარეები ღებულობდნენ გარეშე ინსტიტუტებიდან. ეს განსაკუთრებით ეხება მოსამართლეებს და პროკურორებს. საბოლოოდ, ამის გამო, ადვოკატების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა მასშტაბები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის შეთავაზებულ ღონისძიებებთან შედარებით საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. ასეთი მიდგომის შედეგების შემჩნევა ადვილად შეიძლება სისხლის სამართლის ზოგიერთი საქმის განხილვისას. ეს დისპროპორცია პრიორიტეტული წესით უნდა გამოსწორდეს.

ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნა და შევიწროება

ბოლო წლებში, 140-ზე მეტი ადვოკატის მიმართ სისხლის სამართლებრივი ბრალდების წაყენება და დაპატიმრება თავისთავად მიუთითებს პრობლემის არსებობაზე. ამ პრობლემის ახსნას სხვადასხვა მოსაუბრე სხვადასხვაგვარად გვთავაზობს. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს საქმეები ზოგადად დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრი ზომების დამკვიდრების ტენდენციას ასახავს და რომ ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნა, თავისი არსით, რაიმე ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუმცა თვით ადვოკატთა კორპუსში მტკიცედ სჯერათ, რომ ზოგიერთი საქმე არასათანადოდ იყო მოტივირებული, რომ მრავალ შემთხვევაში, როდესაც ქცევა, ყველაზე უარეს შემთხვევაში, არაეთიკურად შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული, გაუმართლებლად განიხილებოდა თაღლითობის ქმედებად, და რომ ადვოკატებს აშკარად არათანაზომიერ სასჯელს უფარდებდნენ. დელეგაციამ ვერ შეძლო გაეკეთებინა დამაჯერებელი დასკვნები სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევების ასეთი დიდი რაოდენობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუმცა ზოგიერთი საკითხი მაინც ნათელია.

პირველი: ადვოკატთა რაოდენობა, რომლებსაც ბოლო წლებში ბრალდებები წაუყენეს (ადვოკატთა კორპუსის 4%), უდავოდ მიუთითებს, რომ საქართველოში ამ კუთხით რაღაც წესრიგში არ არის. ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა და მათი აღმოფხვრა ყველა შესაბამისი უწყების მოვალეობას წარმოადგენს.

მეორე: ადვოკატთა დევნა მათი საქმიანობის გამო ძალზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობას. ამიტომ, მსგავსი გადაწყვეტილებები მხოლოდ მაშინ უნდა იქნას მიღებული, როდესაც დევნა სათანადოდაა დასაბუთებული.

მესამე: დევნის შემთხვევების საგულისხმო რაოდენობა დელეგაციას დაუსაბუთებლად მიაჩნია. დავები, რომლებიც მოსაკრებლებს ან ადვოკატთა არაეთიკურ ქცევას ეხებოდა და სამოქალაქო საქმის სახე ჰქონდა, განიხილებოდა როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. არ ხდებოდა ადვოკატთა სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ლეგიტიმური საჩივრების გამოძიება. არასწორი გადაწყვეტილებების დადგენის შემთხვევაში არ ხდებოდა შეცდომის გამოსწორება. ახალგაზრდა ადვოკატის, მარიანა იველაშვილის მდგომარეობა ნათლად ადასტურებს ზემოთქმულს.

მეოთხე: ადვოკატთა კორპუსმა თავად უნდა იმოქმედოს იმისთვის, რომ არ ხდებოდეს ადვოკატთა დევნა მათი პროფესიული საქმიანობის გამო. ასეთი შემთხვევების შემცირება ხელს შეუწყობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ამაღლების პროცესის გაგრძელებას. საჭიროა გადამზადების კონკრეტული კურსი, რომელიც ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის წერილობითი ხელშეკრულებების შემუშავების ტექნიკის სწავლებაზე იქნება ფოკუსირებული.

ადვოკატთა კორპუსის წევრებს მხოლოდ დევნის საფრთხე არ ემუქრებათ. მრავალმა ადვოკატმა განაცხადა, რომ საპატიმრო დაწესებულებებში მათ სერიოზულად უშლიან ხელს მუშაობაში და რომ ხშირია პატიმრობაში მყოფი მათი კლიენტების შეურაცხყოფის შემთხვევები. დელეგაციასთან შესახვედრად მრავალი ასეთი პირი მოვიდა, რომლებსაც უნდოდათ მოეთხროთ თავიანთი შემთხვევების შესახებ. ამ საჩივრებს საერთო თემა აერთიანებდა: ციხის თანამდებობის პირები და პროკურატურა ასეთ საყვედურებს სერიოზულად არ განიხილავს და არ ახდენს მათ სათანადო გამოძიებას, ან საერთოდ უარს აცხადებს გამოძიებაზე.

პრობლემები, რომელთა წინაშეც ადვოკატები დგანან მათი დევნისა და საქმიანობაში ხელის შეშლის გამო, მათ პროფესიაში თანაბრად არ არის წარმოდგენილი. ეს პრობლემები ძირითადად ექმნებათ სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებს, თუმცა თვით სისხლის სამართალში მომუშავე ადვოკატებიც კი ამ პრობლემებით არაერთგვაროვნად არიან შეწუხებული. მიუხედავად ამისა, ეს პრობლემები სერიოზული და მნიშვნელოვანია და ისინი უფრო სწრაფ რეაგირებას მოითხოვს, ვიდრე ეს დღეს ხდება.

ნდობისა და პატივისცემის დეფიციტი ადვოკატთა კორპუსსა და სხვა ინსტიტუციებს შორის

სისხლის სამართლის ადვოკატთა და პროკურატურას შორის კოლეგიალობისა და საერთო მიზნისადმი ერთობლივი სამსახურის შეგნება ძალზე დაბალია. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ პრო-

კურორები არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. კიდევ უფრო ცუდია ის, რომ პროკურორთა და მოსამართლეთა ზოგიერთ წრეებში ფესვები აქვს გადგმული სისხლის სამართლის ადვოკატთა მიმართ უპატივცემულობას და გარკვეულ სიძულვილსაც კი. ძნელია ითქვას საიდან მოდის ეს ან რამდენად დიდია ეს პრობლემა. ნათელია, რომ მართლმსაჯულების ინტერესები ვერ იქნება სათანადოდ გათვალისწინებული, როდესაც მასში ჩართულ მთავარ სუბიექტებს არ შეუძლიათ ან არ სურთ ერთად მუშაობა, ურთიერთნდობის სულ მცირე ხარისხითაც კი. თუმცა პრაქტიკა ადასტურებს, რომ ისინი უფრო ღია არიან დიალოგისა და თანამშრომლობისთვის უცხოელ პარტნიორებთან, ვიდრე ერთმანეთთან.

ადვოკატებსა და სხვა ინსტიტუციებს შორის ნდობისა და პატივისცემის დეფიციტი ერთ დღეში ვერ გამოსწორდება. ყველა მხარემ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა გულითადი და პროფესიული ურთიერთობების აღსადგენად. ეს სამუშაო უკვე მიმდინარეობს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და სხვა წამყვანი უწყებების წარმომადგენლები მსჯელობენ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო შესწორებების შესახებ. აუცილებელია, რომ ასეთი სახის თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს.

პროფესიული და ეთიკური სტანდარტები

ხარვეზები უდავოდ არსებობს ადვოკატთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ყველა დონეზე. პროფესიული დონე (ერთი წელი მუშაობის სტაჟი) არც სტრუქტურირებული და არც შეფასებული არ არის. არ ხდება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლება, როგორიცაა ადვოკატის საქმიანობა და პროფესიული ეთიკა. ადვოკატთა გამოცდა არ იძლევა პროფესიონალიზმის ადეკვატურ შეფასებას. დღეისათვის მოქმედებს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის ეთიკის კომისია და იგი ძალზე კარგ საქმეს აკეთებს, მაგრამ მას არა აქვს სათანადო რესურსები. სულ ახლახანს შემოღებული იქნა სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლება. ამ ინიციატივის დანერგვას, ვიდრე იგი ხელშესახებ ნაყოფს მოიტანს, გარკვეული დრო დასჭირდება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიზნად დაისახა პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ამაღლება. უკვე მიმდინარეობს ადვოკატთა გამოცდების სისტემის გადასინჯვა. საჭიროა ადვოკატთა შესახებ კანონის გადასინჯვაც. ჯეროვნად უნდა შეფასდეს პრობლემები, რომლის წინაშეც დგას საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ამაღლების კუთხით. ამ მიზნის განსახორციელებლად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შესაძლოა დასჭირდეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მთავრობისაგან და საერთაშორისო პარტნიორებისაგან. ნებისმიერ შემთხვევაში, პროფესიული სტანდარტების ამაღლება დღეს უმთავრესი პრიორიტეტია. ამ პროცესისადმი მხარდაჭერა დიდწილად შეუწყობს ხელს საქართველოში სამართლის უზენაესობის განმტკიცებას.

რეკომენდაციები

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის რეკომენდაცია სრულადაა მოცემული ამ მოხსენების ბოლოს.

ადვოკატთა კორპუსი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

სწავლება, ასოციაციაში მიღება და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა გააგრძელოს მუშაობა ადვოკატთა პროფესიული სტანდარტების ამაღლებისა და მათი კომპეტენციის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცების მიმართულებით. ამ მიზნით:

- ადვოკატთა გამოცდის ტესტი უნდა ითვალისწინებდეს ადვოკატის პროფესიული კომპეტენციის შეფასებას;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა იყოს საკმაოდ ინტენსიური;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაციის ეთიკის კომისიას, მისი სამუშაო პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის სათანადო რესურსები უნდა გააჩნდეს;
- მთავრობამ და საერთაშორისო პარტნიორებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ადვოკატთა კორპუსს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების გაუმჯობესების პროცესში.

ნდობასა და რწმენაზე დაფუძნებული ურთიერთობების აღდგენა

მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულმა ყველა ინსტიტუციამ ერთიანი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს ნდობასა და რწმენაზე დაფუძნებული ურთიერთობის აღსადგენად. ამ მიზნით:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ უნდა გააგრძელონ და ინტენსიური გახადონ ერთობლივ სემინარებში, სამუშაო ჯგუფებსა და თანამშრომლობის სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და პროკურატურამ უნდა ჩამოაყალიბონ რეგულარული შეხვედრების პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების განხილვა, ეთიკური სტანდარტების, საპროცესო შეთანხმებისა და მატერიალური სამართლის სფეროების ჩათვლით.

ადვოკატთა სამართლებრივი დევნა

- იმ შემთხვევებში, როდესაც ადვოკატის მხრიდან თაღლითობის რაიმე ნიშნები არ არსებობს, უმჯობესია პროკურატურამ კლიენტის საჩივრები გადაუგზავნოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შიგადისციპლინური პროცედურით განსახილველად და ყოველ საქმეზე სისხლისსამართლებრივი ბრალდების ძებნა არ დაიწყოს.
- ხელისუფლებამ სასწრაფო წესით უნდა გადახედოს მარიანა იველაშვილის საქმეს.

სასამართლო

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის და ობიექტურობის ასამაღლებლად; აგრეთვე უნდა დაიხვეწოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები.
- მოსამართლეებმა დაუყოვნებლივ უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა თითოეული მათი განაჩენის დამაჯერებლად დასაბუთებულობა უზრუნველყონ.
- მოსამართლეები უფრო ენერგიულად უნდა ცდილობდნენ სისხლის სამართლის პროცესებში ბრალდებულთათვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფას. მათ მიერ ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მოვალეობის განუხრელი შესრულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული ადვოკატის მიერ დაცვის საქმის ხარვეზით წარმართვის შესახებ არსებულ ვარაუდებზე.
- სისხლის სამართლის პროცესზე, მოსამართლეებმა დაცვის შუამდგომლობები, ბრალდების მხარის შუამდგომლობების თანაბრად უნდა განიხილონ. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ერთ შუამდგომლობას მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე მეორეს, სათანადოდ უნდა იქნას დასაბუთებული.
- მოსამართლეებმა, რომლებმაც კარგად იციან, რომ ბრალდებულისათვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ, საპროცესო შეთანხმებების მიმართ უფრო აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ. მათ არ უნდა დაამტკიცონ საპროცესო შეთანხმება, რომელშიც შეთანხმების შესაძლებლობა ბრალდების მხარის საქმით სათანადოდ გამყარებული არ არის.
- ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე მიღებული უნდა იქნას ზომები სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევების აღმოსაფხვრელად.

პროკურორები

- პროკურორებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გამოიძიონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადვოკატთა საქმიანობის ხელშეშლასთან და უკანონო ქმედებებთან დაკავშირებული საჩივრები. მათ ასეთი საქმეების არა მხოლოდ დეტალური და დაუყოვნებელი გამოძიება, არამედ ასეთი გამოძიებების თვალსაჩინოდ ჩვენებაც უნდა უზრუნველყონ. მოსარჩელეებს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

ციხის ადმინისტრაცია

- ციხის თანამშრომლებს მიღებული უნდა ჰქონდეთ მკაფიო მითითება, რომ ადოვკატისა და მისი კლიენტის დოკუმენტები და მათი მიმოწერა კონფიდენციალურია და რომ დაუშვებელია მათი შემოწმება ან მათ კომუნიკაციაში რაიმე სხვა ფორმით ჩარევა.
- სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული ზომები ქალი ვიზიტორების ჩხრეკის მეთოდებთან დაკავშირებით, ხოლო ციხის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ სათანადო სწავლება ჩხრეკის ჩატარების წესების ასათვისებლად.

კანონმდებლობა

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირეული გადასინჯვა რაც შეიძლება უმოკლეს დროში უნდა დასრულდეს.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსში საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საპროცესო უფლებების სრული პატივისცემა; ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, რათა ახალ კოდექსში გათვალისწინებული შესაძლო სასჯელებიდან ამოიღოს ადამინისტრაციული პატიმრობა.

თავი პირველი: მისიის ძირითადი ამოცანები და მეთოდოლოგია

ეს მოხსენება შემუშავებულია ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ფაქტების დამდგენი მისიის მიერ. მისია საქართველოში განხორციელდა 2012 წლის 23-27 აპრილს. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თვმჯდომარისაგან მიღებული სერიოზული საჩივრების განხილვის შემდეგ, რომლებშიც ქართველი ადვოკატებისა და მათი საქმიანობის წინაშე მდგარ დაბრკოლებებზე იყო საუბარი. განსაკუთრებით სერიოზული ბრალდებები დაკავშირებული იყო ადვოკატთა წინააღმდეგ აღძრულ არასათანადო და შეურაცხმყოფელ სამართალწარმოებასთან, რაც მათი მსჯავრდებითა და პატიმრობით მთავრდებოდა. მისიის წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები:

ა) იურიდიულ პროფესიათა დამოუკიდებლობა და ადვოკატთა სათანადო ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა გარანტიები;

ბ) მართლმსაჯულების განხორციელების სხვა ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლა, როგორც კანონის, ისე პრაქტიკის დონეზე, სამართლიანი სასამართლოს რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტების განხორციელებაზე ფოკუსირება;

გ) მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შემცველი მოხსენების დაწერა და გამოქვეყნება.

მეთოდოლოგია

მოსაზრებები და დასკვნები ძირითადად ეფუძნება ცხრამეტ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინტერვიუს, რომლებიც ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დელეგაციამ თბილისში, მისიის განხორციელებისას ჩაატარა. დელეგაციის წევრები შეხვდნენ ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ფართო სპექტრს, მათ შორის: იუსტიციის მინისტრის მოადგილეს; შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამდებობის პირებს; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოსა და ეთიკის კომისიის წევრებს; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს; მთავარი პროკურორის მოადგილეს; საქართველოს სახალხო დამცველს (ომბუდსმენს); 50-ზე მეტ ადვოკატს, კერძო პრაქტიკოსებისა და პროცესებში არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელით მონაწილე ადვოკატების ჩათვლით; ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჩათვლით; გაერთიანებული სამეფოს ელჩს და ბრიტანეთის საელჩოს სხვა თანამშრომლებს; ევროპის კავშირის დელეგაციის წევრებს; და გაეროს განვითარების პროგრამის, ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) იუსტიციის დეპარტამენტის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს. ასევე გაკეთდა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი.

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც დრო გამოძებნა და შეხვდა დელეგაციის წევრებს.

დელეგაციის წევრები

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი მადლიერებას გამოხატავს ფაქტების დამდგენი დელეგაციის მიმართ. მისი წევრები იყვნენ:

ჯოზეფ მიდლეტონი არის კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატი ლონდონიდან. იგი არის Doughty Street Chambers-ის (უშიშართა ქუჩის პალატის, *მთარგმნელის შენიშვნა*) წევრი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ადვოკატთა ერთ-ერთი წამყვანი პალატაა და სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებათა სფეროზეა ფოკუსირებული. ჯოზეფ მიდლეტონი არის მიგრაციის სამართლის, სისხლის სამართლის (განსაკუთრებით ექსტრადიციის საკითხებში) და საკონსტიტუციო სამართლის

სპეციალისტი. მას გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ მრავალ ქვეყანაში აქვს განხილული სიკვდილით დასჯის კონსტიტუციურობის საკითხი. 16 წლის განმავლობაში მან გამოცდილება შეიძინა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების და განსაკუთრებით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საარჩევნო კანონმდებლობის სფეროში. მან იცის რუსული ენა. თითქმის ორი წელი სწავლობდა მოსკოვში და რამდენჯერმე ნამყოფია თბილისში, სხვადასხვა მიზნით. მონაწილეობას ღებულობდა *ამნესტი ინტერნეიშენელის*, იურისტთა საერთაშორისო კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მისიებში (OSCE/ODIHR).

მაიკლ ლინი არის ირლანდიელი ადვოკატი ბულინიდან. მან დაამთავრა დუბლინის წმინდა სამების კოლეჯი (Trinity College). იგი იყო მრავალი მომჩივანის წარმომადგენელი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებში ირლანდიის მაღალი ინსტანციის სასამართლოში და უზენაეს სასამართლოში, ევროპის კავშირის მართლსაჯულების სასამართლოში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECtHR). მრავალ პროცესზე იგი წარმოადგენდა ირლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიას როგორც amicus curiae (დამოუკიდებელი ექსპერტი სასამართლოში, *მთარგმნელის შენიშვნა*). იგი არის ირლანდიის სამოქალაქო თავისუფლებათა საბჭოს, ირლანდიის საიმიგრაციო საბჭოს და საზოგადოებრივი ინტერესის სამართლის ალიანსის საკონსულტაციო ჯგუფების წევრი. იგი ასწავლის დიპლომის შემდგომ კურსს საკონსტიტუციო სამართალში, მასმედიის სამართალში და თავშესაფრის სფეროს სამართალში. იგი იყო ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების დამდგენი მისიების წევრი, მათ შორის, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დელეგაციის, რომელიც 2011 წელს სირიაში იყო მივლინებული.

სკოტ ნიუტონი 1999 წლიდან არის ცენტრალური აზიის სამართლის ლექტორი აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევის სამართლის სკოლაში, სადაც იგი ასევე იყო აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევითი ცენტრის თანამედროვე ცენტრალური აზიისა და კავკასიის ფაკულტეტის დეკანი. 1996-2000 წლებში იგი ცხოვრობდა და მუშაობდა ყაზახეთში, სადაც იყო სამართლის პროექტის დირექტორი და იუსტიციის მინისტრის მრჩეველი; შედარებით მოკლე ვადით მუშაობდა საერთაშორისო განვითარების საგენტოებში რუსეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ალბანეთში, შრი ლანკაში და მრავალ სხვა ქვეყანაში. იგი აქტიურად მუშაობდა საქართველოში, სადაც ასრულებდა კვლევითი ხასიათის სამუშაოს, ასევე იყო *კონსილიეიშენ რესორსის* პროექტების (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება) და ფონდ ღია საზოგადოების პროექტების (ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები) კონსულტანტი. იგი რეგულარულად ამზადებდა საექსპერტო დასკვნებს ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართლის საკითხებზე გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის.

რუპერტ უაითი (მისიის მომხსენებელი) არის ადამიანის უფლებათა პრაქტიკოსი სპეციალისტი. მას განსაკუთრებით დიდი გამოცდილება აქვს კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. 2006-2010 წლებში იგი მონაწილეობდა გაეროს დახმარების მისიაში ავღანეთში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა საკითხებზე: არასათანადო დაკავების, გარდამავალი მართლმსაჯულების ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების და შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო პირთა დაცვის საკითხების ჩათვლით. რუპერტ უაითმა ადვოკატის კვალიფიკაცია 1994 წელს მიიღო და ადამიანის უფლებების სფეროში დახელოვნებამდე მრავალი წელი კომერციული სამართლის სფეროში მუშაობდა. წმინდა ანდრიას უნივერსიტეტში მას მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის წოდება მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევებში, ესექსის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის წოდება ადამიანის უფლებათა სამართალში და ინგლისური ლიტერატურის ბაკალავრის წოდება ოქსფორდის უნივერსიტეტში.

ქეროლინ ჰოვარდი არის ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის პროგრამის იურისტი და სწორედ მის ფუნქციებში შედის საქართველოს ფაქტების დამდგენი მისიის მართვა. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტში მოსვლამდე, ქეროლინ ჰოვარდი ადამიანის უფლებათა საკითხებზე მუშაობდა ავღანეთში და დარფურში (კონფლიქტური რეგიონი სუდანში, *მთარგმნელის შენიშვნა*), აგრეთვე გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტში. იყო დაცვის კოორდინატორი ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოში. კაროლინს მიღებული აქვს ადამიანის უფლებათა მაგისტრის ხარისხი ესექსის უნივერსიტეტში და ისტორიკოსის ბაკალავრის წოდება ქეიმბრიჯის უნივერსიტეტის ქვინსის კოლეჯში.

თავი მეორე: ზოგადი ინფორმაცია

2.1. *ისტორიული კონტექსტი*

საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს, ევროპისა და აზიის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზასაყარზე. მეათე საუკუნეში იგი პირველად გახდა ერთიანი სამეფო და თავისი სამხედრო და კულტურული აღმავლობის ხანმოკლე 'ოქროს ხანა' გაიარა მანამდე, სანამ მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიას მონღოლთა ურდო შემოესია და საქართველოს 'გრძელი ბნელი ღამე' დაუდგა.[1]

შემდეგი 500 წელი საქართველო გახდა სპასეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მტრობის საგანი. საბოლოოდ, 1801 წელს, რუსეთმა მისი ანექსია მოახდინა. რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდი – 1918 წლიდან 1921 წლამდე, წითელი არმიის მიერ ქვეყნის ოკუპაციამდე, რის შემდეგაც, 1922 წელს, იგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, როგორც ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილი. 1936 წელს, ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის დაშლის შემდეგ, საქართველომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო.

1990 წლის ოქტომბერში, საბჭოთა კავშირის დაშლის საწყის ეტაპზე, ოპოზიციის ზეწოლის შედეგად ჩატარდა ღია, მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები, რომელსაც 1991 წლის აპრილის რეფერენდუმი მოჰყვა, რის საფუძველზეც საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, სათავეში ჩაუდგა განადგურების პირამდე მისულ ქვეყანას და საქართველო, საბჭოთა დროს ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქვეყანა, უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა.[2]

1992 წელს, სამხედრო გადატრიალების შედეგად, გამსახურდიას ხელისუფლება დასრულდა. მისმა შემცვლელმა, საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო დანგრევისაგან იხსნა.[3] თუმცა შევარდნაძის მთავრობაში სულ უფრო ვრცელდებოდა პროტექციონიზმი და კორუფცია; სიღარიბემ საყოველთაო და ენდემური ხასიათი მიიღო, ხოლო პრეზიდენტის ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი სულ უფრო მცირდებოდა. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ, საქართველომ დაკარგა კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რის შედეგადაც ქვეყანაში წარმოიშვა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ტალღა; ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო პრობლემური ეთნოსთაშორისი ურთიერთობები, საერთაშორისო ჩარევა და მოუგვარებელი, დაძაბული ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. საომარი მოქმედებები სამხრეთ ოსეთში ხანმოკლე პერიოდით კვლავ განახლდა 2008 წელს, ხოლო გამოყოფილი რეგიონების საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა კვლავ ჩიხშია შესული.

2003 წელს, მმართველი პარტია შეეცადა გაეყალბებინა საპარლამენტო არჩევნები, რამაც გამოიწვია ცვლილებების განხორციელების საყოველთაო მოთხოვნა ოპოზიციის მხრიდან, რასაც მოჰყვა მშვიდობიანი აქციები, რომელიც 'ვარდების რევოლუციის' სახელითაა' ცნობილი. შევარდნაძე აიძულეს გადამდგარიყო. 2004 წლის იანვარში ვარდების რევოლუციის ყველაზე გამოჩენილი ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ახალ პრეზიდენტად აირჩიეს 96%-იანი უმრავლესობით. 36 წლის ასაკში იგი გახდა სახელმწიფოს ყველაზე ახალგაზრდა მეთაური ევროპაში.

არჩევნებში პრეზიდენტ სააკაშვილის წარმატებას მალე მოჰყვა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო რეფორმა. შესწორებული კონსტიტუციით შემოღებულ იქნა პრემიერ მინისტრის პოსტი, პრეზიდენტის ძალაუფლების ნომინალური დაბალანსებისთვის, მაგრამ, იმავდროულად, პრეზიდენტს საგულისხმო უფლებამოსილებები გადაეცა, პარლამენტის დათხოვნის უფლების ჩათვლით.[4] კონსტიტუციური

1 თომას დე ვაალი, *კავკასია*, Oxford University Press, 2010, გვ. 36.
2 *იქვე*, გვ. 134.
3 თომას დე ვაალი, *'საქართველოს არჩევანი: მომავლის დაგეგმარება ბუნდოვან ეპოქაში'*, კარნეგის წვლილი საერთაშორისო მშვიდობაში, 2011 , გვ. 5, www.carnegieendowment.org/files/georgias_choices.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
4 *'რეფორმების დღის წესრიგი: ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი საქართველოს რევოლუციის შემდეგ'*, Human Rights Watch, 2004, http://www.hrw.org/reports/2004/02/24/agenda-reform-human-rights-priorities-after-georgian-revolution, [ხელმი2 საწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

ცვლილებებით პრეზიდენტს მიეცა მოსამართლეების დანიშვნისა და განთავისუფლების უფლება, რითაც გაიზარდა პრეზიდენტის ზეგავლენა სასამართლო ხელისუფლებაზე, რომელიც ისედაც განიცდიდა დამოუკიდებლობის დეფიციტს. ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით, ამ ცვლილებების განხორციელებისას, არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებები, კერძოდ, საჯარო კონსულტაციების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, თუმცა ცვლილებები მაინც განხორციელდა, იმ საბაბით, რომ იმ პერიოდში, საჭირო ინსტიტუციური და პოლიტიკური რეფორმების განსახორციელებლად საჭირო იყო 'მტკიცე აღმასრულებელი ხელისუფლება'.[5] პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ახალმა მთავრობამ იკისრა ვალდებულება, რომ ააშენებდა ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ლიბერალური ეკონომიკით და რეფორმირებული ინსტიტუტებით. საქართველომ ასევე მკაცრად პრო-დასავლური კურსი აიღო და გამოაცხადა, რომ ისწაფოდა გამხდარიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) და ევროკავშირის წევრი.

ანტიკორუფციულმა რეფორმებმა, რეკონსტრუირებულ და გამარტივებულ საგადასახადო სისტემასთან ერთად, ხელი შეუწყო ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებას, ხოლო 2006 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტი 350 მილიონი დოლარიდან 3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ამ ზრდის საშუალებით მოხდა გზების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. თუმცა 2005-2007 წლები ასევე გამოირჩეოდა ადამიანის უფლებათა დარღვევებით, დემოკრატიული პროცესების შეკვეცით და ძალაუფლების თვითნებური განხორციელებით.[6] ამ პრობლემებმა, ეკონომიკური რეფორმების არათანაბარ ზეგავლენასთან დაკავშირებულ ძირეულ საკითხებთან ერთად, 2007 წლის ნოემბერში თბილისში მასობრივი დემონსტრაციები გამოიწვია. პრეზიდენტი სააკაშვილი მეორე ვადით აირჩიეს 2008 წლის იანვარში, მაგრამ საგულისხმოდ მცირე უმრავლესობით.

ბოლო ხუთი წელი აღინიშნა ფართომასშტაბიანი პროტესტებითა და დემონსტრაციებით, რომლებიც მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ხელისუფლება მათ ცვალებადი ხარისხის ძალით პასუხობდა. ზოგ შემთხვევაში მათ მონაწილეთა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყლის ჭავლი გამოიყენეს. დემონსტრანტებს სჯიდნენ საქართველოს 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) საფუძველზე, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმების დაკისრებას და ხანგრძლივ ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს. როგორც ამას ქვემოთ განვიხილავთ, მისი დღევანდელი ფორმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ვერ უზრუნველყოფს სათანადო სამართალწარმოების პროცედურული გარანტიების დაცვას და სამართლიანი სასამართლოს პატივისცემას.

2.2. *ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და სისხლის სამართლის რეფორმა*

დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა საქართველოში

2004 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ახალმა მთავრობამ ძირითად პრიორიტეტად კორუფციისა და დანაშაულობის ღრმად ფესვებგამდგარი პრობლემების მოგვარება დაისახა. ამ ახალი მიდგომის ღერძად იქცა დანაშაულისადმი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა. იგი მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის აგრესიულ აღსრულებას როგორც მსუბუქი, ისე მძიმე დანაშაულის მიმართ. ეს მეთოდი შეგნებულად იქნა გადმოტანილი ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი ქალაქის კანონმდებლობიდან. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთელ სისტემაში გავრცელდა. გარკვეულ დონეზე მან მართლაც აშკარა წარმატება მოიტანა. მკვეთრად შემცირდა როგორც მსუბუქი, ასევე სერიოზულ დანაშაულთა დონე, მკვლელობების ჩათვლით. დანაშაულის შემცირებასთან ერთად საგულისხმოდ ამაღლდა საზოგადოების მხარდაჭერა სამართალდამცავი უწყებებისადმი.[7]

მთავრობამ ასევე აქტიურად დაიწყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. ხელისუფლებაში მოსვლის პირველი წლის განმავლობაში მრავალი ყოფილი მინისტრი და ბიზნესმენი დააპატიმრეს, ხშირად მასმედიის თანხლებით. 2004 წლის ზაფხულში, მთლიანად დაითხოვეს სახელგატეხილი საგზაო პო-

5 ნილ მაკფარლანე, *'პოსტ-რევოლუციური საქართველო ზღვარზე'*, Chatham House, 2011, გვ. 8, www.chathamhouse.org/sites/default/files/public/Research/Russia%20and%20Eurasia/bp0311_macfarlane.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

6 *იქვე*. გვ. 9.

7 თომას დე ვაალი, *'საქართველოს არჩევანი: მომავლის დაგეგმვა ბუნდოვან ეპოქაში'*, (იხ. სქოლიო 3), გვ. 14.

ლიციელთა კორპუსი და მის ნაცვლად ახალი, რეფორმირებული უწყება შეიქმნა. კორუფციის აღმოფხვრისაკენ გამიზნული, ანალოგიური რადიკალური რეფორმები ჩეულებრივ საპოლიციო ძალებში, საბაჟო სამსახურში და მთლიანად ადმინისტრაციულ ორგანოებშიც განხორციელდა.

ნულოვანი ტოლერანტობის ზეგავლენა მსჯავრდების დონეზე და პატიმართა რაოდენობაზე

დღევანდელი მთავრობის შთამბეჭდავ მიღწევად მიიჩნევა დანაშაულის დონის შემცირება და ყოველდღიური კორუფციის ფაქტიური აღმოფხვრა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებისას. თუმცა, დროთა განმავლობაში, თავი იჩინა ნულოვანი ტოლერანტობის ნაკლებად პოზიტიურმა მხარეებმა. კერძოდ, მსჯავრდების მაჩვენებელმა უპრეცედენტოდ მაღალ დონეს მიაღწია. 2011 წელს იგი დაახლოებით 97%-ს შეადგენდა.[8] ეს, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელი მაჩვენებელია, რადგან არ არის ნათელი სისხლის სამართლის პროცესების წარმოებისას ბრალდებულები არიან თუ არა უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოთი და ჩნდება ეჭვი, პროცესი პრაქტიკულად მათ წინააღმდეგ ხომ არ არის მიმართული. ეს საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთაა განხილული.

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის კიდევ ერთი შედეგია საქართველოში პატიმართა რაოდენობის განსაკუთრებული ზრდა. 2010 წელს საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით მსოფლიოში მეხუთე ადგილზე იყო.[9] სხვადასხვა წყროებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ პოლიტიკამ გამოიწვია, ან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ციხეების უზომოდ გადატვირთვას, ჯანდაცვის მომსახურების გაუარესებას და პატიმართა შორის სიკვდილიანობის დონის ამაღლებას. სულ მცირე, ზოგიერთ ციხეში, ამ პრობლემებს თან სდევს პატიმართა მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.[10]

საპროცესო შეთანხმების სისტემა

საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე სერიოზული ზეგავლენა იქონია საპროცესო შეთანხმების სისტემის შემოღებამ (ანუ, საპროცესო შეთანხმებამ). ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მსგავსად, ეს იდეაც ამერიკის შეერთებული შტატებიდანაა გადმოღებული. ეს სისტემა 2004 წელს შემოიღეს და იმ დღიდან მოყოლებული საპროცესო შეთანხმების გამოყენების შემთხვევები უზომოდ გაიზარდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელი ორგანო) მონაცემებით, 2011 წელს სისხლის სამართლის საქმეთა 87,5% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა.[11] საპროცესო შეთანხმების სისტემის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეს მეთოდი სისხლის სამართლის სისტემაში პრინციპულ და ლეგიტიმურ როლს ასრულებს და რომ იგი წარმატებული მექანიზმია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის ზოგავს დროს და სახსრებს და ამცირებს სასამართლოთა დატვირთვას. თუმცა სისტემის მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ ის გზა, რომლითაც საპროცესო შეთანხმება საქართველოში გამოიყენება, აბსოლუტურად შეუთავსებელია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. ეს საკითხი უფრო დეტალურად მეექვსე თავშია განხილული.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმა

1922 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან, საქართველო საბჭოთა სამართლებრივ სისტემაში მოაქციეს. სასამართლო ინსტიტუტციურად სუსტი იყო. მოსამართლეები ექვემდებარებოდნენ პოლიტიკურ ორგანოებს და ხშირად მათგან მითითებებს ღებულობდნენ. უმაღლესი სასამართლო ორგანო იმ დროს იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლო, რომელიც საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს ექვემდებარებოდა, ხოლო საქართველოს დაბალი ინსტანციის სა-

8 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები, დათარიღებულია 2012 წლის 31 მაისით. მონაცემებში გათვალისწინებული არ არის მსჯავრდებები, რომლებიც საპროცესო შეთანხმების შედეგად იქნა გამოტანილი, საქმის სასამართლო პროცესზე განხილვის გარეშე.

9 თომას დე ვაალი, *'საქართველოს არჩევანი: მომავლის დაგეგმვა ბუნდოვან ეპოქაში'*, (იხ. სქოლიო 3), გვ. 47.

10 საქართველოს სახალხო დამცველი, *'2010 წლის ყოველწლიური მოხსენება: სასჯელაღსრულების დაწესებულებათა და დროებითი დაკავების იზოლატორების მონიტორინგი'*, გვ. 7, http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/njxiqrvnresqlesvbinn.pdf [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

11 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2012 წლის 31 მაისს, ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი სტატისტიკური მონაცემები.

სამართლოები საბჭოთა სასამართლო სისტემის იერარქიის შესაბამისად იყო შექმნილი. სამართალწარმოების პროცესში ბრალდების მხარე დომინირებდა.

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მისი სამართლებრივი სისტემა ახლად მიღებული კონსტიტუციის შესაბამისად შეიცვალა.[12] შორსგამიზნული რეფორმები, სასამართლო ხელისუფლების შტოს ჩათვლით, ბოლო წლებშიც გრძელდებოდა. 2007 წელს მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რესტრუქტურიზაცია. გაიზარდა მოსამართლეთა რაოდენობა და შემოღებულ იქნა მოსამართლეთა შიდაუწყებრივი სწავლების ფორმა.[13] ახალ ინსტიტუციურ რეფორმებს თან სდევდა ახალი კანონმდებლობის მიღება. 2011 წელს, სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის რეფორმების საბჭოს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით მიღებული იქნა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას.[14]

2008 წელს, მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა პროკურატურაშიც, რომელიც ადრე აშკარად გამოირჩეოდა თავისი საზედამხედველო უფლებამოსილებით. იგი იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა. დღეს პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია. მას ხელმძღვანელობს მთავარი პროკურორი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე.[15] იუსტიციის მინისტრი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, ხოლო მთავარი პროკურორი ზედამხედველობას უწევს პროკურატურის საქმიანობას.[16] ადრე, ყოფილი საბჭოთა მართლმსაჯულების მსგავსად, პროკურატურა პასუხისმგებელი იყო პრეზიდენტის წინაშე.

ბოლო პერიოდამდე, ადვოკატურის რეფორმა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებში მიმდინარე რეფორმებს. ადვოკატთა სტატუსისა და სტანდარტების ამაღლების პროცესი დეტალურად განხილულია მესამე თავში.

სისხლის სამართლის პროცესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (სსსკ) ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომლებიც 2009 წელს გადაისინჯა და 2010 წლის ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის სისტემის შემოღება, რომელმაც ინკვიციურობის პრინციპი ჩაანაცვლა. ასევე შემოღებული იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუმცა, მხოლოდ მკვლელობის საქმეებზე. საქართველოში მისიის ვიზიტის დროისათვის, მხოლოდ ორი ასეთი პროცესი იყო ჩატარებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი სხვა ცვლილებების მეშვეობით გაიზარდა მინიმალური მტიცებულების მოთხოვნა და განმტკიცდა სისხლის სამართლის საქმეების სათანადო პროცესების უზრუნველყოფის გარანტიები. თუმცა სერიოზულ პრობლემად რჩება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა სისხლის სამართთლის საქმეებში. ეს საკითხი უფრო დეტალურად მეხუთე თავშია განხილული.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

სისხლის სამართლის დანაშაულისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის სასჯელი საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობაა. საბჭოთა კავშირში ადმინისტრაციული სამართალწარმოება, inter alia, გამოიყენებოდა ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი პროტესტის ან არასანქცირებული პოლიტიკური საქმიანობის დათრგუნვის და ხელის შეშლის მიზნით. დამოუკიდებელმა

12 *იქვე.*

13 იუსტიციის სამინისტრო, *'იუსტიციის უმაღლესი სკოლა: სასამართლო რეფორმა'*, http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=257, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს]. 2011 წლის განმავლობაში პრაქტიკოსი მოსამართლეებისთვის ჩატარდა 50-მდე სემინარი/ტრენინგი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა სამართალში, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ჩაატარა.

14 *იქვე.* ეს ეხება რამდენიმე საკანონმდებლო დოკუმენტს, როგორიცაა, ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ და საქართველოს კანონი საქმეთა განაწილების შესახებ. რეფორმა მოიცავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისთვის რაიმე სხვა ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავებას (სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო სამუშაოს გარდა).

15 კანონი საქართველოს პროკურატურის შესახებ, http://www.legislationline.org/documents/id/15661, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს]

16 *იქვე*, მუხლი 8.

სახელმწიფომ გადაწყვიტა შეენარჩუნება საბჭოთა სამართლის სისტემის ეს ელემენტი, ფრიად სამწუხარო, თუმცა, პროგნოზირებადი შედეგებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984 წელს მიიღეს და მას შემდეგ მასში მრავალი შესწორება და დამატება შეიტანეს, ყველაზე ბოლოს – 2011 წელს. იგი ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას და/ან ხანგრძლივი ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას დროებითი დაკავების იზოლატორში. ასეთი სასჯელები გამოიყენება მცირე ხულიგნობისთვის, პოლიციის ბრძანებისადმი უხეში დაუმორჩილებლობისთვის და საჯარო თავშეყრის ადგილებში წერიგის დარღვევისთვის.

ბოლო პერიოდამდე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 30 დღემდე პატიმრობას ითვალისწინებდა. იმის გათვალისწინებით, რომ აქ უმნიშვნელო ადმინისტრაციული დარღვევები იგულისხმება და ასეთ პროცესებში სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვა გართულებულია, ეს ისედაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გამოდიოდა. თუმცა, 2009 წელს, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მრავალი ტალღის შემდეგ, მაქსიმალური პატიმრობის ვადა გაასამმაგეს და იგი 90 დღე გახდა. შემდგომმა პრაქტიკამ უჩვენა, რომ ასეთი ხანგრძლივი პერიოდით პატიმრობის მისჯის შემთხვევები სულაც არ იყო იშვიათი. მხოლოდ 2011 წელს, სასამართლოებმა 90 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა 31 ადამიანს, 60 დღით – 132 ადამიანს, ხოლო 30 დღით – 343 ადამიანს მიუსაჯეს.[17]

როდესაც დაკავებულ ადამიანს ასეთი ხანგრძლივი პერიოდით პატიმრობა ემუქრება, ცხადია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს გარანტიები.[18] თუმცა, ნათლად ჩანს, რომ საქართველოში არ ხდება ამ გარანტიების უზრუნველყოფა. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სამართლიანი სასამართლოსა და სათანადო პროცესის უზრუნველყოფის ხარვეზს, როგორც კანონში, ისე პრაქტიკაში, ხშირად აკრიტიკებენ როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო ექსპერტები (იხ. ამ მოხსენების მე-5 თავი).

ამჯერად მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადასინჯვა, რომელშიც ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ევროპის საბჭოს ექსპერტები. შესწორებული კოდექსის მეორე პროექტს პარლამენტს წარუდგენენ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. თუმცა, დელეგაციასთან შეხვედრისას, ზოგიერთმა თანამოსაუბრემ შეშფოთებით აღნიშნა, რომ შესწორებები არც მასშტაბური იქნება და არც ეფექტიანი. უფრო მეტიც, მოსალოდნელია, რომ რაიმე ცვლილება ძალიან დაგვიანებული იყოს. არსებობს მოსაზრება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თავისი დღევანდელი ფორმით, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და პოლიტიკური მოვლენების ჩასახშობად იქნება გამოყენებული.[19]

2.3. *საქართველოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში*

1999 წლის მაისში, საქართველომ მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება, რის შემდეგაც, მასზე ვრცელება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია. 2011 წლის იანვრისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ 39 გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. სასამართლოში განსახილველად საქართველოდან შემოსულია 2 812 საქმე.[20] საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დამცველ რეგიონულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, წამების აღკვეთის ევროპულ კომისიასთან, რასიზმის და

17 *'ადმინისტრაციული შეცდომა: ხარვეზიანი ადმინისტრაციული პატიმრობის სისტემა საქართველოში'*, Human Rights Watch, 2012, გვ. 11, http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/hcqkqyhblwldxcayqiwg.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს]. ამ მონაცემებს მუდმივად აქვეყნებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

18 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე რამდენიმე მკაფიო განჩინება მიიღო, სომხეთის წინააღმდეგ შემოსული საქმის ანალოგიურად. იხ., მაგალითადმ *გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ*, App No 26986/03 (ECtHR, 2007 წლის 15 ნოემბერი). იმ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული სასჯელი -15 დღით თავისუფლების აღკვეთა, მიუთითებს, რომ პროცესი თავისი არსით იყო სისხლის სამართლის, და ამიტომ მასზე ვრცელდებოდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპით გათვალისწინებული სრული დაცვა, როგორც ეს მე-6 მუხლშია დადგენილი. თუ საქართველოს წინაშეც ანალოგიური გამოწვევები დადგება, მოსალოდნელია, რომ შედეგიც ანალოგიური იქნება.

19 საქართველოს სახალხო დამცველი, 'ყოველწლიური მოხსენება. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში' 2011', გვ. 51–66, www.ombudsman.ge/files/downloads/en/hcqkqyhblwldxcayqiwg.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს]. საჯარო დემონსტრაციის წინააღმდეგ პოლიციის ძალების არაპროპორციული გამოყენება კიდევ ერთი პრობლემური საკითხია.

20 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. *'ფაქტები ქვეყნების შესახებ: 1959-2010'*, 2011 წლის ნოემბერი, გვ. 22, www.echr.CoE.int/NR/rdonlyres/C2E5DFA6-B53C-42D2-8512-034BD3C889B0/0/FICHEPARPAYS_ENG_MAI2010.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ კომისიასთან და ევროპულ კომისიასთან 'დემოკრატია კანონის მეშვეობით' (ვენეციის კომისია).[21]

საერთაშორისო დონეზე, საქართველომ ასევე მოახდინა ადამიანის უფლებათა ცხრა ძირითადი ხელშეკრულების რატიფიცირება, მათ შორისაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;[22] კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ;[23] კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ;[24] და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.[25]

2011 წლის იანვარში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ განიხილა საქართველოში არსებული მდგომარეობა საყოველთაო პერიოდული განხილვის ფარგლებში. საქართველო დაეთანხმა რეკომენდაციათა უმრავლესობას, რომლებიც სხვა ქვეყნებმა წარმოადგინეს, მაგრამ უარყო ჩეხეთის რესპუბლიკის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხის მარეგულირებელი კანონის შეცვლას, და განაცხადა, რომ ამ სფეროში განხორციელებული რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა.[26]

ეროვნულ დონეზე, ადამიანის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავშია დაცული.[27] ადამიანის უფლებების დეტალურ კანონთან ერთად, კონსტიტუცია ასევე სახალხო დამცველის სამსახურსაც აფუძნებს.[28] საქართველოში სახალხო დამცველის ოფისს მაღალი ავტორიტეტი აქვს. სახალხო დამცველს (ან ომბუდსმენს) და მის კოლეგებს პატიმრობის ყველა ადგილზე მიუწვდებათ ხელი. სახალხო დამცველი ყოველწლიურად დეტალურ მოხსენებას წარუდგენს პარლამენტს. ეს მოხსენებები ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

21 ვენეციის კომისია არის ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო საკონსტიტუციო საკითხებში.
22 საქართველო შეუერთდა 1994 წლის 3 მაისს.
23 საქართველო შეუერთდა 1994 წლის 26 ოქტომბერს.
24 საქართველო შეუერთდა 1994 წლის 26 ოქტომბერს.
25 საქართველო შეუერთდა 1994 წლის 3 მაისს.
26 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *'საყოველთაო პერიოდული შემოწმების სამუშაო ჯგუფის მოხსენება'*, 2011, UN Doc A/HRC/17/11, რეკომენდაცია 107.5, 24, http://www.upr-info.org/IMG/pdf/a_hrc_17_11_georgia_e.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
27 საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=180&Itemid=85&lang=en, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
28 საქართველოს სახალხო დამცველი, *'ყოველწლიური მოხსენება. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში'*, (იხ. სქოლიო 9), გვ. 21

თავი მესამე: ადვოკატები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

უფრო ფართო კონტექსტში თუ განვიხილავთ, საქართველოში პრაქტიკოსი ადვოკატები ორ კატეგორიად შეიძლა დაიყოს: ისინი, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ და ისინი, რომლებიც მთავრობის სამსახურებში ან სხვა სექტორში მუშაობენ.

ადვოკატები აუცილებლად უნდა იყვნენ თავიანთი პროფესიული ორგანოს – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. მთავრობის სამსახურების ადვოკატები, პროკურორთა ჩათვლით, როგორც წესი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არ არიან. საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურებში დასაქმებული ადვოკატები, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაცვის ადვოკატები, ჰიბრიდულ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ისინი მთავრობის მიერ არიან დაქირავებული, მაგრამ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან. ადვოკატებს, რომლებიც ადვოკატთა კორპუსის წევრები არ არიან, შეუძლიათ კლიენტები წარმოადგინონ მხოლოდ პირველი ინსტანციის სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სხვა სამოქალაქო პროცესებში და სისხლის სამართლის საქმეთა ყველა სახის პროცესზე კლიენტის წარმოდგენა შეუძლიათ მხოლოდ ადვოკატის საქმიანობის უფლების მქონე იურისტებს.[29]

3.1. *ორგანიზაციის სტრუქტურა და ისტორია*

ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების (შემდგომში, 'ძირითადი პრინციპები') შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა თავიანთი წევრების სახელით ოთხი ძირითადი ფუნქცია უნდა განახორციელონ: სწავლებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა; პროფესიული სტანდარტების რეგულირება; იურიდიული მომსახურების გაწევა; და სამართლის უზენაესობის და იურიდიულ პროფესიათა დამოუკიდებლობის განმტკიცების ხელშეწყობა.[30] 'ძირითადი პრინციპები' ადვოკატებს უფლებას აძლევს შეუერთდნენ თვითმმართველ პროფესიულ გაერთიანებებს, რომელთა აღმასრულებელ ორგანოს მისი წევრები ირჩევენ და რომელიც თავის ფუნქციებს გარედან ჩარევის გარეშე ახორციელებს.[31]

საქართველოში ერთადერთი თვითმმართველი გაერთიანება, რომელიც ადვოკატთა სახელით ამ ძირითად ფუნქციებს ახორციელებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაა. დღეს იგი დაახლოებით 3700 ადვოკატს აერთიანებს, რომელთა უმრავლესობა საადვოკატო პრაქტიკას მარტო ეწევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა ყველა ადვოკატისთვის აუცილებელია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა მის წევრთა საერთო კრება, რომელიც იმართება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც. საერთო კრებაზე ირჩევენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს და სხვა თანამდებობის პირებს, ასევე ამტკიცებენ პროფესიული ეთიკის კოდექსს (შემდგომში, 'ეთიკის კოდექსი'). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მართვა ევალება აღმასრულებელ საბჭოს, რომელსაც ex officio ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციის სხვა ძირითადი ერთეულებია: ეთიკის კომისია, აუდიტის კომისია და განგრძობადი იურიდიული განათლების კომისია.[32]

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ასევე აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკური კომისიის და აუდიტის კომისიის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. ასოციაციის თავმჯდომარე ერთადერთი არჩეული პირია, რომელსაც სამუშაოსათვის ხელფასს უხდიან. თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში მას აკრძალული აქვს ადვოკატად მუშაობა.[33]

29 ირინა ურუმოვა, *'იურიდიული პროფესიები საქართველოში'*, 2008, www.osce.org/odihr/36297, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
30 *გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ*, მე-9 და 24-26 პრინციპები, http://www2.ohchr.org/english/law/lawyers.htm, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
31 *იქვე*, 24-25 პრინციპები.
32 *იხ.* საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, http://gba.ge/new/?lang=eng, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს]
33 *საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ*, 27-ე მუხლი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ორგანიზაციაა. ადვოკატთა შესახებ კანონში მისი შექმნა პირველად გათვალისწინებული იქნა 2001 წელს, სადაც დადგენილია ასოციაციის უფლებამოსილებათა კანონიერი საფუძვლები, მისი სტრუქტურა და მოვალეობები. თუმცა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნა რამდენიმე წლით დაგვიანდა მრავალი სარჩელის გამო, რომლებშიც ეჭვქვეშ აყენებდნენ ადვოკატთა ერთადერთი გაერთიანების კონსტიტუციურობის საკითხს.[34] ეს წინააღმდეგობა გამოწვეული იყო შიშით იმის გამო, რომ შემოთავაზებული ერთიანი ადვოკატთა ასოციაცია სამუდამოდ დააკანონებდა საბჭოთა სტილის ცენტრალურ კონტროლს ამ პროფესიაზე და ხელს შეუწყობდა კორუფციას.[35]

ადვოკატთა კორპუსის სტატუსთან დაკავშირებით კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული, რამაც ასევე ხელი შეუშალა ადვოკატთა გამოცდების ჩატარებას (რომელსაც 2004 წლამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებდა) და მათ ჩარიცხვას ადვოკატთა კორპუსში. თუმცა, ხანგრძლივი არგუმენტების შემდეგ, პრობლემები თანდათანობით მოგვარდა ერთიანი პროფესიული ასოციაციის სასარგებლოდ და საბოლოოდ, 2006 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია კანონის საფუძველზე შეიქმნა.[36]

წინსვლა ნელი ტემპით ვითარდებოდა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ვერ შეძლო მისი ყრილობის მოწვევა, ნაწილობრივ კვორუმის მოთხოვნის გამოც, რომელიც ადვოკატთა შესახებ 2001 წლის კანონით იყო დადგენილი. ამის გამო, 2009 წლამდე, ამჟამინდელი თავმჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევამდე, იგი უმოქმედო ინსტიტუტი იყო. 2006-2009 წლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმოქმედობის შედეგად პარლამენტში კვლავ განახლდა მოწოდებები ალტერნატიული ადვოკატთა ასოციაციის დაარსების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. იმ დროს, მსგავსი მოწოდებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ძირითადად იმ მოსაზრების გამო მოხერხდა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა უჭერდა მხარს და რომელიც ძლიერ, დამოუკიდებელ და ერთიან ადვოკატთა ასოციაციის არსებობას აღიარებდა.[37]

იუსტიციის სამინისტროში დელეგაციას აცნობეს, რომ მთავრობის ოფიციალური პოლიტიკა კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, როგორც ადვოკატთა ერთადერთ ეროვნულ გაერთიანებას. მთავრობას არ სურს გავრცელდეს აზრი, რომ იგი ერევა ადვოკატთა საქმეებში. თუმცა დელეგაციას ასევე აცნობეს, რომ ადვოკატთა ალტერნატიული გაერთიანების შექმნის სურვილი კვლავ აქვთ მთავრობის გარკვეულ წრეებს. ზოგიერთი თანამოსაუბრის აზრით, როგორც კი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მთავრობის კრიტიკით გამოდის, მაშინვე განახლდება ხოლმე მოწოდებები რამდენიმე ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით.

რამდენიმე თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საგულისხმო რაოდენობა ყოფილი პროკურორი ან მოსამართლეა, რომლებიც სამსახურიდან თავიანთი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო გაათავისუფლეს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეს წევრები უფრო კონსერვატიულები არიან და ნაკლებად უჭერენ მხარს რეფორმებს; მათ ასევე არ სურთ ანტაგონისტური დამოკიდებულება ჰქონდეთ თავიანთი ყოფილი კოლეგების მიმართ, არც სასამართლო დარბაზში და არც მასმედიისათვის ინტერვიუს მიცემის დროს. დელეგაციას აცნობეს, რომ ზოგიერთი ადვოკატის ეს კონფრონტაციული პოზიცია გაამწვავა იმ ფაქტმაც, რომ ადრე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას არ ჰყავდა მოქმედი ეთიკის კომისია (იხ. ქვემოთ). ამან საფუძველი შეურყია მთლიანად დაცვის ადვოკატთა რეპუტაციასაც.

3.2. *წევრად მიღების სტანდარტები, იურიდიული განათლება და გადამზადება*

მრავალმა თანამოსაუბრემ გამოხატა წუხილი ადვოკატთა ტრენინგებისა და მათი პროფესიული დახელოვნების სტანდარტებთან დაკავშირებით. ეს ეხებოდა ტრენინგებისა და სწავლების ყველა დონეს, აკადემიური სწავლების დონით დაწყებული, განგრძობადი იურიდიული განათლებით დამთავრებული. თუმცა ამ საკითხით შეშფოთების მთავარ საგანს მაინც ადვოკატთა გამოცდების სტანდარტი წარმოადგენდა.

34 *ურუმოვა*, (*იხ*. სქოლიო 29).
35 იხ. მოხსენება *Eurasianet.org*, http://russian.eurasianet.org/departments/insight/articles/eav061302aru.shtml, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
36 *ურუმოვა*, (იხ. სქოლიო 29).
37 *წერილი ევროპის ადვოკატთა საბჭოსა და იურიდიულ საზოგადოებათა პრეზიდენტის წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს*, 2009, www.ccbe.eu/fileadmin/user_upload/NTCdocument/Georgiapdf1_1272355806.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

საადვოკატო საქმიანობის უფლების მოპოვების კრიტერიუმი

საადვოკატო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად განმცხადებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება (უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობა), უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი (იხ. კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 10). ადვოკატთა გამოცდების ნაცვლად მას შეიძლება ჩაბარებული ჰქონდეს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა. თავად კანონი პრაქტიკოსი ადვოკატებისაგან არ მოითხოვს განგრძობადი იურიდიული განათლების მიღებას. თუმცა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ დააწესა მოთხოვნები განგრძობადი იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ).

ადვოკატთა აკადემიური და პროფესიული სწავლების დონეები

აკადემიური განათლების დროს ადვოკატებმა უნდა მიიღონ იურიდიული განათლება. ამის საშუალებას იძლევა 17 უმაღლესი სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში სწავლების სტანდარტები სხვადასხვაგვარია. ისიც ითქვა, რომ ზოგიერთ მათგანში სწავლების დონე უბრალოდ ძალიან დაბალია. საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები სასწავლო გეგმების (კურიკულუმების) განმტკიცებისა და სახელმძღვანელოთა სტანდარტიზაციის მიზნით.

პროფესიული სწავლება (მინიმუმ ერთი წელი მუშაობის გამოცდილება) სტრუქტურირებული პროცესი არ არის და ადვოკატთა ასოციაცია მას ოფიციალურად არც აკონტროლებს და არც აფასებს. პროფესიული სწავლების უმნიშვნელოვანესი ელემენტები – ადვოკატირებისა და პროფესიული ეთიკის პრაქტიკული კურსების ჩათვლით – ადვოკატთა გამოცდების ჩაბარებამდე არც მოითხოვება და არც არის ხელმისაწვდომი. ასევე არ ტარდება ტრენინგები მოლაპარაკებების ჩატარების, მოწმეთა დაკითხვისა და ჯვარედინი დაკითხვის, წერილობით ან ზეპირად სამართლებრივი არგუმენტების ჩამოყალიბების ან კლიენტთა, კოლეგებისა და სასამართლოს მიმართ ეთიკური ვალდებულებების სფეროებში. აქედან გამომდინარე, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: პროფესიული სწავლების (ტრენინგის) ეტაპი უნდა გახდეს სტრუქტურირებული პროცესი და უნდა მოხდეს მისი შეფასება; და სავალდებულო კურსები ძირითადი პროფესიული ჩვევების შესახებ, ადვოკატირებისა და პროფესიული ეთიკის ჩათვლით, უნდა იქნეს ინტეგრირებული და შეფასებული, როგორც ადვოკატთა სწავლების ნაწილი.**

ადვოკატთა გამოცდები

ადვოკატთა გამოცდების დანიშვნასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. იგი პერიოდული ინტერვალებით აქვეყნებს ტესტს, რომელშიც შედის 5000 ღია ტიპის (მრავალ ვარიანტიანი პასუხით) საკითხი და სწორი პასუხები. ადვოკატთა გამოცდაზე კანდიდატებმა პასუხი უნდა გასცენ ამ ტესტიდან აღებულ 100 საკითხს. თითქმის ყველა თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ ადვოკატთა გამოცდები აბსოლუტურად არაადეკვატურია. დღევანდელ საგამოცდო ტესტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული სამართლის აღქმის ან იურიდიული პრაქტიკის საკითხები. იგი არ იძლევა ადვოკატირების უნარის, ეთიკის საკითხების ცოდნის ან სხვა უაღრესად მნიშვნელოვანი (ზემოთ აღნიშნული) პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების საშუალებას. ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რადგან ადვოკატობის კანდიდატები ამ სფეროებში რაიმე ტრენინგს არ გადიან.

როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აქტორები დელეგაციის წინაშე მუდმივად ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მნიშვნელოვნად უნდა აამაღლოს ადვოკატობის მსურველების მიმართ წაყენებული უნარ-ჩვევების დონე და გააფართოვოს ამ მოთხოვნათა არეალი. მათ მიაჩნიათ, რომ თუკი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ასე არ მოიქცევა, იგი ვერ მოახერხებს ადვოკატთა პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას და ვერ დაძლევს დღეისათვის არსებულ მრავალ პრობლემას. **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: ადვოკატთა გამოცდები უნდა უზრუნველყოფდეს გონივრულ ტესტს ადვოკატის პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისთვის.**

ადვოკატთა სტანდარტების ამაღლებაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს, მაგრამ პროგრესი შეიძლება სწრაფად ვერ იქნას მიღწეული. სამუშაო ჯგუფს დაევალა ცვლილებების მომზადება კანონში ადვოკატთა შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება ადვოკატობის მსურველთა მიმართ წაყენებული

მოთხოვნების ამაღლება. თუმცა, ამ ცვლილებათა პაკეტის დასრულება 2012 წლის ბოლომდე მოსალოდნელი არ არის.

განგრძობადი იურიდიული განათლება

პროკურატურასთან და სასამართლოსთან შედარებით, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა შედარებით მცირეა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განგრძობადი იურიდიული განათლების უზრუნველყოფის კუთხით, უდიდესი პრაქტიკული პრობლემების წინაშე დგას. ეს სწავლება უნდა განხორციელდეს 3700 ადვოკატისთვის. საერთაშორისო დონორთა ფონდები ძირითადად პროკურორთა და მოსამართლეთა შესაძლებლობის განმტკიცებაზე იყო მიმართული.

სასამართლოები და პროკურატურა განსაკუთრებულ კრიტიკას გამოხატავდნენ სისხლის სამართლის პროცესების ადვოკატთა მიმართ, რომლებსაც უწუნებდნენ სასამართლო დარბაზში ქცევისა და სამართლის ცოდნის ზოგად დონეს. ისინი მიუთითებდნენ, რომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ წარსულში ორგანიზებული ტრენინგის კურსები დაცვის ადვოკატებს ვერ აძლევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წარმოდგენისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს. მათი აზრით, მოსამართლეთა მიმართ გამოთქმული ბრალდებები, რომ ადვოკატთა მიმართ ისინი ობიექტური არ არიან, საფუძველს მოკლებულია და რომ ასეთ ბრალდებას ძირითადად იწვევს ის ფაქტი, რომ ადვოკატები, არასათანადო ტრენინგებისა და სისხლის სამართლის კოდექსის არასაკმარისი ცოდნის გამო, უფრო ხშირად უშვებენ პროცესუალურ შეცდომებს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ 2012 წლის დასაწყისიდან ასოციაციის ყველა წევრისთვის სავალდებულო გახადა ყოველწლიური, სულ მცირე 12 საათიანი სწავლება განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში. ამ 12 სათიდან 3 საათი უნდა დაეთმოს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. ადვოკატთა უმრავლესობისთვის ეს იქნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის პირველი ოფიციალური დემონსტრირება. ადვოკატთა გამოცდების ჩაბარებიდან ერთი წლის განმავლობაში ადვოკატები მაინც არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური წევრები, რის გამოც მათ არა აქვთ რაიმე ვალდებულება (და არც ცოდნა მოეთხოვებათ) მისი ეთიკური სტანდარტების მიმართ.

განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ეთიკის სავალდებულო კომპონენტის გარდა, დანარჩენი ცხრა საათის შინაარსს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განსაზღვრავს სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციის გზით, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მას ტრენინგების ორგანიზებაში. ამ პარტნიორთა შორის არიან ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა (ABA CEELI), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ნორვეგიის სამართლის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG) და ევროკავშირი.

ABA CEELI-ი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისგან მიღებული აქვს ადვოკატებისთვის ტრენინგების შემუშავებისა და ჩატარების სრული უფლებამოსილება. იგი ამჟამად ტრენინგებს ატარებს იმ უნარ-ჩვევების სფეროებში, რომლებიც პრიორიტეტულადაა მიჩნეული სისხლის სამართლის ადვოკატებისთვის; იგი მოიცავს ძირითად უნარებს, რომლებიც საჭიროა სასამართლო პროცესისთვის, სასამართლო ექსპერტიზისთვის, იურიდიული დოკუმენტების შექმნისთვის და მოწმე ექსპერტების დაკითხვისთვის. იგი ასევე სპეციალურ ტრენინგს ატარებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესწავლის მიზნით. 2010 წლის ზაფხულიდან დღემდე, ABA CEELI-იმ დაახლოებით 1800-1900 ადვოკატს ჩაუტარა ტრენინგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, 1500 ადვოკატს - სასამართლო პროცესისთვის საჭირო უნარებში, ხოლო 850-მა ადვოკატმა გაიარა ექსპერტი მოწმეების გამოკვლევის ტრენინგი. სწავლებას ადვოკატები კმაყოფილებით შეხვდნენ, ხოლო სწავლების შემდეგ მათ მიერ სტანდარტების გამოყენებას ზოგადად დადებით შეფასებას აძლევენ.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისგან დელეგაციამ შეიტყო, რომ ევროკავშირის დაფინანსებით, ევროპის საბჭო ახორციელებს პროექტს 'სასამართლო რეფორმების განმტკიცება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში'. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ევროსაბჭოს ექსპერტები მუშაობენ რეკომენდაციების შემუშავებაზე, რომლებიც იურისტთა პროფესიული სტანდარტების

ამაღლებას ისახავს მიზნად.[38] იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, რომ როგორც სამინისტროს, ისე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული პროექტში, რომელიც საბოლოოდ შეიმუშავებს რეკომენდაციებს რამდენიმე ძირითად სფეროში. ამ სფეროთა შორის გათვალისწინებულია ადვოკატთა როლი, ადვოკატის სტატუსის მისაღებად საჭირო მოთხოვნები, განგრძობადი იურიდიული განათლება და დისციპლინური სტანდარტები.

იუსტიციის სამინისტრომ დელეგაციას ასევე აცნობა, რომ 2011 წელს, სისხლის სამართლის რეფორმის სამთავრობო საბჭომ (CJR Council) ევროკავშირის დონორთა ფონდიდან 120 000 ევრო გამოყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საბიუჯეტო მხარდაჭერის ახალი პროგრამის ფარგლებში (ხელმოწერილია ევროკავშირთან 2012 წლის თებერვალში) სისხლის სამართლის რეფორმის საბჭომ გადაწყვიტა ისეთივე ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, როგორსაც იგი ამჟამად უწევს იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს.[39]

საერთაშორისო დონორები აქტიურად მუშაობენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან განგრძობადი იურიდიული განათლების უფრო მასშტაბური პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით, რაც საკმაოდ იმედისმომცემი ნაბიჯია, თუმცა ადვოკატთა პროფესიული ტრენინგის სტანდარტების გასაუმჯობესებლად, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. აქედან გამომდინარე, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, თავისი პარტნიორების დახმარებით, უნდა გააძლიეროს მუშაობა განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამაზე, რომელიც უნდა იყოს საკმარისად ინტენსიური, რათა ადვოკატთა კომპეტენტურობისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას შეუწყოს ხელი.** ამასთან დაკავშირებით, **მოძიებული უნდა იქნას რესურსები სამართლის სფეროს მონაცემთა ბაზებზე ადვოკატების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, რათა მათ მუდამ ჰქონდეთ განახლებული ინფორმაცია სამართლის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომლებიც მათ პროფესიულ პრაქტიკასთანაა დაკავშირებული.**

მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთქმედება

დელეგაციისთვის ასევე ცნობილი გახდა ადრე ჩატარებული ერთობლივი ტრენინგების შესახებ, რომლებიც გამიზნული იყო მოსამართლეებისთვის, პროკურორებისა და დაცვის ადვოკატებისთვის და მოიცავდა საერთო პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ ტრენინგებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, როდესაც დელეგაცია ასეთი ინიციატივების განხორციელების პერსპექტივას განიხილავდა, პროკურორებიც და მოსამართლეებიც შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ ეს შეიძლება ადვოკატებს არაჯეროვნად გამოეყენებინათ კონკრეტული პროცესების წარმოებისა და განხილვისთვის, და არა საერთო პრობლემურ საკითხებზე კონსტრუქციული დისკუსიისთვის. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი საკითხების განხილვა და დისკუსიის პარამეტრების შეთანხმება ყოველთვის შეიძლება მანამ, სანამ ამგვარი ერთობლივი ღონისძიებები განხორციელდება.

დელეგაციას ასევე აცნობეს, რომ მთავარი პროკურორის მოადგილემ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შესთავაზა პროკურატურის სასწავლო ცენტრში არსებული რესურსები, რაც მათ დაეხმარებოდა ასოციაციის წევრთა პროფესიული დახელოვნების დონის ამაღლებაში. როგორც პროკურატურაში ამბობენ, ადვოკატთა ასოციაციამ ამ შეთავაზებაზე უარი თქვა. თუმცა მთავარი პროკურორის მოადგილემ დელეგაციასთან შეხვედრისას დაადასტურა, რომ ეს წინადადება ძალაშია, თუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მათ დახმარებისთვის მიმართავს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებს შორის ურთიერთობა ზოგიერთ სფეროში დაძაბულია, დელეგაცია მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მოსამართლეებთან და პროკურორებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს მთელ რიგ საკანონმდებლო სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც სისხლის სამართლის რეფორმის სამთავრობო საბჭომ შექმნა, ასევე ამავე საბჭოს მიერ ორგანიზებულ სამინარებსა

38 იუსტიციის სამინისტრო, *'საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა ადვოკატებთან მიმართებით'*, იუსტიციის სამინისტროს შიგა დოკუმენტი, გამოგზავნილია ელექტრონული ფოსტით 2012 წლის 21 მაისს.

39 *იქვე.*

და კონფერენციებში.[40] **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, სასამართლომ, პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ უნდა გააგრძელონ და უფრო ინტენსიური გახადონ მათი მონაწილეობა ერთობლივ სემინარებში, სამუშაო ჯგუფებში და თანამშომლობის სხვა ღონისძიებებში.** საქართველოს სამართლებრივი სისტემის ცვლილების სწრაფი ტემპისა და ამ მოხსენებაში აღწერილი მრავალი პრობლემის გათვალისწინებით, ერთობლივად განსახილველი საკითხების ნაკლებობის პრობლემა ნამდვილად არ დგას.

3.3. *განსხვავებული გამოცდილებები და შეხედულებები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში*

საქართველოს ზოგიერთი ადვოკატის წინაშე მდგარი პრობლემები მართლმსაჯულების ყველა სფეროში თანაბრად არ იჩენს თავს; როგორც ჩანს, ზოგიერთი პრობლემა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისას იჩენს თავს; თუმცა ზოგჯერ მსგავსი ხასიათის საკითხები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე მიმდინარე სამართალწარმოებასაც შეიძლება წარმოჩინდეს.

ერთ-ერთი მთავარი უკმაყოფილება, რომელსაც დელეგაციის წინაშე ადვოკატები და სხვა თანამოსაუბრენი გამოხატავდნენ, სისხლის სამართლის პროცესებში მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის პრობლემას ეხება. ეს საკითხი უფრო დეტალურად მეხუთე თავშია განხილული. თუმცა, ერთი გამონაკლისის გარდა, დელეგაციასთან მსგავსი უკმაყოფილება სამოქალაქო პროცესებთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს. ეს გამონაკლისი დაკავშირებულია სამოქალაქო დავებთან, სადაც კერძო პირი ედავება სახელმწიფოს, მაგალითად, მიწასთან დაკავშირებით. როგორც გვაცნობეს, ასეთ შემთხვევებში მოსამართლეები უფრო ხშირად სახელმწიფოს უჭერენ მხარს, საქმის არსებითი მხარის მიუხედავად. დელეგაციამ ვერ შეძლო ამ საჩივრის არსის გამოკვლევა. თუმცა, ასეთ სარჩელებში გადაწყვეტილების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღების ტენდენცია ალბათ შესაბამისია იმ პრობლემისა, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესებში ბრალდების მხარის მიმართ პრეფერენციულ დამოკიდებულებას უკავშირდება.

ადვოკატები და სხვა თანამოსაუბრენი კიდევ ერთ მთავარ პრობლემაზე მიუთითებდნენ. მათი განცხადებით, ადვოკატებს არა აქვთ სათანადო ხელმისაწვდომობა პატიმრობის ადგილებში მყოფ თავიანთ კლიენტებზე. ასეთ ადგილებში, მუშაობაში ხელს მათ სხვა საშუალებებითაც უშლიან. ეს საკითხი მეშვიდე თავშია განხილული. ცხადია, რომ ეს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატებს ეხება.

მესამე მთავარი საჩივარი დაკავშირებულია ადვოკატთა სისხლისსამართლებრივ დევნასთან, რაც ძირითადად დაკავშირებულია სავარაუდო არაეთიკურ პროფესიულ ქცევასთან. ეს საკითხი მერვე თავშია განხილული. დელეგაციისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ პრობლემის წინაშე დგანან როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეთა პრაქტიკოსი ადვოკატები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა პარამეტრით ძალზე სერიოზული საკითხია, იგი საქართველოს ადვოკატთა ძალზე მცირე რაოდენობას ეხება. ადვოკატთა უმრავლესობის მიმართ არც სისხლის სამართლის გამოძიება დაუწყიათ და არც ბრალდების მხარეს დაუშინებია.

მისიის დელეგატებთან გამოხატული სხვა პრობლემები პროფესიული პრაქტიკის სხვადასხვა სფეროებთან იყო დაკავშირებული. თუმცა მათი უმრავლესობა მაინც სისხლის სამართლის საქმეებიდან მომდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ თვით სისხლის სამართალში მომუშავე პრაქტიკოსებს შორისაც, ზემოაღწერილი პრობლემები თანაბრად არ არის განაწილებული. პრაქტიკოსთა წინაშე სერიოზული საკითხები დგას და ისინი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ, სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ზოგიერთ პრაქტიკოსი, სხვებთან შედარებით, აშკარად უფრო სერიოზული დაბრკოლებების წინაშე დადგა.

ამ პრობლემების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთმა პრაქტიკოსმა მიუთითა, რომ მის საწინააღმდეგოდ მიმართული ზომები გამოწვეულია სახელმწიფოს შეგნებული და სისტემატური მცდელობით ძირი გამოუთხაროს ადვოკატთა პროფესიის დამოუკიდებლობას. სხვებს მიაჩნიათ, რომ მათი კოლეგების პრობლემები მათივე მიზეზითაა გან-

40 *იქვე*. ბოლო თვეებში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებმა შექმნეს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფები.

პირობებული; მაგალითად: მათი არასათანადო კომპეტენტურობით, არაჯეროვანი მომზადებით, სამართლის სფეროში მიმდინარე მოვლენათა უცოდინრობით ან არაეთიკური ქცევით. ზოგიერთი ადვოკატი თავის კოლეგას აკრიტიკებდა იმის გამო, რომ იგი საჩივრის მასმედიასთან მიტანას უფრო ჩქარობდა, ვიდრე ოფიციალური არხებით მის განხილვას.

დელეგაციას არ შეუძლია თქვას, რომელია სწორი ადვოკატთა ამ განსხვავებული მოსაზრებებიდან. დელეგაციამ ეს მოსაზრებები გაითვალისწინა დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებისას. თუმცა, ამ მოხსენებიდან უკვე ნათელი გახდება, რომ საქართველოში მრავალი ადვოკატი აღმოჩნდა პრობლემების წინაშე, თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას.

გამოცდილებასა და მოსაზრებებს შორის არსებული განსხვავებები გარკვეულწილად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობაშიც აისახება. მისი აღმასრულებელი საბჭო თავის ხედვებში უდავოდ არის ურყევი და მონოლითური. მისი საქმიანობის შედარებით ხანმოკლე პერიოდში, ასოციაციის თავმჯდომარემ თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის – როგორც პროფესიული ინსტიტუტის – ენერგიულმა დამცველმა. მისი ხელმძღვანელობით მოხდა ჩარევა მთელ რიგ მწვავე შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო კონკრეტული ადვოკატის უფლებების დაცვა. იგი საჯაროდ გამოხატავდა მკვეთრ კრიტიკას მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. ზოგიერთმა თანამოსაუბრემ, აღიარებდა რა სწრაფად ცვალებად გარემოში ადვოკატთა როლის დამკვიდრების სირთულეს, იმავდროულად აღნიშნა, რომ ასეთი კრიტიკა, თავისი ბუნებით, ზედმეტად პოლიტიზირებული იყო.

დელეგაციაზე შთაბეჭდილება მოახდინა აღმასრულებელი საბჭოს წევრთა მიერ განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის ღია ფორმამ, როდესაც ისინი საუბრობდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინაშე მდგარი პრობლემების მასშტაბებისა და მიზეზების შესახებ. თვით ადვოკატების მხრიდან სხვა ინსტიტუტებთან დიალოგში ჩაბმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ქვეყანაში მისი ავტორიტეტისა და სტატუსის კონსოლიდირებაში დაეხმარება.

3.4. *პროფესიული ეთიკა*

დელეგაციისთვის ცნობილი გახდა ფართოდ გავრცელებული პრობლემა, რომელიც ეხება ადვოკატთა მიერ პროფესიული ეთიკის გაგებისა და მისი პრაქტიკაში დაცვის მდგომარეობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს შეიძლება იყოს პირდაპირი შედეგი იმ ფაქტისა, რომ ეს საკითხი არც ისწავლება სადმე და მისი ცოდნა არც ადვოკატთა ტრენინგის რომელიმე კომპონენტით მოითხოვება.

კანონი ადვოკატთა შესახებ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ავალდებულებს განსაზღვროს მისი წევრებისათვის შესაფერი ეთიკური სტანდარტები. ეს სტანდარტები ჩამოყალიბებულია 'საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში', რომელიც 2006 წელს მიიღეს.[41] ადვოკატთა შესახებ კანონის საფუძველზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს და განიხილოს მისი წევრების მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევის შესახებ შემოსული ინფორმაცია.[42] მანვე უნდა განიხილოს სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული საჩივრები, კლიენტების, კოლეგა ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეებისაგან მიღებული საჩივრების ჩათვლით. ადვოკატთა შესახებ კანონი ადგენს სხვადასხვა დისციპლინურ სახდელებს დადასტურებული დარღვევებისთვის, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ჩათვლით.[43]

მართალია, ეთიკის კოდექსი 2006 წელს იქნა მიღებული, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ დისციპლინური პროცედურის დებულებები მხოლოდ 2010 წელს მიიღო დოკუმენტში: 'ადვოკატთა წინააღმდეგ დისციპლინური პროცესის შესახებ'. მანამდე, არც საზოგადოების წევრებს და ზოგადად, არც ასოციაციის წევრებს არაფერი სმენიათ ეთიკის კომისიის მიერ დარღვევების განხილვის ან დისციპლინური ფუნქციების შესრულების შესახებ. 2006 წლიდან 2010 წლამდე, ეთიკის კომისიამ მხოლოდ 100 საჩივარი მიიღო. 2010 წლიდან მან 250-ზე მეტი საჩივარი გამოიძია. 2012 წლის პირველ ოთხ თვეში დაახლოებით 50 განცხადება შემოვიდა.

41 http://gba.ge/new/index.php?a=main&pid=308&lang=eng, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს]
42 *საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ*, (*იხ.* სქოლიო 33), 28.7 მუხლი.
43 *იქვე,* 34-ე მუხლი.

2010 წლიდან გამოძიებული 250 საჩივრიდან, სათანადოდ დასაბუთებულად მხოლოდ 25 იქნა მიჩნეული. ამ საქმეთაგან ხუთ შემთხვევაში, შესაბამისმა ადვოკატებმა შედეგები გაასაჩივრეს, თუმცა, გასაჩივრების შემდეგ, ყოველი საქმის შედეგი უცვლელი დარჩა. ყველაზე ხშირად, საჩივარი ეხებოდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების არაჯეროვან დაცვას, ინტერესთა კონფლიქტს ან ადვოკატის მიერ სასამართლოს უპატივცემულობას. ეთიკის კომისიის მიერ ამ 250 საქმის გადაწყვეტის შედეგად დაგროვილი პრეცედენტების ფონზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ამჟამად ამზადებს ეთიკის კოდექსის განახლებულ და შესწორებულ ვარიანტს, რომელიც ამ წლის ბოლოს, დასამტკიცებლად წარედგინება ასოციაციის საერთო კრებას. შესწორებების შედეგად, მოხდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის ჰარმონიზება შესაბამის ევროპულ სტანდარტებთან.

ეთიკის კომისია კმაყოფილებით შეხვდა განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ეთიკის საკითხებზე სავალდებულო ტრენინგის შემოღებას, თუმცა აღინიშნა, რომ უფრო მეტია საჭირო. როგორც საქმის გარემოებები უჩვენებს, საქართველოს იურიდიულ პროფესიათა შორის ეთიკური კულტურის ღრმა ფესვების არქონის გამო, ეთიკის კომისია თანდათანობით და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ, რადგან მას ამ ეტაპზე არ სურს რაიმე მკაცრი მეთოდებით ზიანი მიაყენოს ადვოკატების მიერ ეთიკური სტანდარტების აღიარების პროცესს.

დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეთიკის კომისიის წევრების და მათი ორი დამხმარე თანამშრომლის მონდომებამ. ისინი ენერგიულად შრომობენ, რათა ადვოკატის პროფესიში დაფუძნდეს მტკიცე ეთიკური სტანდარტები და უზრუნველყოფილ იქნას მწყობრი და ეფექტიანი მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც მომჩივანს ნდობით განაწყობს. კომისია დარწმუნებულია, რომ ასეთი მექანიზმი შემუშავების პროცესშია და რომ მისი ეფექტიანობის შემთხვევაში იგი წარმატებით იქნება გამოყენებული პრაქტიკაში, რაც პროკურატურაში საჩივრების შეტანაზე უფრო ხელსაყრელი ალტერნატივა იქნება.

საზოგადოებაში ნდობის ამაღლების მიზნით, ეთიკის კომისიის სამი წევრი მსაჯულის როლს ასრულებს, და იმ შემთხვევაში, როდესაც კომისია აკეთებს დასკვნას, რომ დარღვევა სისხლისამართლებრივი ხასიათისაა, ისინი საქმეს პროკურატურას გადასცემენ. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ გადასახადთან დაკავშირებული დავები (მაგალითად, ჰონორარების სქემები) შეიძლება გადაწყდეს ეთიკის პრინციპების საფუძველზე. ამიტომ, მრავალი საქმე, სადაც მიიჩნევენ, რომ ადვოკატმა არ იმოქმედა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე უკეთ კომისიის მიერ გადაწყდება.

ეთიკის კომისია ცდილობს საქმე სწრაფად განიხილოს. ერთი თვე ეთმობა პროცედურულ ნაბიჯებს, ხოლო მომდევნო სამ თვეში ხდება საქმის განხილვა. კომისია, გადაწყვეტილების მიღებისა და მისი გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მეშვეობით, ისევე როგორც საკუთარი პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაფუძნებული პრინციპებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და გაეროს ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობს.

როგორც უკვე აღინიშნა, დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომისიის გულმოდგინებამ. თუმცა მას აუცილებლად სჭირდება დამატებითი რესურსები; მის ორ დამხმარე თანამშრომელს დაბალი ხელფასები აქვთ, ხოლო კომისიის წევრებს, რომლებსაც ანაზღაურება საერთოდ არ გააჩნიათ, მძიმე და სწრაფად მზარდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უხდებათ. თავის პრეცედენტულ სამართალში მწყობრი პრინციპების ჩამოყალიბება დროს მოითხოვს. ამასთან, ეთიკის კომისია ადგენს 'სახელმძღვანელო მითითებას' პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის, რომელიც თან ერთვის მის ზოგიერთ გადაწყვეტილებას. ვინაიდან ადვოკატის საქმიანობის მტკიცე ეთიკური სტანდარტების შემუშავება სასწრაფო ხასიათის ამოცანაა, ხოლო ეთიკის კომისია ამ სამუშაოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ამ მიმართებით **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, უნდა უზრუნველყოს დამატებითი რესურსები ეთიკის კომისიისთვის, რათა მან წარმატებით შეძლოს მისი დღევანდელი სამუშაო პროგრამის განხორციელება.**

3.5. *ადვოკატები, რომლებიც ადვოკატთა კოლეგიის წევრები არ არიან*

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა კანონით მოეთხოვებათ ადვოკატებს, რომლებიც ადვოკატის საქმიანობას დამოუკიდებლად ეწევიან. თუმცა, არიან პირები, რომლებიც ადვოკატის საქმიანობას ეწევიან მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ შეძლეს ასოციაციის წევრობის სტატუსის მოპოვება ან მათ შეუწყდათ წევრობა.

2008 – 2010 წლებში, საქართველოს ადვოკატთა საზოგადოების 3000-მდე წევრს შეუწყდა წევრობის სტატუსი, ძირითადად იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს საწევროს გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირთა უმრავლესობას შემდგომში აღუდგა წევრობა, ის ფაქტი, რომ ადვოკატები საქმიანობას ეწევიან ასოციაციის წევრობის გარეშე, უდავოდ სერიოზული საკითხია. ეს ნიშნავს, რომ ადვოკატები საქმიანობას ეწევიან ასოციაციის მიერ მათი პროფესიული და ეთიკური საქმიანობის ზედამხედველობის გარეშე.

პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემის ერთ-ერთი მაგალითია ახლახანს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საქმეში *ბექაური საქართველოს წინააღმდეგ*,[44] განმცხადებლის ადვოკატთა დაბალი პროფესიონალიზმი საკმაოდ მკაცრად იქნა დაგმობილი, შედეგად კი განაცხადი არ მიიღეს. მოცემული სამი ადვოკატიდან მხოლოდ ერთი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.[45] **რეკომენდებულია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მტკიცე ზომები მიიღოს იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც კვლავ აგრძელებს საადვოკატო საქმიანობას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის გარეშე.**

3.6. *დასკვნა*

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ახალგაზრდა ორგანიზაციაა, რომელიც საქმიანობას ეწევა გარემოში, სადაც არ არსებობს მტკიცე დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის ტრადიცია, და სადაც რეფორმების პროცესი ბოლო ათი წლის განმავლობაში ნელი ტემპით მიმდინარეობდა და თავისი ბუნებით არათანაბარი იყო. თუმცა, ყველა, - ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო და ეთიკის კომისია - იღწვის ადვოკატთა რეპუტაციის ამაღლებისთვის და ასოციაციის წევრების პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ქცევის გაუმჯობესებისთვის.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და მისი წევრები კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა შორის მართლაც ბევრია მონდომებული და პროფესიისადმი ერთგული ადამიანი, არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ ადვოკატთა გამოცდები ვერ იძლევა პროფესიული კომპეტენციის ადეკვატურ შეფასებას, ხოლო განგრძობადი იურიდიული განათლების უზრუნველყოფას უფრო მეტი ყურადღება სჭირდება. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია დღეისათვის ფუნქციონირებს და შესანიშნავ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ მას არა აქვს საკმარისი რესურსები. **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა გააგრძელოს მუშაობა პროფესიული სტანდარტებისა და ადვოკატთა კომპეტენციისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიმართულებით.** ამ მიზნით, **მთავრობამ და საერთაშორისო პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ ყველა შესაძლო დახმარება, რათა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ჰქონდეს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების გაუმჯობესებისთვის საჭირო რესურსები.**

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, აღმასრულებელი საბჭოს წევრთა ჩათვლით, შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგეს ასოციაცია მისი წევრების უფლებების დაცვისა და მათი პროფესიული განვითარების ამოცანის გადაჭრას. თუმცა, ასოციაციის ხელმძღვანელობამ უნდა გააგრძელოს მუშაობა, რათა დაბალანსოს ერთი მხრივ, ადვოკატთა პატიოსნების დაცვის მოთხოვნა და მეორე მხრივ, ყველა მხარესთან კონსტრუქციული დიალოგის უზრუნველყოფის საჭიროება. ამ მიზნით, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ**

44 *ბექაური საქართველოს წინააღმდეგ*, App No 14102/02, 2012, 24-ე პარაგრაფი.
45 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადება, http://gba.ge/new/index.php?a=main&pid=685&lang=eng, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

და პროკურატურამ უნდა შეიმუშავონ პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს რეგულარულ შეხვედრებს საერთო ინტერესების მქონე საკითხების განხილვის მიზნით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამყარებული საჭირო კონსტრუქციული ურთიერთობების მსგავსად, სასამართლომ და პროკურატურამაც აუცილებლად უნდა გაზარდოს პროფესიული ურთიერთქმედება და თანამშრომლობა ასოციაციასთან. **ის ფაქტი, რომ დღეს, სასამართლოსა და პროკურატურის წევრებთან ერთად, სისხლის სამართლის რეფორმის საბჭოში აქტიურად იწვევენ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად, ძალზე პოზიტიური ნაბიჯი გახლავთ. ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს.** ამ სამუშაო ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ურთიერთ პატივისცემის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ამაღლებას, რაც ესოდენ საჭიროა მართებული და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

თავი მეოთხე: სასამართლოს დამოუკიდებლობა

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც სასამართლო სისტემის, ასევე ადვოკატთა კორპუსის ფუნქციონირებისთვის. სასამართლო დამოუკიდებლობისთვის საჭიროა ერთი მხრივ, ინსტიტუციური დამოუკიდებლობა ხელისუფლების ორგანოების ჩარევისა და უკანონო ზემოქმედებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდუალურ მოსამართლეთა პირადი დამოუკიდებლობა, თანამდებობის პირთა ან ზემდგომ მოსამართლეთა ჩარევისა და უკანონო ზემოქმედებისაგან.

სასამართლოს დამოუკიდებლობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით. ბოლო წლებში მრავალი შთამბეჭდავი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმა გატარდა, რომლებიც მიზნად ისახავდა სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას მოსამართლეთა დანიშვნის, დისციპლინისა და თანამდებობაზე ყოფნის ვადების სფეროებში.[46] მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ადვოკატთა წარმომადგენლებისაგან დელეგაციამ შეიტყო, რომ სასამართლო არ არის საკმარისად ღია ინსტიტუტი და რომ იგი საკმაოდ დაუცველია პოლიტიკური ჩარევებისაგან, განსაკუთრებით სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებისას.[47]

განსაკუთრებით პრობლემურია ის საქმეები, სადაც ბრალდებულები, მათი პოლიტიკური ან სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის გამო მთავრობის ოპონენტებად არიან მიჩნეული. მაგალითად, 2001 წელს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (GYLA) გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2009 წლის ანტისამთავრობო გამოსვლების შემდეგ ჩატარებული სასამართლო პროცესების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურად მოტივირებული იყო და რომ სასამართლო სისტემამ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა ვერც საგამოძიებო ორგანოების თვითნებური მოქმედებების კონტროლის კუთხით და ვერც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლიანობისა და საიმედობის გამოკვლევის ასპექტში.[48]

4.1. *მოსამართლეთა დანიშვნა*

სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, რომ მოსამართლეებს ნიშნავდნენ მკაცრი შერჩევის კრიტერიუმების მიხედვითა და გამჭვირვალე პროცესის გამოყენებით, რომელსაც დამოუკიდებელი ორგანო უნდა ახორციელებდეს. საერთაშორისო სტანდარტები არ კრძალავს მოსამართლეთა დანიშვნას აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, თუმცა უმჯობესია, რომ მოსამართლეთა შერჩევა დაევალოს დამოუკიდებელ ორგანოს, რათა სამართალწარმოებაზე ზემოქმედება არ იქონიოს პოლიტიკურმა მოსაზრებებმა.[49] ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ აცხადებს, რომ: 'ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც ზიანს აყენებს მოსამართლის არჩევას, შერჩევას, დანიშვნას, კარიერულ განვითარებას ან მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტას, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების ან საკანონმდებლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ინსტანციის ჩარევას, რომლის შემადგენლობაშიც, სულ მცირე, ნახევარი მაინც თავიანთი კოლეგების მიერ არჩეულ მოსამართლეებს უნდა წარმოადგენდნენ. მოსამართლეების არჩევა ისეთი პირობების შესაბამისად უნდა მოხდეს, რაც მათ მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობას უზრუნველყოფს.'[50]

---

46 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის, თომას ჰამერბერგის მოხსენება, ადამიანის უფლებათა ევროსავჭოს კომისარი, საქართველოში მისი ვიზიტის შემდეგ, 2011 წლის 18-20 აპრილს', CommDH(2011) გვ. 22, პუნქტი 24, https://wcd.CoE.int/ViewDoc.jsp?id=1809789&Site=&BackColorInternet=B9BDEE&BackColorIntranet=FFCD4F&BackColorLogged=FFC679 [ხელმისაწვდომი იყო]

47 *იქვე*, 27-ე პარაგრაფი.

48 საია, *'საავარაუდო პოლიტიკურ მოტივზე დაფუძნებული სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლებრივი ანალიზი'* (2011), გვ. 98, www.gyla.ge/attachments/964_savaraudod%20politikuri%20motivaciis%20saqmeebi_Full_ENG.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

49 იურისტთა საერთაშორისო კომისია, *'მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო პრინციპები: პრაქტიკოსთა სახელმძღვანელო'* , მეორე გამოცემა, ჟენევა, 2007, გვ. 4, www.icj.org/dwn/database/PG-J&L-ENG.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

50 *ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ*, 1998, 1.3.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭო (HCJ) არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე, რის საფუძველზეც, მას აქვს აღმასრულებელი უფლებამოსილება დანიშნოს და გაათავისუფლოს მოსამართლეები საოლქო და სააპელაციო სასამართლოებში და განახორციელოს დისციპლინური პროცესები სასამართლოს წევრების მიმართ.

2007 წლის რეფორმამდე, მოსამართლეთა დანიშვნისა და განთავისუფლების უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა, რომელიც ამავდროულად იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. დამოუკიდებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ამ უფლებამოსილების გადაცემა დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნისაკენ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად იქნა აღიარებული.[51]

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დღეს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. საბჭოში უმრავლესობას შეადგენს რვა მოსამართლე, რომლებიც დამოუკიდებლად არიან არჩეული საბჭოს წევრებად მოსამართლეთა კონფერენციის მიერ.[52] უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე - რომელიც ამ პოსტზე პრეზიდენტის მიერ არის დანიშნული - ღებულობს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კანდიდატი-მოსამართლეა უფლებამოსილი დააყენოს თავისი კანდიდატურა არჩევნებზე. რვა არჩეული წევრის გარდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ოთხი წევრი დანიშნულია პარლამენტის მიერ (პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ჩათვლით, როგორც ex officio წევრი), ხოლო ორი წევრი დანიშნულია პრეზიდენტის მიერ. პარლამენტის მიერ დანიშნულ წევრთაგან სულ მცირე ერთი მაინც უნდა იყოს ოპოზიციის წარმომადგენელი.[53]

დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ დაგეგმილია შესწორებების შეტანა კანონმდებლობაში, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას არეგულირებს. ცვლილების შედეგად (სხვა რეფორმებთან ერთად) პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები ან პოლიტიკური აქტივისტები.[54] თუმცა დელეგაციის ვიზიტის დროს გამოითქვა შეშფოთება, რომ იუსტიციის უზენაეს საბჭოში მოსამართლეთა დასახელება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებით ხდება.

მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის დებულებების საფუძველზე, მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს პირი 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა და გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი.[55] ასეთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლედ დანიშვნის თაობაზე. მოსამართლეთა კონკურსის შესახებ 2007 წლის საკანონმდებლო აქტში, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერაა მიღებული, დადგენილია შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებს: კანდიდატის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, მის პროფესიულ და ანალიტიკურ უნარს, სხდომათა დარბაზში ქცევის უნარს და პირად მახასიათებლებსა და მორალურ რეპუტაციას. საკონკურსო პროცესი ასევე ითვალისწინებს ერთ საათიან ინტერვიუს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკანონმდებლო აქტში წარმოდგენილი არ არის კანდიდატის შეფასების ობიექტურობის ელემენტი, ზოგიერთი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ შერჩევის პროცესი, განსაკუთრებით - ზეპირი ინტერვიუ, კვლავ სუბიექტური და არასაკმარისად გამჭვირვალეა.[56] ამ მოსაზრებას 2011 წლის აპრილში გამოეხმაურა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.[57]

---

51 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (სქოლიო 46), 32-ე პარაგრაფი.

52 მოსამართლეთა კონფერენცია არის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანო, რომლის წევრებიც არიან უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოების და საოლქო სასამართლოების მოსამართლეები.

53 იხ. http://hcoj.gov.ge/en/home [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

54 *იქვე.*

55 *კანონი საერთო სასამართლოების შესახებ*, 34-ე მუხლი.

56 ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, სამართლის უზენაესობის ინიციატივა, *'სასამართლო რეფორმის ინდექსი საქართველოში'*, 2008, გვ. 16; http://apps.americanbar.org/rol/publications/georgia_judicial_reform_index_volume_ii_2009_en.pdf, [ხელმიგ საწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

57 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, (იხ. სქოლიო 46), 32-ე პარაგრაფი.

აღნიშნული იქნა, რომ არასაკმარისი გამჭვირვალობით ხასიათდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კანდიდატთა შერჩევის პროცესიც. მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის კრიტერიუმები ნათლადაა ჩამოყალიბებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებაში,[58] ევროპის საბჭომ დაადგინა, რომ წესდებაში 'ნათლად არ არის დადგენილი, თუ რა ზეგავლენას ახდენს თითოეული კრიტერიუმი საბოლოო გადაწყვეტილებაზე, და როგორ შეიძლება ზოგიერთი კრიტერიუმის გაზომვა'.[59] ამიტომ, რეკომენდებულია, რომ გადაისინჯოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, რათა მან უფრო გამჭვირვალე პროცესი უზრუნველყოს.

ზოგიერთი საერთაშორისო დამკვირვებელი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში პრეზიდენტის და პარლამენტის მიერ დანიშნულ კანდიდატებს კვლავ აქვთ ვეტოს უფლება მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურის დროს.[60] თუმცა, პარლამენტისთვის 2011 წელს წარდგენილი საკანონმდებლო რეფორმების პაკეტში, არის წინადადება, რომ გაუქმდეს ვეტოს უფლება, ხოლო მოსამართლეობის კანდიდატები დაინიშნონ ხმათა უმრავლესობით.[61]

ასეთი წინადადება მისასალმებელია. ამასთან მიმართებით, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალებისა და ობიექტურობის ასამაღლებლად, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის პროცედურის ჩათვლით.**

4.2. *დისციპლინა, უფლებამოსილების ვადა და სხვა თანამდებობაზე გადაყვანა*

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ მოსამართლის დისციპლინური დასჯის, უფლებამოსილების შეჩერების ან თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადასინჯვას, რომლისთვისაც სათანადო საფუძვლები და მკაფიოდ დადგენილი პროცედურები უნდა არსებობდეს.[62]

საქართველოში მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება რეგულირდება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონით (დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონი). ამ კანონში არსებითი ცვლილებები შეიტანეს 2007 წელს, რაც გამოწვეული იყო ვენეციის კომისიის მითითებით, რომელიც აღნიშნავდა, რომ: კანონში არსებული დისციპლინური სამართალდარღვევის დეფინიცია იმდენად ფართო იყო, რომ იგი საფრთხეს უქმნიდა სასამართლოს დამოუკიდებლობას; ზოგიერთი ნაკლებად სერიოზული დარღვევებისთვის მოსამართლეთა განთავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებები იყო არაპროპორციული, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა განთავისუფლების პროცედურები არაკონკრეტულად და ბუნდოვნად აღიქმებოდა.[63]

2007 წელს შეტანილი ცვლილებების შემდეგ, დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონში უფრო ნათლად განისაზღვრა კანონით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევების ფარგლები და ამოღებული იქნა ის დებულებები, რომლებსაც კანონის განმარტებისას მოსამართლეები არასწორად აძლევდნენ დისციპლინური სამართალდარღვევის კვალიფიკაციას.[64] ზოგიერთმა დამკვირვებელმა

58 *იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება*, მე-8 მუხლი: კონკრეტული კრიტერიუმები მოიცავს შემდეგს: ა) საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები; ბ) მორალური მახასიათებლები; გ) ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი

59 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატი, *'სასამართლო რეფორმის განმტკიცება აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში - სამუშაო ჯგუფის მოხსენება პროფესიული სასამართლო სისტემების შესახებ - პროექტის მოხსენება: მოსამართლეთა ტრენინგი'*, სტრასბურგი, 2012, იხ: www.CoE.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/judic_reform/Eastern%20Partnership_Report%20on%20Training%20of%20Judges_English_Final%20version_15%2005%202012.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

60 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, (იხ. სქოლიო 46).

61 იუსტიციის სამინისტრო, *'სასამართლო რეფორმები'*, გვ.2. სამინისტროს შიგა დოკუმენტი, მიღებულია ელექტრონული ფოსტით 2012 წლის 21 მაისს.

62 *გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ,* პრინციპები 17-20 http://www2.ohchr.org/english/law/indjudiciary.htm, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

63 ევროპული კომისია დემოკრატია სამართლის მეშვეობით, ' დასკვნები კანონზე *საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწა,რმოების შესახებ'*, ვენეცია, 2007, პუნქტი 36, www.venice.coe.int/docs/2007/CDL-AD(2007)009-e.asp, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

64 ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, სამართლის უზენაესობის ინიციატივა, *'სასამართლო რეფორმის ინდექსი საქართველოში'*, (იხ. სქოლიო 56), გვ. 39.

აღნიშნა, რომ 2007 წლის შესწორებებით, სრულად არ აღმოფხვრილა ის ხარვეზები, რომლებზედაც ვენეციის კომისია მიუთითებდა დისციპლინურ პროცესებში გამჭვირვალების ნაკლებობასთან დაკავშირებით.

დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონში ბოლოს შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც ძალაში 2012 წლის მარტში შევიდა, მთლიანად გაუქმდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალობის მოთხოვნა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინური კოლეგიის ყველა გადაწყვეტილება სრულად უნდა გამოქვეყნდეს საბჭოს ვებგვერდზე, თუმცა ამოღებული უნდა იყოს ყველა პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემი.[65]

მოსამართლის უფლებამოსილების ვადა

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მოსამართლეებს, როგორც დანიშნულს, ისე არჩეულს, უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილების გარანტირებული ვადა სავალდებულო საპენსიო ასაკამდე ან დანიშვნის ვადის გასვლამდე.[66] საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ბოლო ცვლილებების შესაბამისად, (მიღებულია 2010 წელს და ძალაში შედის 2013 წელს) მოსამართლეების უფლებამოსილება გაგრძელდება მათი სიცოცხლის ბოლომდე.[67]

მოსამართლეთა სხვა ტერიტორიულ ერთეულებში გადაყვანა

დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ ადრე არსებული პრაქტიკა, როდესაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეეძლო თვითნებურად გადაეყვანა მოსამართლე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, უკვე გაუქმებულია. რამდენიმე თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ პრაქტიკის ბოროტად გამოყენება პრობლემური გახდა, რადგან მოსამართლეები ისე გადაჰყავდათ სხვა ადგილზე, რომ მიზეზსაც არ ეუბნებოდნენ, ზოგჯერ 'სასჯელის' ზომად იყენებდნენ განუსაზღვრელი ვადით ქვეყნის პერიფერიებზე გადაყვანას, ან, იმ მოსამართლეებს, რომლებიც ხელმძღვანელობას არ მოსწონდა, აიძულებდნენ გადამდგარიყვნენ.

დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსამართლეთა გადაყვანასთან დაკავშირებული განახლებული პროცედურის თანახმად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წერილობით უნდა დაასაბუთოს ნებისმიერი დაგეგმილი გადაყვანა, ხოლო რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოეთათბიროს მოცემულ მოსამართლეს. მოსამართლე უფლებამოსილია გაასაჩივროს ნებისმიერი გადაწყვეტილება მისი გადაყვანის შესახებ სასამართლო გადასინჯვის წესით.

4.3. *დასკვნა*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლო დამოუკიდებელია გარეშე ჩარევისგან, იგი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ღია და თვითდაჯერებული ინსტიტუტი. სამართლებრივი სისტემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ერთ-ერთი ბოლო გამოკითხვის შესაბამისად, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს სჯერა სასამრთლოს სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის, ხოლო სასამართლოს საიმედობის შესახებ საერთო აზრი 'არადამაჯერებელი და არაერთგვაროვანია'.[68]

დელეგაციამ მიუთითა რამდენიმე სფეროზე, სადაც მთავრობამ და სასამართლომ სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის პოზიტიური ღონისძიებები განახორციელეს. მასშტაბური რეფორმები გატარდა მოსამართლეთა დანიშვნის, დისციპლინისა და უფლებამოსილების ვადის სფეროებში, რისთვისაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო და შიდასახელმწიფო რესურსები და მხარდაჭერა იქნა გამოყენებული.

---

65 *საქართველოს კანონი ცვლილებების შეტანის შესახებ კანონში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ,* 2012, 30-ე მუხლი.

66 *გაეროს პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ*, (იხ. სქოლიო 62), მე-12 პრინციპი.

67 საქართველოს მთავრობა, *'ადამიანის უფლებათა საბჭოს 5/1 რეზოლუციის მე-15ა პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ეროვნული მოხსენება'*, 2010, UN Doc A/HRC/WG.6/10/GEO/1, 5, http://www.upr-info.org/IMG/pdf/A_HRC_WG-6_10_GEO_1_E.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

68 კავკასიის კვლევის რესურს ცენტრი, *'დამოკიდებულება საქართველოს სასამართლო სისტემისადმი'*, 2012, გვ. 20. იხ: http://www.ewmi-jilep.org/images/stories/NewsFiles/crrc_report.public%20attitudes%20judicial%20system%20eng.pdf, [ხელმისაწვedომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი მიესალმება ამ ღონისძიებებს, მაგრამ იძლევა რეკომენდაციას, რომ **იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ასამაღლებლად, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის პროცედურების ჩათვლით.**

საქართველოში საბჭოთა სამართალწარმოების მემკვიდრეობისაგან განთავისუფლებას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება. აუცილებელია მუდმივი მონიტორინგი და, რაც ახლა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია: საჭიროა მდგრადი პოლიტიკური ნება, რათა უზრუნველყოფილ იქნას დროული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები, რაც სასამართლო სისტემას განამტკიცებს.

თავი მეხუთე: მხარეთა თანასწორობა

დელეგაციამ შენიშნა, რომ არსებობს ფართოდ გავრცელებული აზრი (და არა მხოლოდ ადვოკატებს შორის), რომ ქართულ სასამართლოებში ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიმართ დამოკიდებულება დაბალანსებული არ არის. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა, როგორც დელეგაციას აცნობეს, გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში (რომელიც, თავის მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული) ადვოკატების მიერ თავიანთი კლიენტების ეფექტიანად წარმოდგენის შესაძლებლობებზე.

მართალია, ეს არ არის ამ უთანაბრობის კონკრეტული მიმანიშნებელი, მაგრამ მრავალი დამკვირვებელი მიუთითებს მსჯავრდების უაღრესად მაღალ დონეზე. დელეგაციას ასევე აცნობეს, რომ 2011 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილულ საქმეთაგან მხოლოდ 2.3 პროცენტი დასრულდა გამამართლებელი განაჩენით. 2010 წელს გამამართლებელი განაჩენით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირე იყო – 0.2 პროცენტი.[69] ამ თავში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით გახდა ცნობილი დელეგაციისთვის, კერძოდ, დაცვისა და ბრალდების მხარეების მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი შუამდგომლობები. ასევე განხილულია სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოძიების ჩათვლით.

5.1. *მხარეთა თანასწორობის პრინციპი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენცია*

საქართველო არის ევროპის საბჭოს წევრი, რის გამოც იგი ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები, რომლებიც, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებაში სამართლიან სასამართლოს უზრუნველყოფს. ამ სფეროში, სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენცია ძალზე ინტენსიურია, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს უფრო ფართო კონცეფციის ერთ-ერთი მახასიათებელია. ეს ნიშნავს, რომ *'თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე ისეთი პირობებით, რომლებიც მას, მის ოპონენტთან შედარებით, მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებს'*.[70] როდესაც ხდება განსაზღვრა იმისა, პრინციპი დარღვეულია თუ არა, *'მნიშვნელობა არა მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს, არამედ მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებისადმი გაზრდილ მგრძნობელობასაც ენიჭება'*.[71]

ამ კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა ნაწილობრივ ურთიერთგადამფარავ უფლებაზე შეჯიბრებითობის სისტემაში სამართალწარმოების მიმართ. იგი აცხადებს, რომ *'სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პროცესების მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა იცოდნენ ყველა წარმოდგენილი მტკიცებულების ან დასკვნის შესახებ, რათა კომენტარი გააკეთონ მათზე [...] სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით'*.[72] შეჯიბრებითობის სისტემის სამართალწარმოების უფლების დარღვევის განსაზღვრისას, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების გარეგნულ ნიშნებს.[73]

69 მონაცემები წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს მიერ, ელექტრონული ფოსტით, 2012 წლის 31 მაისს.
70 *დე ჰაესი და გისელსი ბელგიის წინააღმდეგ*, App No 19983/92, 1997.
71 *ბულუტი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1996.
72 *ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ*, App No 12005/86, 1991.
73 *იქვე.*

ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია *'მოიცავს მხარეთა თანასწორობის პრინციპს და ფუნდამენტურ უფლებას, რათა სისხლის სამართლის პროცესი იყოს შეჯიბრებითი'* და *რომ ორივეს, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს 'აუცილებლად ჰქონდეთ შესაძლებლობა იცოდნენ და კომენტარები გააკეთონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და დასკვნებზე'*.[74]

5.2. *დაცვის მხარის და ბრალდების მხარის შუამდგომლობათა განხილვა*

დელეგაციამ რამდენიმე წყაროსგან შეიტყო, რომ მოსამართლეები, დაცვის მხარესთან შედარებით, მეტ უპირატესობას ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს ანიჭებენ.

2012 წელს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული სასამართლოს მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციამ მოახდინა 66 წინასწარი განხილვის მონიტორინგი (2011 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე). აღმოჩნდა, რომ ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა, რომლებიც მტკიცებულების დასაშვებობას ეხებოდა, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ დააკმაყოფილა, ხოლო დაცვის მხარის შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილა მხოლოდ ისინი, რომლებიც ბრალდების მხარესთან იყო შეთანხმებული.[75] მიუხედავად იმისა, რომ ამ წინასწარ განხილვებში, პროცედურული განაცხადების წარდგენის თვალსაზრისით, ბრალდების მხარე უფრო აქტიურად გამოიყურებოდა (საია-მ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი 66 შუამდგომლობიდან დაცვის მხარემ მხოლოდ 6 შუამდგომლობის მოხსნა მოახერხა), ეს ვერ შეცვლის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო დასკვნას იმის შესახებ, რომ მოსამართლეთა მიერ სასამართლო დარბაზში გაკეთებული გადაწყვეტილებები ბრალდების მხარისთვის უპირატესობის მინიჭებაზე მიუთითებს.[76]

ანალოგიურად, დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას - რომლის შესახებაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აცხადებს, რომ ასეთი 'აღკვეთის ღონისძიება' მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში უნდა იქნას გამოყენებული[77] - სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულთა 70 პროცენტს უფარდებენ წინასწარ პატიმრობას. ასეთ პატიმრობებს ხშირად ასაბუთებენ მხოლოდ პროკურორის გაუმყარებელი განცხადებით, რომ პატიმრობა საჭიროა ბრალდებულის მიმალვის ან მის მიერ ახალი დანაშაული ჩადენის აღსაკვეთად.

როდესაც დელეგაციამ ეს მოხსენებები სასამართლოს წარმომადგენლებს უჩვენა, პასუხად მოისმინა, რომ ბრალდების მხარისადმი განსხვავებული დამოკიდებულება უბრალოდ ასახავს იმ ფაქტს, რომ დაცვის ადვოკატები, პროკურორებთან შედარებით, ნაკლებად იცნობენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. ასევე აღნიშნეს, რომ სასამართლოში თავიანთი კლიენტების საქმის წარდგენისას ადვოკატები ზოგადად მომზადების ნაკლები დონით გამოირჩევიან. შესაბამისად, არასათანადო და არაკორექტული შუამდგომლობები არ კმაყოფილდება იმიტომ, რომ სასამართლოს იმედი აქვს ამ გზით ხელი შეუწყოს დაცვის ადვოკატების სტანდარტების ამაღლებას.

თუმცა დელეგაციამ მაღალკვალიფიციური ადვოკატებისაგანაც შეიტყო, რომ სასამართლო არც მათ შუამდგომლობებს აკმაყოფილებს.

მიუთითებს რას მის ძირითად მოვალეობაზე, რომელიც გამოიხატება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვაში, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: სისხლის სამართლის პროცესებში მოსამართლეებმა თანასწორად უნდა განიხილონ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეთა შუამდგომლობები. ნებისმიერი გადაწყვეტილება რომელიმე შუამდგომლობის სასარგებლოდ სათანადოდ უნდა იქნას დასაბუთებული.**

74 *აბასოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ*, App No 24271/05, 2008.
75 *'თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მონიტორინგის მოხსენება'*, 2012, გვ. 5, http://gyla.ge/attachments/1336_monit_en_1%20-%20october-december%202 011.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].
76 *იქვე*, გვ.9.
77 სსსკ, 198-ე და 205-ე მუხლები.

სასამართლოს განმარტება მტკიცებულების მოპოვებისა და ჩამორთმევის დებულების შესახებ

მრავალმა ადვოკატმა, ვისაც დელეგაცია შეხვდა, აღნიშნა, რომ დებულების სასამართლო განმარტება უზღუდავს მათ მტკიცებულების მოპოვებისა და მისი სასამართლოში წარდგენის უფლებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსი ადგენს, რომ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.[78] სსსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ასევე უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას თვითონ ან ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება.

იქ, სადაც დაცვას შეუძლია მოიპოვოს მის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება, სასამართლოს ჩარევის გარეშე, რა თქმა უნდა იგი ამას გააკეთებს. მაგრამ, როდესაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს მტკიცებულების მოპოვებას, დაცვის მხარემ შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით უნდა მიმართოს მოსამართლეს (39-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ყველაზე ხშირად დაცვის მხარეს სასამართლოს ჩარევა სჭირდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაცვის საქმისთვის რელევანტური მტკიცებულება აქვს მესამე მხარეს, რომელსაც ნებაყოფლობით არ სურს მისი გამოქვეყნება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განმარტებული არ არის *'შესაბამისი განჩინების'* ცნება თუმცა სავარაუდოა, რომ იგი იქნება ან ბრძანება, რომელიც მესამე მხარეს დაავალდებულებს, მტკიცებულება გამოქვეყნოს ან, ნებაყოფლობით გამჟღავნებაზე უარის თქმის შემთხვევაში - ბრძანება მტკიცებულების ამოღების შესახებ, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს სახელზე გამოიცემა. ნებისმიერ შემთხვევაში, დაცვისთვის რელევანტური მტკიცებულების მოპოვების უფლება - საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს დახმარებით - სამართლიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მკაფიო და მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

სამწუხაროდ, 39-ე მუხლით დადგენილი პროცედურული გარანტიების პრაქტიკაში განხორციელება არ ხდება. მრავალმა თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს ხშირად არ აკმაყოფილებენ სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

111-ე მუხლი ეხება მტკიცებულების ძებნას და ამოღებას, და არა მის მოპოვებას. აქ წესები საკმაოდ განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული. ზოგადი წესი არის ის, რომ პროკურორს და დაცვის მხარეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები (მუხლი 111.1). თუმცა 111.2 მუხლში ამ წესიდან გამონაკლისი არსებობს, რომელიც აცხადებს, რომ *'დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შემდეგი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად: ა) ფარული საგამოძიებო მოქმედებები; ბ) ჩხრეკა; გ) ამოღება'.*

გასაკვირი არ არის, რომ სასამართლოები ბრალდებულებს და მათ ადვოკატებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ან მტკიცებულების დამოუკიდებლად ამოღების უფლებას (სახელდობრ იმ პირებისაგან, რომლებსაც ეს ნებაყოფლობით არ სურთ) არ მისცემს. თუმცა ზოგიერთი მოსამართლე 111-ე მუხლის მე-2 პუნქტს იმგვარად განმარტავს, რომ იგი სპობს მტკიცებულების მოპოვების უფლებას, რომელიც 39-ე მუხლითაა მინიჭებული. მოსამართლეები უარს ამბობენ განჩინების გამოტანაზე, რომელიც დაცვის საქმისთვის რელევანტური მტკიცებულების გამჟღავნებას მოითხოვს და ამ უარს ასაბუთებენ იმგვარად, რომ დაცვის მხარე ითხოვს მტკიცებულების ამოღებას, რაც თითქოსდა 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

ერთი შეხედვით, ეს აბსურდულად გამოიყურება. თუმცა დელეგაციას აცნობეს, რომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გამჟღავნების იძულებას ეხება (ტელე-ვიდეო ჩანაწერების ან სატელეფონო ჩანაწერების) სასამართლო მუდმივად უარს სწორედ ამ საფუძვლით აცხადებდა. აქედან გამომდინარე, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს აქვს შემდეგი რეკომენდაცია: სასამართლომ უნდა შეიმუშაოს კომენტარი ან სახელმძღვანელო მითითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე და 111-ე მუხლების განმარტების შესახებ. ეს დებულებები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ პრაქტიკული მნიშვნელობა მიანიჭოს დაცვის მხარის უფლებას მოიპოვოს მის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება. საჭიროების შემთხვევაში ეს უნდა განხორციელდეს სასამართლო განჩინების შესაბამისად, რომელიც მის მფლობელს ასეთი მტკიცებულების გამჟღავნებას აიძულებს.**

78 სსსკ, მე-9 მუხლი.

ექსპერტის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გამოკვლევა

ზოგიერთმა თანამოსაუბრემ შეშფოთება გამოთქვა სასამართლო პროცესზე ექსპერტებისთვის მინიჭებული წონის მიმართ. სსსკ ადგენს, რომ ასეთი ექსპერტები უნდა იცავდნენ მიუკერძოებლობის პრინციპს,[79] მაგრამ მათი უმრავლესობა მუშაობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომელიც 2008 წელს შეიქმნა და იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება.[80] აქედან გამომდინარე, მრავალი ადვოკატი ეჭვქვეშ აყენებს ამ ექსპერტთა დამოუკიდებლობას და აღნიშნავს, რომ სასამართლო ბევრად მეტ ნდობას უცხადებს ამ *'ოფიციალურ'* ექსპერტთა მოსაზრებებს, ვიდრე გარედან მოწვეულ ექსპერტებს, რომლებიც ინსტიტუციურად უფრო დამოუკიდებლებად არიან მიჩნეული.

5.3. *პროკურორთა შერჩევა და გადამზადება*

საჯარო ადმინისტრირების სხვა შტოების მსგავსად, პროკურატურაც აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუციურ რეფორმებში, რომლებსაც დღევანდელი მთავრობა ახორციელებს. რეფორმის შედეგად პროკურორთა რაოდენობა დაახლოებით ორი მესამედით შემცირდა; 2003 წელს საქართველოში იყო 1596 პროკურორი, ხოლო დღეს 591 პროკურორია.[81] შედარებისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში დღეისათვის დაახლოებით 3700 წევრია.

პროკურატურის მიერ განხორციელებული შერჩევის პროცედურა, პროკურორთა შედარებით მცირერიცხოვანი კადრებისთვის ხელმისაწვდომი ტრენინგის შესაძლებლობებთან ერთად, კარგი წინაპირობა აღმოჩნდა იმისთვის, რომ პროკურატურა შეჯიბრებითობის სისტემაში დომინანტ ძალად დამკვიდრებულიყო.

პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად მსურველებმა უნდა გაიარონ რამდენიმე წერითი ტესტი და ინტერვიუ. ამ ეტაპზე წარმატების შემთხვევაში მათ უნდა გაიარონ სტაჟირება პროკურატურაში 6-დან 12 თვემდე, რის შემდეგაც, მიღებული იქნება გადაწყვეტილება, აქვს თუ არა მოცემულ პირს პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. დღეისათვის, მოქმედ პროკურორთა შორის 75%–მა პროკურატურაში მუშაობა დაიწყო, როგორც ახლად კვალიფიცირებულმა იურისტმა.

პროკურორები გადიან სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების კურსებს, რომელიც უფრო ინტენსიურია, ვიდრე სხვა იურიდიულ პროფესიებში. თითოეული პროკურორი ყოველწლიურად 70 საათს უთმობს განგრძობადი იურიდიული განათლების სქემას. 2011 წელს პროკურორებმა გაიარეს ტრენინგი საქმისწარმოების სხვადასხვა კომპონენტებში, დაზარალებულთან და მოწმესთან კომუნიკაციის და სლაიდების პრეზენტაციის ეფექტიანი გამოყენების ჩათვლით. ტრენინგის შემდეგ მოხდა მათი შეფასება.

უწყვეტი შეფასების პროცესის გარდა, პროკურატურა, როგორც ჩანს, მოწადინებულია განამტკიცოს მისი ეთიკის კოდექსი, კერძოდ, გამოიძიოს მისი სამსახურის წევრთა მიერ ჩადენილი ნებისმიერი კანონდარღვევა. დელეგაციამ შეიტყო, რომ 2012 წელს 20 პროკურორი იქნა მსჯავრდებული მცირე მნიშვნელობის დანაშაულისთვის.

ის უპირატესობა, რომელიც პროკურატურას გააჩნია - მისი მცირე ზომის, დანიშვნის კონკურენტუნარიანი პოცედურების და მაღალეფექტური ტრენინგისა და შეფასების პროგრამების შედეგად - კიდევ უფრო გამყარდა იმის გამო, რომ იგი მუდამ იყო დონორთა ყურადღების ქვეშ. იგი კარგად არის დაფინანსებული და საკმარისი რესურსებიც გააჩნია, განსაკუთრებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან შედარებით, და ზოგადად დაცვის ადვოკატებთან შედარებით.

პროკურორთა ყოველთვიური ხელფასი 2000 წელს 15-60 დოლარს შეადგენდა, ხოლო 2012 წლისთვის 500-2000 დოლარამდე გაიზარდა,[82] რითაც პროკურატურაში მუშაობა ერთობ სასურველი გახდა იურიდიული ფაკულტეტების უნარიანი კურსდამთავრებულებისთვის.

---

79 სსსკ, მე-12 მუხლი.

80 ადვოკატთა საერთაშორისო დამკვირვებელი (ასდ), *საქართველოს მისიის მოხსენება*, 2011, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/ENG/news/Report%20on%20the%20Georgian%20Mission%20of%20the%20International%20Observatory%20for%20Lawyers.June%202011.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

81 შეხვედრა მთავარი პროკურორის მოადგილესთან, 2012 წლის 26 აპრილი.

82 *იქვე*.

დელეგაციამ ასევე შეიტყო, რომ პროკურატურის ყველა ოფისი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით, და რომ ყველა მათგანი დაკავშირებულია საქმეთა მენეჯმენტის ელექტრონულ სისტემასთან. მთავარმა პროკურორმა მითითება მისცა პროკურორებს გამოიყენონ სლაიდების პრეზენტაციები სასამართლოში საქმის წარდგენისას.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელია პროკურატურა გააკრიტიკო აგრესიული და ეფექტიანი გამოძიებისთვის, დელეგაციისთვის ცხადი გახდა, რომ ბრალდების მხარის პროფესიონალიზმი და მომზადების მაღალი დონე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სასამართლოს მხრიდან მათი არგუმენტებისადმი დამოკიდებულებაზე, და შეიძლება ითქვას, რომ განამტკიცებს ბრალდების საქმისადმი პროცესის მოსამართლეთა უფრო კეთილმოსურნე დამოკიდებულების ტენდენციას.

პროკურორებისთვის არსებული რესურსებისა და ტრენინგის შესაძლებლობათა ფონზე, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლომ უფრო აქტიურად იმოქმედოს, რათა ბრალდებული უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოთი.** სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის დაცვის მოვალეობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დაცვის მხარის მიერ დაცვის საქმის წარმოდგენის რაიმე სავარაუდო ხარვეზზე, როდესაც ამ უკანასკნელის შედარება ხდება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ საქმესთან.

5.4. *სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები*

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება

დელეგაციასთან მრავალჯერ აღნიშნეს, რომ სამართლოების მრავალი გადაწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რაც კიდევ უფრო ამწვავებს იმ მოსაზრებას, რომ სასამართლო უპირატესობას ბრალდების მხარეს ანიჭებს. მრავალმა პირმა დაადასტურა, რომ სუსტად დასაბუთებული, შაბლონური გადაწყვეტილებები, ხშირია როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და რომ ისინი ძირითადად მხოლოდ პოლიციის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ეფუძნება.

სახალხო დამცველი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ფაქტს, რომ სასამართლოს უჭირდა განემარტა გადაწყვეტილების საფუძვლები. მან 2010 წლის მოხსნებაში აღნიშნა, რომ შუალედური და საბოლოო განაჩენების დასაბუთება კვლავ რჩებოდა 'სისტემურ პრობლემად'.[83] თავის ბოლო ყოველწლიურ მოხსენებაში, სახალხო დამცველმა კვლავ ხაზგასმით მიუთითა სასამართლოს გადაწყვეტილებების არაადეკვატურ დასაბუთებაზე. 2011 წლის 169 ადმინისტრაციული სამართალწარმოების ანალიზის საფუძველზე მან დაასკვნა, რომ ამ საქმეებში განჩინებათა უმრავლესობა შაბლონის მიხედვით იყო შექმნილი და მრავალი მათგანი ან საერთოდ არ შეიცავდა დასაბუთებას, ან მოცემული დასაბუთება არასათანადო იყო.[84]

არასათანადო დასაბუთების პრობლემაზე საერთაშორისო ექსპერტთა მრავალ მოხსენებაშიცაა მითითებული.[85] იგი კვლავ რჩება იმ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, რომლებიც მიმდინარე ტრენინგებისა და შესაძლებლობათა განმტკიცების პროგრამებს უზრუნველყოფენ საქართველოს მოსამართლეებისთვის.

83 საქართველოს სახალხო დამცველი, *'2010 წლის ყოველწლიური მოხსენება. ასჯელაღსრულებითი დაწესებულებებისა და დროებითი დაკავების იზოლატორების მონიტორინგი'* (იხ. სქოლიო 10), გვ. 149.

84 საქართველოს სახალხო დამცველი, *'ყოველწლიური მოხსენება. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში'* (იხ. სქოლიო 19), გვ. 14.

85 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (სქოლიო 46), 28-ე პუნქტი.

ამ კონტექსტში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დელეგაციასთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ სასამართლო ინტენსიურად მუშაობს დასავლეთის მრავალი ქვეყნის ექსპერტ-მოსამართლეებთან ქართველი მოსამართლეების დასაბუთებულად წერის უნარის გაუმჯობესებაზე, და რომ მათ აქვთ ამ სფეროში პროგრესის მოლოდინი, რაც ინდივიდუალური უნარებისა და ინსტიტუციური ცნობიერების ამაღლებასთან ერთად უნდა იქნას მიღწეული. სახალხო დამცველმა დელეგაციას ასევე აცნობა, რომ 2011 წელს შეინიშნებოდა გარკვეული გაუმჯობესება და რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ასევე მიიღო ზომები ამ სფეროში სასამართლოს პრაქტიკის შესახებ მისი რეკომენდაციების შესასრულებლად.[86]

იმის გამო, რომ სასამართლო დასაბუთების არაადეკვატურობა კვლავ რჩება პრობლემურ სფეროდ, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ მოსამართლეებმა დაუყოვნებლივ უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა მათ მიერ გამოტანილი განაჩენები იყოს ინდივიდუალურად და დამაჯერებლად დასაბუთებული.**

სასამართლო გადაწვეტილების გასაჩივრება

გაეროს სამუშაო ჯგუფის ბოლო მოხსენებაში საქართველოში თვითნებური დაპატიმრების შესახებ, ნათქვამია, რომ უფრო მაღალი ინსტანციების სასამართლოები უცვლელად ტოვებენ დაბალი ინსტანციების სასამართლოებიდან მიღებული გადაწყვეტილებების 90 პროცენტს.[87]

დელეგაციასთან შეხვედრისას მრავალმა ადვოკატმა გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ სასამართლოს არ სურს სათანადოდ განიხილოს სააპელაციო საჩივარი. მრავალს მიაჩნია, რომ ეროვნულ სასამართლოებში გასაჩივრების პროცესი უბრალო ფორმალობაა, რომელიც საქმემ უნდა გაიაროს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენამდე, და არა ქმედითი მექანიზმი, რომელმაც, რეალისტური პერსპექტივის შემთხვევაში, შეიძლება უზრუნველყოს თავდაპირველი გადაწყვეტილების გაუქმება.

დელეგაციისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო სასამართლოები იგნორირებას უკეთებენ იმ საჩივრებს, რომლებიც საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას მომხდარ პროცედურულ დარღვევებთან არიან დაკავშირებული. მაგალითად, ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ როდესაც მან შეიტანა საჩივარი იმის შესახებ, რომ პროცესის მოსამართლემ მას უარი უთხრა მოწმის ჯვარედინ დაკითხვაზე, მისი საჩივარი დაუშვებლად ცნეს საჩივრის ამ ელემენტზე მითითების გარეშე.

ადვოკატები, რომლებსაც სურთ გაასაჩივრონ სასამართლოს განაჩენი მათი კლიენტების სახელით, ხშირად აწყდებიან პრობლემას, რომელიც ერთი მხრივ, განაჩენის სათანადო დასაბუთების არარსებობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო პროცესის ჩანაწერის მოპოვების სირთულეებთანაა დაკავშირებული. დელეგაციას აცნობეს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ აუდიო მოწყობილობები დღეს ყველა სასამართლოშია დამონტაჟებული, და რომ სასამართლო პროცესის ჩანაწერი მხარეს უნდა მისცენ მოთხოვნისთანავე, მრავალი ადვოკატი საყვედრობს, რომ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული საქმეების სტენოგრამის მოთხოვნისას სასამართლოსგან ხშირად ღებულობენ პასუხს, რომ ჩამწერი მოწყობილობა 'დაზიანებული იყო' და ამიტომ სტენოგრამა არ არსებობს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საშუალებას იძლევა პირის მიმართ დაიწყონ სამართალწარმოება სხვადასხვა მცირე მნიშვნელობის დანაშაულისთვის და საზოგადოებრივი წესრიგის უმნიშვნელო დარღვევებისთვისაც კი; დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში პირს ან დააჯარიმებენ, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებენ.

როდესაც პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ევროპული

86 საქართველოს სახალხო დამცველი, *'2011 წლის ყოველწლიური მოხსენება. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში'*, (იხ. სქოლიო 19), გვ. 157P: 'რეკომენდებულია, რომ საერთო სასამართლოებმა, შუალედური ან საბოლოო განაჩენის გამოტანისას, სათანადო დასაბუთება წარმოადგინონ, ფაქტებისა და კანონის თვალსაზრისით'.

87 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *'თვითნებური დაპატიმრების სამუშაო ჯგუფის მოხსენება'*, დანართი: მისია საქართველოში, 2012 წლის 27 იანვარი, UN Doc A/HRC/19/57/Add.2, 9, http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G12/102/62/PDF/G1210262.pdf?OpenElement, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. იგი მოიცავს უფლებას, რომ პირს *'ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად'*. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ამისთვის ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოახდინოს საკუთარი დაცვის ორგანიზება იმგვარად, რომ სასამართლო პროცესზე წარადგინოს დაცვის ყველა სათანადო არგუმენტი რაიმე შეზღუდვის გარეშე და სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში, გაეცნოს გამოძიების შედეგებს, რაც აუცილებელია დაცვის მიზნებისთვის.[88]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ასევე მოითხოვს, რომ სასამართლომ უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, სადაც განხილული იქნება დაცვის მხარის მიერ წამოყენებული ყველა სათანადო არგუმენტი. საქმეში: *ფომინი მოლდოვას წინააღმდეგ*, სადაც პირი დამნაშავედ ცნეს მოლდოვის ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.[89]

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალდებულმა პირმა სრულად უნდა ისარგებლოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები ბევრად უფრო სუსტი და ბუნდოვანია, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსი გარანტიები და ისინი ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა ძირითად უფლებასაც ვერ იცავენ, როდესაც პირი სათანადო პროცესის უზრუნველყოფას მოითხოვს.[90]

იუსტიციის სამინისტროს და სხვა უწყებათა წარმომადგენლებმა დელეგაციას აცნობეს, რომ დღეისათვის მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადასინჯვა და რომ მისი პროექტის მეორე ვერსიას პარლამენტს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარუდგენენ, მაგრამ, ამ წლის დასასრულამდე. აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი მიესალმება ამ ნაბიჯს და იძლევა რეკომენდაციას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური შესწორება რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულდეს. გარდა ამისა, შუალედურ პერიოდში, მიღებული უნდა იქნეს ზომები თავისუფალი სასამართლოს უფლებების დარღვევათა აღსაკვეთად, როდესაც საქმე განიხილება ადმინსიტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე.** ბრალდებულს თავისუფალი ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეს ადვოკატზე. დაცვის მხარემ სრულად უნდა მიიღოს ბრალდების მხარის მასალები და მას უნდა მიეცეს სათანადო დრო კლიენტის დაცვის მოსამზადებლად და წარსადგენად. სასამართლოებმა, საქმის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე განხილვისას, უნდა უზრუნველყონ გადაწყვეტილებების სათანადო დასაბუთება.

5.5. *დასკვნა*

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზოგადად საიმედო სქემას აყალიბებს მხარეთა შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად, პრაქტიკაში, დაცვის ადვოკატები ვერ სარგებლობენ მხარეთა თანასწორობით ბრალდების მხარის მიმართ. სასამართლოები დაცვის მხარის შუამდგომლობებს უმრავლეს შემთხვევაში არ აკმაყოფილებენ, ხოლო დებულების განმარტება პროკურორთა სასარგებლოდ ხდება. ასევე კრიტიკა გამოითქვა სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების კუთხით. **ამ პრობლემათა მოგვარებისთვის, უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად. სისხლის სამართლის პროცესებში მოსამართლეებმა ისევე უნდა განიხილონ დაცვის მხარის შუამდგომლობები, როგორც ბრალდების მხარის, ხოლო ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ერთ შუამდგომლობას ანიჭებს უპირატესობას მეორის მიმართ, მკაფიოდ უნდა იქნეს არგუმენტირებული.**

სხვადასხვა მიზეზთა გამო, საქართველოში პროკურორები უკეთ არიან აღჭურვილი და უკეთ არიან

88 *მოისეევი რუსეთის წინააღმდეგ*, App No 62936/00, 2008, 220-ე პარაგრაფი; *გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ* (სქოლიო 18), 84-ე პუნქტი.
89 *ფომინი მოლდოვას წინააღმდეგ*, App No 36755/06, 2011, 31-ე პუნქტი.
90 *'ადმინისტრაციული შეცდომა: საქართველოს ადმინისტრაციული პატიმრობის ხარვეზიანი სისტემა'*, (იხ. სქოლიო 17), გვ. 2

მომზადებული, ვიდრე მათი მოწინააღმდეგე მხარე. მაღალი პროფესიონალიზმის და მომზადების დონის წყალობით. პროკურატურამ შეჯიბრებითობის სისტემაში თავისი ინსტიტუტი წამყვან ძალად დაამკვიდრა და შეიძლება ითქვას, რომ განამტკიცა სასამართლოთა ტრადიცია ბრალდების საქმისთვის მეტი უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლომ უფრო აქტიურად უნდა იომოს, რათა სისხლის სამართლის პროცესებში ბრალდებულები უზრუნველყოფილი იყვნენ სამართლიანი სასამართლოთი.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პროცესის სათანადოდ წარმართვის სფეროში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, საჭიროა **უმოკლეს დროში დასრულდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური შესწორება. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი აგრეთვე მოუწოდებს მთავრობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსიდან ამოიღოს ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც შესაძლო სასჯელი.** მიზანშეწონილია მიღებულ იქნას შუალედური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით დაპატიმრებულთა სამართლიანი სასამართლოს უფლებებს, ვიდრე ძალაში შევა შესწორებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსი.

თავი მეექვსე: საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმების სისტემა 2004 წელს იქნა შემოღებული და მას შემდეგ მას საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, 2011 წელს, სისხლის სამართლის საქმეთა 87.5% მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმებით დასრულდა, სასამართლო პროცესამდე მიღწევის გარეშე.[91] დელეგაციასთან შეხვედრისას მრავალმა თანამდებობის პირმა ხაზგასმით მიუთითა საპროცესო შეთანხმების პოზიტიურ შედეგებზე. პოზიტიურ მახასიათებელთა შორის აღინიშნა საქმეებზე გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, სასამართლოების დატვირთვის შემცირება და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელების ფონზე, სხვადასხვა უწყებებს შორის უკეთესი თანამშრომლობის დამყარება.

ფართოდ არის აღიარებული, რომ საპროცესო შეთანხმების სისტემა ძალზე ეფექტიანი მექანიზმი აღმოჩნდა საქართველოში კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაული წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ დელეგაციამ ასევე შეიტყო, რომ საპროცესო შეთანხმების სისტემის განხორციელების ფორმა და მასზე სასამართლოს ზედამხედველობა ვერ აკმაყოფილებს სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპის მოთხოვნებს. ამის შედეგად, და განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებათა უმრავლესობა სწორედ საპროცესო შეთანხმებით მიიღწევა, ამ სისტემამ ზიანი მიაყენა საზოგადოების ნდობას მთლიანად მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ. ამ თავში ჩამოყალიბებულია ძირითადი პრობლემები, რომლებიც დელეგაციამ საპროცესო შეთანხმების სისტემასთან დაკავშირებით გამოავლინა.

6.1. *პროკურორის როლი*

საპროცესო შეთანხმების ქართულ მოდელს ყველაზე მეტად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ამ სისტემაში პროკურორი ძალზე ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს. როდესაც ამას ემატება ის ფაქტი, რომ გარეშე დამკვირვებლისთვის შეუძლებელია მოიპოვოს ხელშესახები ინფორმაცია საპროცესო შეთანხმების ბუნებისა და შინაარსის შესახებ, იგი იწვევს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას საპროცესო შეთანხმების სისტემასთან დაკავშირებით: სისტემა იძლევა ფართო შესაძლებლობას სუბიექტივიზმისთვის და პროკურორს არაჯეროვანი ზემოქმედების საშუალებას აძლევს.[92]

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ პროკურორს აქვს სრული დისკრეცია სასჯელის ზომასთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების დროს სთავაზობენ.[93] ამის გამო, მაგალითად, მას შეუძლია მოითხოვოს კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებულ მინიმალურ სასჯელზე ნაკლები, რაც, მრავალთა აზრით, უმალ მოსამართლის გადასაწყვეტია.[94] პირიქით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, მოსამართლეს უფლება არა აქვს შეამციროს შეთანხმებაში განსაზღვრული სასჯელის ზომა, თუმცა მას შეუძლია მხოლოდ საბოლოო განაჩენი გამოიტანოს შეთანხმების საფუძველზე, თუ მას მიაჩნია, რომ მოთხოვნილი სასჯელი არის 'კანონიერი' და დაფუძნებულია 'უტყუარ მტკიცებულებებზე', რაც ადასტურებს პირის ბრალსეულობას(განხილულია ქვემოთ).[95]

ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც პროკურორს თავისი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას აქვს დაწესებული არის ის, რომ სასჯელთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლსაწინაღმდეგოობა და საჯარო ინტერესი.[96] თუმცა დელეგაცია აღნიშნავს, რომ 'საჯარო ინტერესის' ცნება სსსკ-ში განმარტებული არ არის, და მისი გამოყენება სა-

91 იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით, 2012 წლის 31 მაისს. ეს შედარებულია 2010 წლის 80 პროცენტთან, და 2009 წლის 58 პროცენტთან. 2012 წლის პირველ ოთხ თვეში საქმეთა 89 პროცენტი დასრულდა საპროცესო შეთანხმებით.

92 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, *'საპროცესო შეთანხმება საქართველოში: შეთანხმებული მართლმსაჯულება'*, 2010, გვ. 17, http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

93 სსსკ, 210 (3) მუხლი.

94 ევროპის საბჭოს ადამიანს უფლებათა კომისარი (სქოლიო 46), 68-ე პარაგრაფი.

95 სსსკ, 213 (4) მუხლი.

96 სსსკ, 210 (3) მუხლი.

თანადო სასჯელის განსაზღვრის კონტექსტში, საპროცესო შეთანხმების მიზნებისთვის, ბუნდოვანი და სუბიექტური ბუნების მატარებელია.[97]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორებს ასევე საშუალებას აძლევს საპროცესო შეთანხმების პირობების საფუძველზე, ჯარიმის გადახდა შესთავაზონ (სხვა არასაპატიმრო სახდელებთან ერთად) ალტერნატიული ან დამატებითი სასჯელის სახით. ეს ეხება ისეთ საქმეებსაც, სადაც კანონი მოცემული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის ზომად ჯარიმას არ ითვალისწინებს.[98]

ისტორიულად, საპროცესო შეთანხმება ასოცირდება ყოფილი რეჟიმის წევრების რეზონანსულ დაპატიმრებებთან კორუფციის ბრალდებით (და მათ შემდგომ განთავისუფლებასთან, მას შემდეგ რაც ისინი 'კომპენსაციის' სახით, მნიშვნელოვან ჯარიმებს იხდიდნენ). ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ საპროცესო შეთანხმება მიჩნეულია ინსტრუმენტად, რომელიც მდიდარ დამნაშავეებს თავისუფლების გამოსყიდვის საშუალებას აძლევს, ხოლო სახელმწიფო, ეროვნულ ბიუჯეტში პირდაპირი ჩარიცხვებით, საგულისხმო თანხებს იღებს.[99]

დელეგაციამ, მისიის განხორციელების დროს, ეს პრობლემა მთავარი პროკურორის მოადგილესთან და იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან განიხილა. საპროცესო შეანხმების სისტემის ფუნქცია კვლავ სადავო საკითხად დარჩა: არის იგი ბრალდებულისთვის 'თავისუფლების გამოსყიდვის' საშუალება, თუ სახელმწიფოსთვის შემოსავლების გაზრდის გზა? თუმცა გადაჭრით ითქვა, რომ საჭიროა სისტემის მიმართ საზოგადოებრივი აზრის შეცვლა.

ამასთან დაკავშირებით, დელეგაციამ შეიტყო, რომ ამჟამად საერთაშორისო ექსპერტებთან მიმდინარეობს კონსულტაცია იმ მიზნით, რომ გატარდეს რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროცესო შეთანხმების სისტემის მეტ გამჭვირვალობას და ამ სისტემის საფუძველზე შეფარდებული სასჯელების მეტ შესაბამისობას. როგორც დელეგაციისთვის გახდა ცნობილი, ყველა საპროცესო შეთანხმება, რომლებიც დღეს ინდივიდუალურ პროკურორებს აქვთ გაფორმებული, ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას და მათ ზედამხედველობას უწევს უფროსი პროკურორი, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

6.2. *მოსამართლის როლი*

საპროცესო შეთანხმების პირობების ჩამოყალიბებისას, პროკურორისთვის გადამწყვეტი როლის მინიჭებასთან დაკავშირებული პრობლემის პარალელურად, დელეგაციამ მრავალი წყაროსგან შეიტყო, რომ სასამართლო ვერ ასრულებს თავის უმთავრეს მოვალეობას – ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას საპროცესო შეთანხმების პროცესის განმავლობაში.

ასეთი განცხადებები განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან ბრალდებული, დანაშაულის აღიარებისას (რაც საპროცესო შეთანხმების ნაწილია), უარს ამბობს მთელ რიგ ფუნდამენტურ უფლებებზე. ეს მოიცავს ჩვენების მიცემის უფლებას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ასეთ გარემოებებში, მოსამართლეს ეკისრება განსაკუთრებული მოვალეობა: უზრუნველყოს საკანონმდებლო გარანტიების სათანადო განხორციელება, რომლებიც ისევ დაიცავს იმ პირთა უფლებებს, რომლებიც საპროცესო შეთანხმების სუბიექტები გახდნენ.

როდესაც მოსამართლეს წარუდგენენ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანის თაობაზე, მოსამართლე ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ბრალდებულისთვის ცნობილია ყველა სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება საპროცესო შეთანხმებას და მასთან დაკავშირებულ ბრალის აღიარებას.[100] დაცვის სხვა მექანიზმების გამოყენებასთან ერთად, მოსამართლე ასევე ვალდებულია შეამოწმოს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ნებაყოფლობით და რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება.[101]

მას შემდეგ რაც დარწმუნდება, რომ ეს ძირითადი გარანტიები დაცულია, მოსამართლე ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის მასალები, შეამოწმოს წარმოდგენილია თუ არა მტკიცებულებანი პირის

97 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, *'საპროცესო შეთანხმება საქართველოში: შეთანხმებული მართლმსაჯულება'* (სქოლიო 93), გვ. 7.
98 *იქვე*, გვ. 19.
99 კავკასიის კვლევის რესურს ცენტრი, *'დამოკიდებულება საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ'* (სქოლიო 68), გვ. 12.
100 სსსკ, 212 (3) მუხლი.
101 სსსკ, 212 (2) მუხლი.

ბრალის დასადასტურებლად, და თუკი არის, რამდენად 'კანონიერია' საპროცესო შეთანხმებაში მითითებული სასჯელი.[102] თუ მოსამართლე დაადგენს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი ბრალის დასადასტურებლად, მას შეუძლია მოიწვიოს მხარეები საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლის მიზნით. თუ სასამართლოს არც განახლებული პირობები დააკმაყოფილებს, საქმე უნდა დაუბრუნდეს პროკურორს.

თუმცა, საპროცესო შეთანხმებების პირობების შესწავლისას, ადამიანის უფლებათა ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ პრაქტიკაში მოსამართლე ძირითადად ეყრდნობა პროკურორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. საქმეთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელის ზომას ან ჯარიმის ოდენობას სასამართლო რაიმე შეკითხვების გარეშე ამტკიცებს.[103]

ამავე კონტექსტში, დელეგაციას აცნობეს, რომ ევროკავშირმა ჩაატარა ერთობლივი სემინარი საპროცესო შეთანხმების თემაზე, მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის. დელეგაციამ ასევე შეიტყო, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოსამართლეებსა და პროკურორებს საპროცესო შეთანხმების შინაარსთან დაკავშირებული პრობლემების განხილვის საშუალება მიეცათ.

თანამოსაუბრეებმა დელეგატებს ასევე აცნობეს, რომ 2011 წლის ნოემბერში, შესწორებები შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რათა განმტკიცებულიყო მოსამართლეებისადმი მოთხოვნა, რომ საპროცესო შეთანხმების შემოწმებისას მათ სათანადო ყურადღება მიაქციონ სამართლიანობის ასპექტებს.[104] თუმცა ამ შესწორებების ზემოქმედების შედეგი ნათელი არ არის. როდესაც დელეგაციამ იკითხა, იყო თუ არა სასამართლო ვალდებული გამოეკვლია საპროცესო შეთანხმებაში რეკომენდებული სასჯელი რამდენად სამართლიანი იყო ბრალდებულის მიმართ, ერთმა მაღალი თანამდებობის მოსამართლემ უპასუხა, რომ თუ შეთანხმების პირობები მისაღები იყო მხარეებისთვის, მაშინ სასჯელიც, დეფინიციის შესაბამისად, იყო 'სამართლიანი'.

ზემოაღნიშნული პრობლემების ფონზე, და ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მოვალეობის გათვალისწინებით, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლო უფრო აქტიურად უნდა მიუდგეს საპროცესო შეთანხმებას. კერძოდ, მოსამართლეებმა არ უნდა დაამტკიცონ საპროცესო შეთანხმება, სადაც იგი ბრალდების საქმით გამყარებული არ არის.**

6.3. *ადვოკატის ეთიკური დილემა*

ბრალდებულები არჩევენ აღიარონ დანაშაული და გააფორმონ საპროცესო შეთანხმება, ვიდრე დადგნენ უფრო მკაცრი სასჯელის მისჯის საფრთხის წინაშე, თუ საქმე სასამართლო პროცესზე იქნება განხილული. გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაქსიმალურად გამოიყენება წინასწარი პატიმრობა, მსჯავრდების მაჩვენებელი მაღალია და რომ მსჯავრდებულებს სასამართლო პროცესზე გრძელვადიან პატიმრობას უსჯიან – ხელს უწყობს საპროცესო შეთანხმების გაფორმების პერსპექტივას (ერთ-ერთი ადვოკატის სიტყვებით), ეს არის 'შეთავაზება, რომელზედაც უარს ვერ იტყვი'.

მრავალმა ადვოკატმა სიბრაზით აღნიშნა, რომ საქართველოს სამართლებრივი სისტემის რეალობა ნიშნავს იმას, რომ შენი კლიენტის 'საუკეთესო ინტერესებით' მოქმედებისას ხშირად იძულებული ხარ ურჩიო მათ თავი აარიდონ სასამართლო პროცესზე მოვლენათა მოულოდნელ განვითარებას და ნაკლები ბრალდების იმედით, თავი დამნაშავედ ცნონ. თუმცა სხვებმა აღნიშნეს, რომ ისინი კლიენტს ავტომატურად არ ურჩევენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ცხადია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არ გამოხატავენ სიმპათიებს იმ ადვოკატთა მიმართ, რომლებიც 'გარიგებაში შედიან' პროკურორებთან.

---

102 სსსკ, 213 (3) მუხლი.

103 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (სქოლიო 46), 76-ე პარაგრაფი.

104 2011 წლის ნოემბერსი, სსსკ-ის 213-ე მუხლი შესწორდა, სადაც დაემატა დებულება:
'სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენი, შუამდგომლობაში მითითებულ სასჯელთან მიმართებაში, ასევე რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება.'
'საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საართველოში', http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=887&lang_id=ENG, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

მსჯავრდების მაღალი დონისა და მკაცრი სისხლისსამართლებრივი სასჯელების ფონზე, დელეგაციისთვის ნათელი გახდა, რომ თავისი დღევანდელი ფორმით, საპროცესო შეთანხმება გადაუჭრელი ეთიკური დილემის წინაშე აყენებს როგორც ბრალდებულს, ისე მის ადვოკატს, როდესაც მათი გადასაწყვეტია, თუ როგორ უნდა მისცენ აღიარებითი ჩვენება.

6.4. *დასკვნა*

შეჯიბრებითობის სისტემის შემოღების ფონზე, სისხლის სამართლის საქმეების საპროცესო შეთანხმების გამოყენებით გადაწყვეტამ, მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. არსებობს მტკიცე შეხედულება (და არა მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროს ადვოკატთა შორის), რომ საპროცესო შეთანხმების შემოწმებისას, სასამართლო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას სამართლიანობის უზრუნველყოფის კუთხით და რომ ბრალდებულებზე ახდენენ არაპირდაპირ ზეწოლას, რათა მათ საპროცესო შეთანხმება გააფორმონ საკუთარი ნების გარეშე. საპროცესო შეთანხმების სისტემის შემოღებამ შესაძლოა ასევე გამოიწვია ის, რომ ადვოკატებს უხდებათ აირჩიონ ორიდან ერთი: ან იყვნენ უფრო დაფასებული, ან სასამართლოში ყველა წვრილმანზე იდავონ.

იმ ფარგლების გათვალისწინებით და იმ სამართლებრივი ლანდშაფტის ფონზე, რომელშიც დღეს საპროცესო შეთანხმების სისტემა დომინირებს, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიანი სასამართლოს უფლება იყოს საპროცესო შეთანხმების სისტემის ღერძი, ხოლო თვით ასეთი შეთანხმებები მართლმსაჯულების საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. **ამის მისაღწევად, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლოები საგულისხმოდ უნდა გააქტიურდნენ საპროცესო შეთანხმებების ზედამხედველობისა და სამართლიანობის დადგენის პროცესში, რაც მათ უფლებამოსილებაში ისედაც შედის.** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **მოსამართლეებმა არ უნდა დაამტკიცონ ის საპროცესო შეთანხმებები, რომლებიც ბრალდების საქმით არ არის გამყარებული.**

თავი მეშვიდე: თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ დაცვის ქვეშ მყოფ პირთან ურთიერთობა

ადვოკატსა და კლიენტს შორის დაუბრკოლებელი ურთიერთობა უმნიშვნელოვანესი ასპექტია როგორც მხარეთა თანასწორობის, ისე ბრალდებულისთვის ეფექტიანი დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებულია პატივი სცეს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალობას და უზრუნველყოს, რომ ადვოკატებს რაიმე ჩარევის გარეშე შეეძლოთ თავიანთ კლიენტებთან შეხვედრა.[105]

სისხლის სამართალში მომუშავე ადვოკატთა უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ მათ არა აქვთ ადეკვატური ხელმისაწვდომობა პატიმრობაში მყოფ კლიენტებთან. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ ციხის ადმინისტრაცია მათ მუშაობაში ხელს სხვა ფორმებითაც უშლის, მათ შორის, დაშინებით, კონფიდენციალობის დარღვევით და ღირსების შემლახავი ჩხრეკის მეთოდების გამოყენებით. ზოგადად, ასეთ მოპყრობას ადვოკატები მიიჩნევენ მკაფიოდ გამოხატული მტრული განწყობის სიმპტომად, რომელიც ადვოკატთა მიმართ არსებობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. რამდენიმე ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ ასეთი ჩარევები განსაკუთრებით ინტენსიურია მაშინ, როდესაც მათი კლიენტი ჩივის ციხის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო.

7.1. *თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადვოკატების შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები*

დელეგაცია ესაუბრა ადვოკატებს, რომლებიც ჩიოდნენ, რომ საპატიმრო დაწესებულებებში შესვლისას, თავიანთ კლიენტებთან შეხვედრამდე, მათ გაუთვალისწინებელი და ხანგრძლივი ლოდინი უხდებათ.

დელეგაცია განსაკუთრებით შეაშფოთა ინფორმაციამ ერთი ინციდენტის შესახებ, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში მოხდა. ამ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატს ყველანაირად შეუშალეს ხელი, რათა იგი თავის კლიენტს არ შეხვედროდა. ადვოკატს ქსნის საპატიმროდან დაურეკა კლიენტმა და შეატყობინა, რომ იგი სასტიკად სცემეს. კლიენტთან შესახვედრად მისული ადვოკატი ნახევარი დღე ალოდინეს, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს სხვა შეხვედრები დაგეგმილი არ იყო და შეხვედრების ოთახიც თავისუფალი იყო. ის მხოლოდ მას შემდეგ შეუშვეს, როდესაც დაემუქრა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროში იჩივლებდა. ადვოკატმა დელეგაციას აცნობა, რომ იგი დროულად არ შეუშვეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ პერიოდში ზემოქმედება მოეხდინათ პატიმარზე და გადაეფიქრებინათ მათ წინააღმდეგ განცხადების შეტანა. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პატიმარმა გადაწყვიტა უკან არ დაეხია და წარედგინა თავისი საჩივარი, მაგრამ, მას შემდეგ რაც საქმე თბილისის პროკურატურას გადაეცა, როგორც ჩანს, რაიმე წინსვლა არ დაფიქსირებულა.

საპატიმრო ადგილებში შესვლისას მუდმივი დაბრკოლებების შესახებ, სახალხო დამცველმა ადრეც ისაუბრა. თუმცა, სახალხო დამცველმა დელეგაციას განუცხადა, რომ მისი უწყებისა[106] და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პრობლემის წამოჭრის შემდეგ გარკვეული ძალისხმევა იქნა გაწეული ციხეებში მოსაცდელი ადგილების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რათა საპატიმრო დაწესებულებებში მეტი ადგილი ყოფილიყო გამოყოფილი ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრებისა და კონსულტაციებისთვის.

---

105 *გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ* (სქოლიო 30), მე-8, მე-16 და 22-ე პრინციპები; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-14 მუხლი.

106 საქართველოს სახალხო დამცველი, *'2010 წლის ყოველწლიური მოხსენება: სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და წინასწარი პატიმრობის იზოლატორების მონიტორინგი'* (სქოლიო 10), გვ. 31; ადვოკატთა საერთაშორისო დამკვირვებელი (ასდ), *'ასდ-ის საქართველოს მისიის მოხსენება,* 2011.

7.2. *ღირსების შემლახველი ჩხრეკის მეთოდები*

დელეგაციასთან საყვედური გამოთქვა მრავალმა ქალმა ადვოკატმა. ისინი აცხადებენ, რომ ვიდრე მათ კლიენტთან შეახვედრებენ, ციხის თანამშრომლები მათ მიმართ იყენებენ ჩხრეკის დამამცირებელ მეთოდებს. ასეთივე საჩივრები აღნიშნულია მოხსენებაში, რომელიც 2011 წელს მოამზადა ორგანიზაციამ 'ადვოკატთა საერთაშორისო დამკვირვებელი' (International Observatory for Lawyers)[107] და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა.[108]

ერთმა ადვოკატმა, დელეგაციას მოუთხრო, რომ რუსთავის მე-17 და ქსნის მე-18 საპატიმროებში კლიენტებთან შესვლამდე, ციხის თანამშრომლებმა იგი აიძულეს საცვლებიც კი გაეხადა. მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკას ქალი თანამშრომლები ატარებენ ამ მიზნით გამოყოფილ ოთახებში, ეს ოთახები სავსეა დახურული სატელევიზიო ქსელის კამერებით. ადვოკატმა დელეგაციას განუცხადა, რომ მას არ სჯერა ციხის ადმინისტრაციის მუშაკთა განცხადების, როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ 'ვიდეოჩანაწერების მონიტორინგს მხოლოდ ქალი თანამშრომლები ახორციელებენ'.

როდესაც დელეგაციის წევრებმა ეს საკითხი სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წინაშე დააყენეს, მათ უთხრეს, რომ ჩხრეკა ტარდება საპატიმრო ადგილებში ნარკოტიკების შეტანის აღკვეთის მიზნით. სამინისტრომ ასევე უარყო განცხადებები იმის შესახებ, რომ კლიენტთან შეხვედრამდე, ჩხრეკის დროს, ადვოკატებს აშიშვლებენ. დელეგაციამ ასევე შეიტყო, რომ დეტალურ ჩხრეკას ასევე უტარებენ ყველა ვიზიტორს, ვინც კი საპატიმროში შედის, სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლეთა ჩათვლით.

დელეგაციას ასევე შეატყობინეს ერთი საქმის შესახებ, სადაც 2011 წლის 21 ოქტომბერს, ციხის თანამშრომლებმა დააშინეს და შეურაცხყოფა მიაყენეს ქალ ადვოკატს, ქსნის მე-15 საპყრობილეში. შეხვედრის დროს ადვოკატს მისმა კლიენტმა განუცხადა, რომ იგი სასატიკად სცემეს ციხის თანამშრომლებმა. როდესაც ადვოკატმა საპატიმროს დატოვება გადაწყვიტა, ციხის ადმინისტრაციამ მას კლიენტთან შეხვედრის ჩანაწერები მოსთხოვა. მან ამაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც დააკავეს და სამი მამაკაცი მას ფიზიკურად გაუსწორდა. ადვოკატის თქმით, მას ჩანთიდან ამოუღეს ჩანაწერები და კლიენტის განცხადება, და აღარც დაუბრუნებიათ. ამის შემდეგ ციხის თანამშრომლები მას გაუპატიურებით დაემუქრნენ, თუკი იგი გაბედავდა და მისი კლიენტის სახელით საჩივრით მიმართავდა სასამართლოს. 2011 წელს ადვოკატმა მის მიმართ მოპყრობის შესახებ საჩივარი შეიტანა პროკურორთან. საჩივარს თან ახლდა სამედიცინო ცნობა, სადაც დაფიქსირებული იყო ცემის შედეგად მიღებული სისხლჩაქცევები და სხვა დაზიანებები. დღეისათვის იგი უკვე დაკითხეს პროკურატურაში, თუმცა საქმის სასამართლოში გადაცემასთან დაკავშირებით რაიმე წინსვლა არ ჩანს.

7.3. *საქმესთან დაკავშირებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა*

არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატებთან შეხვედრისას, დელეგაციისთვის ცნობილი გახდა მრავალი საქმის შესახებ, სადაც ციხის ხელმძღვანელობა მოითხოვდა ეჩვენებინათ კლიენტთან შეხვედრის დროს გაკეთებული ჩანაწერები. მრავალმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ მათ ციხის ტერიტორიიდან არ უშვებდნენ, სანამ ადმინისტრაციას კონფიდენციალურ მასალებს არ გადასცემდნენ.

სხვა მრავალ მაგალითს შორის, რომელთა შესახებაც დელეგაციას უამბეს, არის კიდევ ერთი ინფორმაცია. ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ მე-17 საპყრობილის (ყოფილი მე-2 საპყრობილე) მუშაკები მას მუდმივად არ უშვებდნენ ციხიდან, ვიდრე მათ კლიენტთან მისი საუბრის ჩანაწერებს არ ჩააბარებდა. კიდევ ერთი ინციდენტი 2011 წლის 29 აპრილს მოხდა, როდესაც ადვოკატი კლიენტთან შეხვედრის შემდეგ საათნახევრის განმავლობაში არ გაუშვეს გარეთ. ამ ადვოკატმა გადაწყვიტა არ გაემჟღავნებინდა ჩანაწერების შინაარსი და გაენადგურებინა ისინი. მან დელეგაციას აცნობა, რომ ერთ შემთხვევაში მან მოახერხა თავისი ჩანაწერების ასლის გაკეთება და ასე შეინარჩუნა ერთი ეგზემპლარი, ხოლო მეორე კი ციხის ადმინისტრაციას გადასცა, რათა საპატიმროდან გასვლის საშუალება მოეპოვებინა.

107 ადვოკატთა საერთაშორისო დამკვირვებელი (ასდ), *'ასდ-ის საქართველოს მისიის მოხსენება,* 2011 (სქოლიო 80), გვ. 15.
108 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (სქოლიო 46), პუნქტი 52.

2011 წლის მოხსენებაში, სახალხო დამცველი მიუთითებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალობის დარღვევებზე, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემაზე.[109] მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ციხის თანამშრომლები შეგნებულად ართმევენ დოკუმენტებს ადვოკატებს, სადაც მათ ჩაწერილი აქვთ განცხადებები პატიმართა უფლებების დარღვევების შესახებ.[110]

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის ოფისს ამ საკითხზე წარსულშიც ჰქონდა გაკეთებული განცხადებები, ხელისუფლების წარმომადგენლები, როდესაც საკითხი წამოიჭრებოდა, პრობლემის არსებობას არ აღიარებდნენ. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ცხარედ დავობდა ნებისმიერ საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევას ეხებოდა. როდესაც დელეგაციის წევრებმა მათთან საუბარში თქვეს, რომ მათთვის ცნობილი იყო ციხის ადმინისიტრაციის მიერ დოკუმენტების ჩამორთმევის შესახებ, სამინისტროდან პასუხად მიიღეს: 'ასეთი რამ უბრალოდ არ ხდება'. რაც შეეხება ობსტრუქციის სხვა ფაქტებს, რომელთა შესახებაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები ჩიოდნენ, სასჯელაღსრულების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფდა მათ და აცხადებდა, რომ ეს იყო 'ცილისმწამებლური განცხადებები', რომლებსაც 'რამდენიმე პოლიტიზირებული ადვოკატი ავრცელებდა'.

გარდა ამისა, დელეგაციამ ადვოკატებისაგან შეიტყო, რომ როდესაც ისინი პროკურატურის წინაშე სვამდნენ საკითხს ასეთი ჩარევების შესახებ, პროკურატურიდან ღებულობდნენ სტანდარტულ პასუხს, რომ გამოძიება ჩატარდა და მათი განცხადებები მტკიცებულებებით არ დადასტურდა.

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იმეორებს სახალხო დამცველის 2011 წლის მოხსენებაში გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალობაში ციხის თანამშრომელთა ჩარევა 'უნდა აღიკვეთოს', ხოლო კონკრეტული საპატიმროების დირექტორებმა პასუხსიმგებლობა უნდა იკისრონ მათ დაწესებულებაში ადვოკატთა შესვლაზე და კონფიდენციალობის გარანტიების დაცვაზე.[111] **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ პროკურორებმა უდიდესი სერიოზულობით უნდა განიხილონ ადვოკატებისთვის მუშაობაში ხელის შეშლასთან და საპატიმრო დაწესებულებების მუშაკთა უკანონო ქმედებებთან დაკავშირებული განცხადებები. მათ უნდა უზრუნველყონ ასეთი საჩივრების დეტალური და დაუყოვნებელი გამოძიება და ამასთანავე თვალსაჩინო უნდა გახადონ მათი დეტალური და სწრაფი გამოძიება. გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ასევე უნდა აცნობონ მომჩივნებს.**

პატიმრებისთვის ადვოკატებთან სატელეფონო საუბარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

დელეგაციას მრავალი შემთხვევა უამბეს, როდესაც პატიმრებს საშუალებას არ აძლევენ დაუკავშირდნენ თავიანთ ადვოკატებს პატიმრობის ადგილიდან, რადგან ტელეფონებს ისე ბლოკავენ, რომ მათგან შეუძლებელია ადვოკატის ნომერზე დარეკვა. ზოგიერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ასეთი ჩარევის თავიდან ასაცილებლად ისინი იძულებული არიან მრავალნომრიანი მობილური ტელეფონები ჰქონდეთ და თავიანთ კლიენტებს აძლევენ იმ 'კონფიდენციალურ' ნომერს, რომელიც ხელისუფლებისთვის ცნობილი არ არის. ერთმა ადვოკატმა, რომელიც პატიმრებს უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევს, დელეგაციას უთხრა, რომ როდესაც მან მასმედიაში განაცხადა, რომ ტელეფონის ბლოკირების მეთოდით პატიმრებს მასთან დაკავშირების საშუალებას არ აძლევდნენ, ციხის დირექტორი მას დაპატიმრებით დაემუქრა.

109 საქართველოს სახალხო დამცველი, *'2011 წლის ყოველწლიური მოხსენება. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში'* (სქოლიო 19), გვ. 54.
110 *იქვე.*
111 *იქვე,* გვ. 259.

7.4. *დასკვნა*

მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია გარკვეული პროგრესი საპატიმროებში შესვლისას ლოდინის შემცირების კუთხით, სხვა ხელის შემშლელი პრობლემები, რომელთა წინაშეც ადვოკატები დგანან, კვლავ მოუგვარებელია. მათ შორისაა ჩხრეკის დამამცირებელი მეთოდები და ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალობის დარღვევა ციხის მუშაკთა მიერ. ყველა ადვოკატი არ ჩივის ასეთი სახის დამაბრკოლებელი გარემოებების გამო. მიუხედავად ამისა, ეს სერიოზული პრობლემებია და ბევრად მეტი ყურადღება სჭირდება, ვიდრე დღეს ეთმობა.

აქედან გამომდინარე, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ საპატიმროთა ადმინისტრაციამ მკაფიო მითითება მისცეს თანამშრომლებს, რომ ადვოკატისა და მისი კლიენტის დოკუმენტები არის კონფიდენციალური და არ შეიძლება მათი შემოწმება და რაიმე სხვა სახით ჩარევა. ციხის თანამშრომელთა მიერ ქალ ადვოკატთა ჩხრეკისთვის გამოყენებული მეთოდი ზოგიერთ ციხეში არის დამამცირებელი და ღირსების შემლახველი, ამიტომ, **საპატიმროთა ადმინისტრაციამ გადაუდებელი ზომები უნდა მიიღოს ამ მეთოდების გადასასინჯად და უზრუნველყოს, რომ ციხის თანამშრომლებს ჰქონდეთ ქალი ვიზიტორების ჩხრეკისთვის საჭირო სათანადო ჩვევები.**

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ციხის ადმინსიტრაციამ და, საჭიროების შემთხვევაში, პროკურატურამ, უდიდესი სერიოზულობით განიხილოს საჩივრები საპატიმრო ადგილებში უკანონო მოქმედებების შესახებ, ადვოკატთა მუშაობის ობსტრუქციის ჩათვლით. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საპატიმრო ადგილებში ყველა არამართლზომიერი მოქმედების დეტალური და სწრაფი გამოძიება და **ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის პერიოდული მოხსენებების მიწოდებას ასოციაციის წევრების მიერ, პროკურატურაში წარდგენილი საჩივრების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.**

თავი მერვე: ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნა

ძირითადი საჩივრები, რომლებსაც დელეგაცია ვიზიტის დროს იღებდა, დაკავშირებული იყო ადვოკატთა სისხლისსამართლებრივ დევნასთან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანახმად, 2004 წლიდან, მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში დღევანდელი მთავრობა მოვიდა, 140 ადვოკატის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლის სამართალწარმოება და ისინი დააპატიმრეს. ეს არის დაახლოებით მთელი ადვოკატთა კორპუსის 4 პროცენტი და, რა თქმა უნდა, უდიდეს შეშფოთებას იწვევს. ადვოკატთა დაპატიმრებას და სისხლისსამართლებრივ დევნას მწვავედ აკრიტიკებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

რაც შეეხება ადვოკატთა წინაშე მდგარ მეორე პრობლემას, დელეგაციამ დაადგინა, რომ ადვოკატთა დევნის საკითხი არ შეიალება აღქმული იქნას ან მოგვარდეს იზოლირებულად. პირიქით, ეს ფენომენი უფრო ფართოდ უნდა იყოს განხილული ზოგადად ადვოკატთა ინსტიტუტის ფართო კონტექსტში, ადვოკატთა ისტორიისა და მათ წინაშე მდგარი სირთულეების, მათი სტატუსის, როლისა და რეფორმების ბოლო პროცესის გათვალისწინებით (რაც უკვე განხილული იყო ამ მოხსენების პირველ თავში).

8.1. *უსაფუძვლო დევნა*

მართალია, ადვოკატები ანგარიშვალდებული არიან პროფესიული სტანდარტების ან ეთიკის დარღვევისთვის, მაგრამ საერთაშორისო ნორმები მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა თავი შეიკავონ ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნისაგან მათი პროფესიული მოვალეობების განხორციელების გამო, ან დასჯისგან - მათი კლიენტების საქმიანობის შედეგად.[112] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ ადგენს საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპს.[113] იგი ასევე აცხადებს, რომ ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა განცხადებისთვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.[114]

დელეგაციისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეთა უმრავლესობა დაფუძნებულია სისხლის სამართლის კოდექსზე, რომელიც დანაშაულად აკვალიფიცირებს ქონების მოპოვებას მოტყუების ან თაღლითობის გზით.[115] ზოგადად, ასეთი დევნა იწყება უკმაყოფილო კლიენტებისაგან საჩივრების მიღების შემდეგ. თუმცა დელეგაციისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე საქმეში ეს ადვოკატები ჩიოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ბრალდება მთავრობის მიერ იყო შეთითხნილი. ისინი ამბობდნენ, რომ გამოძიება, მთლიანად ან ნაწილობრივ, მოტივირებული იყო ადვოკატის პოლიტიკური აქტიურობით, ან მისი კლიენტის საქმის პოლიტიკურად მგრძნობიარე ბუნებით.

ამასთან დაკავშირებით, დელეგაცია შეხვდა მარიანა იველაშვილს, რომლის საქმეც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. 2008 წელს, ქალბატონ იველაშვილს, იმ დროისათვის 22 წლის ახლადკვალიფიცირებულ ადვოკატს, ბრალი წაუყენეს საკუთრების მოტყუების გზით მოპოვების მუხლით და შვიდი წელი პატიმრობა მიუსაჯეს; მას ადანაშაულებდნენ იმაში, რომ კლიენტებს ვერ გაუწია ეფექტიანი იურიდიული დახმარება. ეს მისი პირველი საქმე იყო. მარიანა იველაშვილმა პატიმრობაში გაატარა სამი წელი და 20 დღე, ამათგან ერთი წელი - დახურულ საკანში. 2011 წლის 23 ნოემბერს (წმინდა გიორგის დღე და ვარდების რევოლუციის დღესასწაული), იგი პრეზიდენტმა შეიწყალა და პატიმრობიდან გაანთავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ჩივის, რომ ქ-ნი იველაშვილის დაკავება და სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად იყო სასჯელი მისი ანტისამთავრობო პოლიტიკური აქტიობისთვის.[116] დელეგაციასთან შეხვედრისას, ქალბატონმა იველაშვილმა დაადასტურა, რომ დაპატიმრებამდე მან ჟურნალში გამოაქვეყნა კრიტიკული

112 *გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატების როლის შესახებ* (სქოლიო 30), მე-16, 26-29 პრინციპები.
113 *საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ* (სქოლიო 35), მე-3 მუხლი.
114 *იქვე*, 38 (4) მუხლი.
115 *სისხლის სამართლის კოდექსი*, 180-ე მუხლი.
116 ადვოკატთა საერთაშორისო დამკვირვებელი (ასდ), *'საქართველოს ადვოკატები კვლავ დაზარალებული არიან განმეორებითი შეურაცხყოფების, მუქარისა და დაშინების გამო'*, 2011, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/ENG/news/IOL-Appeal-Georgian%20Lawyers%20and%20Mariana%20Ivelashvili.pdf, [ხელმისაწვდომი იყო 2012 წლის 26 ივლისს].

სტატია და მოაწყო აქცია გორის რეგიონული პროკურორის, მიხეილ აბულაძის წინააღმდეგ, რომელმაც, როგორც მას მიაჩნდა, მთელი რიგი თვითნებური დაპატიმრებები განახორციელა.

მიუხედავად პრეზიდენტის შეწყალებისა და განთავისუფლებისა, იველაშვილის მსჯავრი გაქარწყლებული არ არის და მას არ შეუძლია გააგრძელოს საადვოკატო საქმიანობა. მსჯავრის გაქარწყლებასთან დაკავშირებით მან განცხადება შეიტანა 2012 წლის იანვარში, მაგრამ უარი უთხრეს, ხოლო სააპელაციო სარჩელი არ მიიღეს. ამჟამად მას საქმე გაგზავნილი აქვს ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოში, სადაც იგი ჩივის, რომ მას წაერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაა.

დელეგაცია უზომოდ წუხს იმის გამო, რომ ქალაბტონ იველაშვილს აკრძალული აქვს საადვოკატო საქმიანობა, რადგან არის მსჯავრდებული სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდებით. **აქედან გამომდინარე, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სათანადო ორგანომ პრიორიტეტული წესით გადახედოს მისი საქმეს.**

დელეგაცია ასევე შეხვდა ნათელა სირაძეს, ადვოკატს, რომელიც 2009 წელს დაიჭირეს და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმ პერიოდში, როდესაც იგი წარმოადგენდა კლიენტს, რომელიც იყო იმ 40 ბრალდებულს შორის, რომლებსაც სამხედრო ამბოხში ედებოდათ ბრალი.

ქ-ნი სირაძე აცხადებს, რომ მთავრობამ გაუკეთა ორგანიზება მის დაპატიმრებას, თითქოსდა სულ სხვა საქმეში მან მოქრთამა მოწმე, რათა მას ალიბი შეექმნა მისი ერთ-ერთი კლიენტისთვის, რომელსაც ქურდობა ედებოდა ბრალად. როგორც ქ-ნი სირაძე ამბობს, მისი დაპატიმრება მოხდა სამხედრო ამბოხის პროცესის გადამწყვეტ მომენტში, ხოლო მისი დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია ტელევიზიით გაავრცელეს, რაც სხვებისთვის გაფრთხილებას ნიშნავდა. დელეგაციასთან შეხვედრისას მან უარყო მისდამი წაყენებული ბრალდება მის მიერ თითქოსდა მოწმის მოსყიდვის შესახებ და დელეგაციას განუცხადა, რომ იგი უბრალოდ დაეთანხმა ბრალდებას, რადგან ეს საპროცესო შეთანხმების ნაწილია, ხოლო საპროცესო შეთანხმება გააფორმა იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში მას და მის ოჯახს საფრთხე დაემუქრებოდა.

დელეგაციას არ შეეძლო შეემოწმებინა მთავრობის მიერ პოლიტიკური ნიშნით ადვოკატთა სისტემატური დაკავებისა და მათთვის სისხლისსამართლებრივი ბრალის წაყენების შესახებ გაკეთებული განცხადებების ჭეშმარიტება. თუმცა ზემოთმოყვანილი ორი შემთხვევა (და კიდევ მრავალი, რომელთა შესახებაც დელეგაციას ადვოკატებმა აცნობეს) ასახავს უფრო ზოგად პრობლემას (რომლის შესახებაც მოხსენება გააკეთა ევროპის საბჭომ და სხვა ორგანიზაციებმა), რაც ოპოზიციის აქტივისტთა შერჩევასა და მათ წინააღმდეგ მიმართულ, პროცედურულად გაუმართავ სისხლისსამართლებრივ დევნაში მდგომარეობს.[117]

8.2. *ადვოკატების მიმართ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდებების მახასიათებლები*

როგორც ამ თავში უკვე აღინიშნა, 2004 წლიდან, მსჯავრდებული ადვოკატების საგულისხმო ნაწილი[118] გაასამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების საფუძველზე, სადაც მოტყუების გზით ქონების მოპოვება დანაშაულადაა დაკვალიფიცირებული.[119] როგორც ჩანს, ამ ბრალდებათა უმრავლესობა ეფუძნებოდა უკმაყოფილო კლიენტების საჩივრებს, რომლებიც თავიანთ ადვოკატებს უჩიოდნენ, რომ მათ აიღეს საფასური, დაპირდნენ საქმის გადაწყვეტას კლიენტის სასარგებლოდ, მაგრამ ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს. ამის საფუძველზე მათ ადანაშაულებდნენ ფულადი სახსრების მოპოვებაში, კლიენტის ინტერესების არასათანადოდ წარმოდგენის ხარჯზე.

117 ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (სქოლიო 46), პუნქტები 78-86. *'პოლიტიკურ მოტივზე დაფუძნებული სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლებრივი ანალიზი'* (სქოლიო 48).

118 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, 2004 წლიდან 154 ადვოკატი იქნა მსჯავრდებული, 92-ს სასჯელი შეეფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე.

119 *სისხლის სამართლის კოდექსი,* 180-ე მუხლის 1-ლი პუნქტი:
'თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, –...ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე'.
მუხლი 180.2:
'იგივე ქმედება ჩადენილი: ა) ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება [...] თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე'.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ დელეგაციას არ შეეძლო მისთვის წარმოდგენილ საქმეთა ფაქტების გადამოწმება. თუმცა მან შენიშნა, რომ ჰონორარის ხელშეკრულებაში, რომელსაც ადვოკატები თავიანთ კლიენტებთან ათანხმებდნენ, ზოგჯერ საკმაოდ დიდი თანხები იყო დასახელებული და ამიტომ პოტენციურად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასეთი დავა მხარეებს შორის გადაწყვეტილიყო. ამასთან დაკავშირებით დელეგაციას აცნობეს მიმდინარე საქმის შესახებ, სადაც ადვოკატი აცხადებს, რომ მას ასამართლებენ შეთხზული მტკიცებულების საფუძველზე, მას შემდეგ რაც მისმა კლიენტმა, სამოქალაქო ხასიათის საქმეში წარმატების მიღწევის შემდეგ, აღარ გადაიხადა შეთანხმებული ჰონორარი. სადავო თანხა შეადგენს დაახლოებით 450 000 აშშ დოლარს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისაგან და ადვოკატებთან მომუშავე მრავალი სხვა ორგანიზაციისაგან, დელეგაციამ შეიტყო, რომ 'ეკონომიკურ' საქმეებში, თაღლითობისა და ტყუილისთვის ზოგიერთი მათი წევრი სათანადოდ იყო მსჯავრდებული, მაგრამ საქმეთა დიდი უმრავლესობა ეხებოდა მცირე მნიშვნელობის დარღვევებს. ასეთი დარღვევების განსახილველად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასოციაციის ეთიკური კომისიის გამოყენება, რომელიც დარღვევებს განიხილავდა ეთიკის კოდექსის, და არა სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე, რომელიც, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებითა და მოტყუებით ქონების დაუფლებისთვის, ორიდან ექვს წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.[120] ეთიკის საკითხებისა და სხვა უნარ-ჩვევების სწავლება – მაგალითად, კონტრაქტის დაწერის – ასეთი შედეგების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალება იქნება.

დელეგაციამ ასევე დაადგინა, რომ ის კლიენტები, რომლებიც ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილი არ არინ, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანას, პროკურატურაში გასაჩივრებას ამჯობინებენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, სადაც საყოველთაოდ მოქმედებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, რადგან მაღალია მოსალოდნელობა იმისა, რომ თაღლითურ ან კორუმპირებულ საქმიანობაში ეჭვმიტანილ ადვოკატებს სწრაფად და მძიმედ დასჯიან.

მიუხედავად ამისა, **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი იძლევა მკაფიო რეკომენდაციას, რომ ადვოკატების მიმართ მათი პროფესიული საქმიანობის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს სკურპულოზურად სამართლიანი და მკაფიოდ დასაბუთებული. როდესაც საჩივარი თავისი შედეგით არაეთიკური ქცევის ტოლფასია, საქმეზე არ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის გამოძიება, არამედ იგი უნდა გადაეცეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.**

8.3. *დასკვნა*

ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნის მაღალი დონე, ძირითადად მოტყუებით ქონების დაუფლების ბრალდებით, აშკარა შეშფოთებას იწვევს. ეს დევნა ხდებოდა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ყველაზე, ვისაც კი სამართლებრივ სისტემასთან უხდება კონტაქტი.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა კორპუსი არ არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელმაც არაერთხელ იწვნია ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მიაჩნია, რომ მისი წევრების მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა არის არასათანადო და არაჯეროვანი.

გარდა ამისა, ხელისუფლებას სათანადოდ არ გამოუძიებია ადვოკატთა ლეგიტიმური საჩივრები მათი დევნის შესახებ. არამართებული განაჩენების გამოტანისას არ ხდებოდა მათი გასწორება. ამასთან დაკავშირებით, ის მდგომარეობა, რომელშიც კვლავ იმყოფება ახალგაზრდა ადვოკატი, მარიანა იველაშვილი, სამარცხვინო შემთხვევაა.

120 *სისხლის სამართლის კოდექსი*, 180 (2) მუხლი.

ცხადია, რომ ადვოკატების მიმართ წაყენებული მრავალი სისხლისსამართლებრივი ბრალი, განსაკუთრებით თაღლითობისა და მოტყუების საფუძვლით, უკეთესი იქნებოდა განხილულიყო საქართველოს ადვოკატთა ასოციციის ეთიკის კოდექსის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ **ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა ვერ შეძლო თითოეული საქმის განხილვა, იგი იძლევა რეკომენდაციას, რომ ადვოკატთა ის საქმეები, სადაც არ არის ადვოკატის მხრიდან თაღლითობის განზრახვის მტკიცებულება, პროკურატურამ კლიენტის საჩივარი უნდა გადაუგზავნოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას შიგა დისციპლინური პროცედურის განსახორციელებლად, და არ დაიწყოს სისიხლისსამართლებრივი დევნა ყოველ თითოეულ საქმეზე.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ უკვე საგულისხმო წარმატებას მიღწია ეთიკის საკითხთა რეგულირების სფეროში, რაც უკვე განხილულია მესამე თავში. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკურ საკითხთა მარეგულირებელი სისტემის მუდმივმა გაუმჯობესებამ მომავალში უნდა შეამციროს არამართებული სისხლისსამართლებრივი ბრალდებები მისი წევრების წინააღმდეგ, მაგრამ მანამდე, **იმ ადვოკატებს, რომელთა მიმართ უკვე მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, უნდა მიეცეთ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის საშუალება. ამასთან შემდგომი დაყოვნების გარეშე უნდა მოგვარდეს ნასამართლეობის გაქარწყლებასთან დაკავშირებული საჩივრებიც.**

თავი მეცხრე: რეკომენდაციები

ადვოკატები და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ტრენინგი, ასოციაციაში გაწევრიანება და პროფესიული ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა გააგრძელოს მუშაობა პროფესიული სტანდარტების დასახვეწად და უნდა აამაღლოს საზოგადოების ნდობა ადვოკატთა კომპეტენციისადმი; ამ მიზნით:

- ადვოკატთა სწავლების სქემებში ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული დახელოვნების ეტაპს (ერთი წელი მუშაობის გამოცდილება), რომელიც უნდა გახდეს სტრუქტურირებული და შეფასებადი პროცესი.
- ადვოკატთა გამოცდაზე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გონივრული ტესტი, რომელიც დაადგენს ადვოკატის პროფესიულ უნარებს (კომპეტენციებს).
- შემოღებული უნდა იქნეს პროფესიული უნარ-ჩვევების სავალდებულო სწავლება, როგორიცაა, საადვოკატო საქმიანობა და პროფესიული ეთიკა, და იგი უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატთა ტრენინგის კომპონენტი.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა იყოს ინტენსიური.
- საჭიროა გამოიძებნოს რესურსები, რათა განმტკიცდეს ადვოკატთა ხელმისაწვდომობა სამართლებრივ მონაცემთა ბაზებზე.
- ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო რესურსები, რათა მან ეფექტიანად შეძლოს თავისი სამუშაო პროგრამის განხორციელება.
- მთავრობამ და საერთაშორისო პარტნიორებმა ყველა შესაძლო დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რათა იგი უზრუნველყოფილი იქნეს ადვოკატთა შორის პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ამაღლებისთვის საჭირო რესურსებით.
- ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მტკიცე პოზიცია უნდა დაიკავოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის გარეშე.

ნდობასა და რწმენაზე დაფუძნებული ურთიერთობების აღდგენა

მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულმა ყველა ინსტიტუტმა ერთიანი ძალისხმევა უნდა მიმართოს ნდობასა და რწმენაზე დაფუძნებული ურთიერთობის აღსადგენად; ამ მიზნით:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ უნდა გააგრძელონ და ინტენსიური გახადონ ერთობლივ სემინარებში, სამუშაო ჯგუფებში და თანამშრომლობის სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და პროკურატურამ უნდა ჩამოაყალიბონ რეგულარული შეხვედრების პროგრამა, სადაც გათვალისწინებული იქნება საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების განხილვა, ეთიკური სტანდარტების, საპროცესო შეთანხმებისა და მატერიალური სამართლის სფეროების ჩათვლით.
- უნდა გაფართოვდეს ადვოკატთა ასოციაციის მონაწილეობა საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფებში. პარლამენტმა კონსულტაციები უნდა გამართოს ადვოკატთა ასოციაციასთან, როდესაც განიხილება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის სტატუსთან დაკავშირებული შესწორებები.
- პროკურატურამ უნდა განიხილოს ნაბიჯები, რომლებიც ქვემოთაა ჩამოყალიბებლი შემდგომი ღონისძიებების სახით, რომლებიც უნდა განხორციელდეს ურთიერთნდობისა და ურთიერთრწმენის ასამაღლებლად.

ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნა

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას უნდა ჰქონდეს ტრენინგის კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადვოკატსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების დაწერის უნარ-ჩვევების შეძენას.
- იმ საქმეებში, სადაც არ არის ადვოკატის მხრიდან თაღლითობის განზრახვის მტკიცებულება, პროკურატურამ კლიენტის საჩივარი უნდა გადაუგზავნოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, შიგა დისციპლინური პროცედურის განსახორციელებლად, და არ უნდა დაიწყოს სისიხლისსამართლებრივი დევნა ყოველ საქმეზე.
- პროფესიული საქმიანობის გამო, ადვოკატთა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება, უნდა იყოს სკურპულოზურად სამართლიანი და მკაფიოდ დასაბუთებული.
- ადვოკატებმა, რომლებსაც წაყენებული აქვთ სისხლისსამართლებრივი ბრალი, სამართლიანი პროცესით გათვალისწინებული დაცვის ყველა საშუალებით უნდა ისარგებლონ.
- შემდგომი დაყოვნების გარეშე, უნდა მოგვარდეს ნასამართლეობის გაქარწყლებასთან დაკავშირებული საჩივრებიც.
- პრიორიტეტული წესით უნდა გადაიხედოს მარიანა იველაშვილის საქმე.

სასამართლო

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ამაღლების მიზნით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის პროცედურების ჩათვლით.
- საჭიროა მოსამართლეთა ხელშეწყობა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ადვოკატებთან ერთად საერთო ღონისძიებებში.
- მოსამართლეებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები, რათა მათი განაჩენები დასაბუთებული იყოს ინდივიდუალურად და დამაჯერებლად.
- მოსამართლეებმა უფრო აქტიურად უნდა უზრუნველყონ იმ პირთა სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს. მოსამართლეს, ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მოვალეობის განუხრელი შესრულების დროს, ხელი არ უნდა შეუშალოს დაცვის საქმეში ადვოკატის მიერ დაშვებულმა ხარვეზებმა.
- მოსამართლეებმა უფრო აქტიურად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პროკურატურასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, პროკურორთა ან ადვოკატთა კომპეტენტურობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.
- სისხლის სამართლის პროცესებში, მოსამართლეებმა ისევე უნდა განიხილონ დაცვის მხარის შუამდგომლობები, როგორც პროკურორთა შუამდგომლობებს იხილავენ. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ერთ შუამდგოლობას ანიჭებს უპირატესობას მეორესთან შედარებით, ნათლად უნდა იყოს დასაბუთებული.
- სასამართლომ უნდა შეიმუშავოს კომენტარები ან სახელმძღვანელო მითითებები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე და 111-ე მუხლების განმარტებისთვის. ეს დებულებები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ პრაქტიკული ეფექტი მიანიჭოს დაცვის მხარის უფლებას, რომელიც მას აქვს მტკიცებულების მოპოვებასთან მიმართებით; საჭიროების შემთხვევაში, ეს უნდა მოხდეს სასამართლოს განჩინებით, ასეთი მტკიცებულების იძულებით გამჟღავნების შესახებ.
- აცნობიერებენ რა თავიანთ გადამწყვეტ როლს ბრალდებულებისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფაში, მოსამართლეები უფრო აქტიურად უნდა მიუდგნენ საპროცესო შეთანხმებას. მათ არ უნდა დაამტკიცონ ისეთი საპროცესო შეთანხმება, სადაც იგი გამყარებული არ იქნება ბრალდების მხარის საქმით.

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად. მოსამართლეებმა არა მხოლოდ უნდა გამოიყენონ მე-6 მუხლში განსაზღვრული სტანდარტები, არამედ, ამასთანავე, თვალსაჩინო უნდა გახადონ ამ სტანდარტების გამოყენება. მათ განჩინებებში, სათანადო შემთხვევაში, მკაფიო მითითება უნდა იყოს გაკეთებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე.
- სამართალწარმოებაში, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე მიმდინარეობს, მოსამართლეებმა უნდა გაითავისონ, რომ 'სისხლისსამართლებრივი ბრალი' განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნების შესაბამისად. მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბრალდებულის მიმართ ჩატარდეს სათანადო პროცესი, დაცული იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი და უზრუნველყოფილი იქნას მკაფიოდ გამოხატული სამართლიანი სასამართლო. მკაცრად უნდა იქნეს დაცული სასჯელის თანაზომიერება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე, მიღებული უნდა იქნას ზომები სამართლიანი სასამართლოს უფლებების დარღვევათა შეწყვეტის მიზნით, როდესაც საქმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე იხილება.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის განმარტება უნდა შეესაბამებოდეს იმ მაღალ ღირებულებას, რომელიც შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში.

პროკურორები

- პროკურორებმა განსაკუთრებით სერიოზულად უნდა განიხილონ საჩივრები პატიმრობის ადგილებში ადვოკატთა საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და უკანონო ქმედებების შესახებ. მათ დეტალურად და დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიონ ასეთი საჩივრები; ამასთან ერთად, ასეთი გამოძიება თვალსაჩინოც უნდა გახდეს. მომჩივნებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.
- გათვალისწინებული უნდა იქნეს ადვოკატების მიერ პროკურატურაში შეტანილი საჩივრების შესახებ პერიოდული მოხსენებების წარდგენა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, წერილობით ან რეგულარულ შეხვედრებზე.

ციხის ადმინისტრაცია

- ციხის ადმინისტრაციამ ციხის თანამშრომლებს მკაფიო მითითებები უნდა მისცეს იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატისა და კლიენტის დოკუმენტაცია და კომუნიკაცია არის საიდუმლო და არ შეიძლება მათი შემოწმება ან ამ კომუნიკაციაში რაიმე სხვა ფორმით ჩარევა.
- სასწრაფოდ უნდა გადაიდგას ნაბიჯები ქალ ვიზიტორთა ჩხრეკის მეთოდების გადასინჯვისთვის და ასეთი ჩხრეკების ჩასატარებლად ციხის თანამშრომელთა სათანადო მომზადების უზრუნველსაყოფად.

კანონმდებლობა

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური გადასინჯვა რაც შეიძლება უმოკლეს დროში უნდა დასრულდეს.
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსით სრულად იყოს დაცული სათანადო პროცესის უფლებები, ხოლო ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი მოუწოდებს მთავრობას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსიდან ამოიღოს ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც შესაძლო სასჯელის ფორმა.

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია
International Bar Association
4th Floor, 10 St Bride Street
London EC4A 4AD, United Kingdom
ტელ: +44 (0)20 7842 0090
ფაქსი: +44 (0)20 7842 0091
ვებგვერდი: **www.ibanet.org**